

ნაო-ქი

დაე და პოეო



თბილისი
2012

თარგმანი, წინათქმა
და ბოლოთქმა

ლერი ალიმონაკისა

მხატვარი

გოგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორი

ნინო ბურდული

მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „ადაპტი“ 2012

„საბჭოთა საქართველო“, 1983

„განათლება“, 1990

„ხომლი“, 1999

წინათქმაც და ბოლოთქმაც ამოღებულია

1983 წლის პირველი გამოცემიდან

ISBN 978-9941-9298-0-9

ლერი ალიმონაკს გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე.

მან თავისი დაუდგრომელი მოღვაწეობით დავინყე-
ბას გამოსტაცა ბოლშევიკური რეჟიმისგან დევნილი XX
საუკუნის დიდი ქართველი პოეტის **ტერენტი გრანელის**
სახელი, დალუპვისგან იხსნა მისი წმინდა პოეზია. იმ
სასტიკ ნლებში, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ
ტოტალიტარიზმი მძვინვარებდა და სატანის მსტოვრები
პოეტის სახელის აღმოფხვრას ცდილობდნენ, ლერი
ალიმონაკმა თავისი შეუპოვრობით შესძლო და რამდენ-
იმეჯერ გამოსცა პოეტის დავინყებული თუ მანამდე
გამოუქვეყნებელი თხზულებანი (1972, 1979, 1987, 1997),
მოგონებათა წიგნი პოეტზე (1984), თავისი ცნობილი
ბიოგრაფიულ-ესეისტური რომანი **„კვირის წირვები“**
(1984, 1987, 1990), რომელმაც საყოველთაო აღიარება
მოიპოვა ქართველ მკითხველში.

ცნობილია ლერი ალიმონაკის მხატვრულად დატ-
ვიფრული კრიტიკულ-ესეისტური წერილები თანამედ-
როვე პოეზიაზე (1974, 1979, 1991), სათეატრო, სამუსიკო
მოღვაწეებზე (1970). გამოკვლევა ქართული ვერლიბრის
გენეზისსა და სტრუქტურაზე (1974). განსაკუთრებით
უნდა აღინიშნოს მის მიერ ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებ-
ული მემუარული და პუბლიცისტური ხასიათის წიგნები:
„გრანელის ლანდი“, 1998; **„სანთლის შუქზე მონაწერი“**,
2001. საგულისხმოა მისი მრავალი სატელევიზიო თუ
საგაზეთო-საჟურნალო ინტერვიუები.

ლერი ალიმონაკის კალამს ეკუთვნის ლექსების წიგნი
„ჟამი სიჩუმისა“ (1988), სადაც მისტიკურ ჭრილში წარ-
მოდგენილია ადამიანის სანიადაგო საფიქრალი საუკუ-
ნოსა თუ სანუთროებაზე, ხილულ ყოფიერებასა თუ უხი-
ლავ არყოფნაზე, დაბადებიდან სიკვდილში გარდაცვლასა
და კვლავშობაზე, ამ ერთიან მარადიულ წრებრუნვაში
დაკარგულ საკუთარ ორეულთა აღმოჩენაზე, ამ დავინყე-
ბულ ორეულთა გახსენებაზე, მათ ხსნაზე, ხვედრზე.

ლერი ალიმონაკმა პირველმა თარგმნა ქართულ
ენაზე ძველი ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური თხზუ-
ლება, საკაცობრიო აზროვნების უნიკალური ძეგლი

უპანიშადები (1984-1992), რომელიც 1995 წელს გამოცა და რომელიც ჭეშმარიტად ძვირფასი საჩუქარია უძველესი რელიგიური კულტურის მქონე ქართველი ხალხისთვის. მანვე თარგმნა ლექსად **ბჰაგავატ-გიტას** I და II თავები (ყურნ. „ლიტ. და ხელოვ. №4, 2006).

ლერი ალიმონაკის რომანი **„ელიაზარის დაბრუნება“** (2007) ხელოვანის ტრაგიკულ ცხოვრებას ეძღვნება, რომლის სახეშიც მკითხველს შეუძლია ამოიკითხოს ყველა იმ დიდი მხატვრის სულიერ-მისტიკური ცხოვრება — დაწყებული ნიკო ფიროსმანაშვილით და დამთავრებული პოლ გოგენით, რომლებმაც ფაქტობრივად ღვთაებრივს მართობაში გალიეს და დაასრულეს ნუთისოფელი. რომანის ძირეული მხატვრული იდეოლოგია, თეოლოგიურ მოტივებთან ერთად, ამირანის მითის ჭრილშია გამოკვეთილი.

„დაო დე ძინი“, ძველი ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულება, შობილი ჩინეთში ოცდაექვსი საუკუნის წინათ, კაცთა მოდგმის სულიერ ცხოვრებაში საღმრთო გამოცხადებად აღიარებული, ლერი ალიმონაკმა იმ წლებში თარგმნა (1976-1982), როდესაც ცენზურის მარწუხები ჯერ კიდევ ხელთ კომუნისტურ რეჟიმს ეპყრა და გველეშაპივით გადაფოფრებოდა საქართველოში ყოველგვარი ჰუმანისტური აზროვნების აღორძინებას. თუ რა ღირებულებისაა ეს სიბრძნის წიგნი საკაცობრიო ისტორიაში, ამას ერთი ფაქტიც მეტყველებს: შუასაუკუნეებში, როდესაც ერთ-ერთმა იმპერატორმა ბრძოლა გამოუცხადა **დაოიზმს** და ყველა დაოსური წიგნი ცეცხლს მისცა, მხოლოდ **„დაო დე ძინს“** ვერ შეეხო, როგორც ნმიდათანმიდა წიგნს. ეს გენიალური თხზულება, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით, პირველად ქართულად 1983 წელს გამოიცა, რასაც მოჰყვა 1990, 1999 წლების გამოცემები. წინამდებარე გამოცემა მეოთხე გახლავთ. ლაო-ძის თხზულება, ღვთის შეწევნით, უკვე დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ლერი ალიმონაკს ამ თარგმანისათვის 1995 წელს მიენიჭა დიდი ქართველი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის **ივანე მაჩაბლის** სახელობის ეროვნული პრემია.

სიბრძნე, რომელიც არ ბერდება

*კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს:
სიმარტოვეში უნდა უკუდგეს.*

*კაცი, საქმეს რომ აღასრულებს:
სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს.*

ასე ბრძანა ოცდახუთი საუკუნის წინ ჩინელმა ბრძენთაბრძენმა **ლაო-ძიმ**. ბრძანა და გაუჩინარდა. მიუბოძა „**ლაო დე ძინი**“ კაცობრიობას, უზენაესი სიყვარულითა და სიკეთით რომ აღავსებდა ყოველ არსებას, და თავად უსასრულობას და **დაოს** განყვადიადებულ და გასხივოსნებულ წიაღს დაუბრუნდა. მისი სული სამყაროს მარადიულ სულში გაიმქვრა და გარდაიცვალა. მან აღასრულა ის, რასაც თავისი მოძღვრებით ქადაგებდა. ამიტომ გაამითიურეს და გაადვითურეს მისი სახელი, ხოლო მის ბრძნულ წიგნს კაცობრიობის მარადიული საგანძური უწოდეს.

*

ლაო-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანად ჩინური ისტორიოგრაფია **აღმოსავლეთ ჯოუს (VIII-III სს. ძვ. წ.)** ეპოქას ასახელებს. ჯოუს ეპოქა ცნობილია სამთავროებს შორის დაუსრულებელი ომებით, დარღვეული სახელმწიფოებრიობით. ომებს ადგილი ჰქონიათ ადრეც, ინის ეპოქაშიც, მაგრამ ჯოუს ეპოქაში ისინი მომძლავრებულა. გაუთავებელი ომები აღატაკებდა სოფლებს და ქალაქებს, მატულობდა აჯანყებულთა რიცხვი, მდიდრდებოდნენ დიდებულნი და მმართველნი, ხალხი კი მძიმე უღელქვეშ გმინავდა. ჯოუს ეპოქა სრულ მძვინვარებას მოეცვა. თავაშვებულ ვნებებს, სიხარბესა

და პატივმოყვარეობას დაეპყრო მთელი საზოგადოება. ლაო-ძის ეპოქაში ჭეშმარიტებისა და სათნოების ერთადერთ საზომად ძალმომრეობა იქცა. მეფეთა და სამეფოთა კარის ცხოვრება კი ბრწყინავდა და ელვარებდა. მათ სასახლეებსა და სიმდიდრეს ათასობით შეიარაღებული ჯარისკაცი იცავდა, ხოლო ხელმწიფენი მუსიკითა და მეჯლისებით ერთობდნენ თავს. ძველი ზნეობა ინგრეოდა, ახალი კი ჯერ არსად ჩანდა. „ქვეყანა დაიქცა, სწორი გზა გამრუდდა. კვლავ მოევლინა ქვეყანას ჭორი, ერესი, ძალადობა, ხელქვეითი ხელმწიფეს კლავს, ხოლო შვილი — მამას“ (მენ-ძი).

მაგრამ ამავე ეპოქის წიაღში თავს იჩენს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრებიც. იგი ხასიათდება ღრმა და მნიშველოვანი ცვლილებებით სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-სულიერ სფეროებში. თანდათან ქრება პატარა სამთავროები, ძლიერდება და ღორძინდება დიდი, ერთიანი სამეფოები. იზრდება მოსახლეობისა და ქალაქების რიცხვი. მკვეთრმა სოციალურმა ძვრებმა ნიადაგი მოუმზადეს გადამწყვეტ ცვლილებებს აზროვნების სფეროშიც. ძველი ჩინელი მოაზროვნენი დიდ ცნობისწადილს იჩენენ ბუნების მოვლენათა შესწავლაში. ამ საფუძველზე აღმოცენებას იწყებს დიდაქტიკა და რაციონალიზმი, თანდათან დავინწყებას ეძლევა მითოლოგია და აზროვნების ნატურალისტური ფორმები. საფუძველი ეყრება ფილოსოფიურ აზროვნებას. ამ ეპოქაში განვითარდა მწერლობა. მმართველობის სადავები ხელთ იგდო განათლებულმა არისტოკრატებმა, ისინი განაგებდნენ მწერლობასაც და მთელ კულტურასაც. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში სწორედ მათ დაიწყეს

პოლიტიკური, ფილოსოფიური, მითოლოგიურ-რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური სისტემების ჩამოყალიბება. ლაო-ძი ამ ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და ცდილობდა ადამიანის დარბეულ სულში აღედგინა ის პირველქმნილი შეგნება, რაც დიადი ერთობის კანონს მყარსა და შეუვალს გახდიდა, იმ დიადი ერთობის კანონს, როცა თემის წესრიგსა და ურთიერთ-თანხმობას ბუნებითობის პრინციპები ედო საფუძვლად, როცა არც მჩაგვრელნი იყვნენ და არც ჩაგრულნი. ლაო-ძის სურდა ადამიანში აღედგინა იმ ეპოქათა სულიერი გამოძახილი, ოდეს ცისქვეშეთში ყველაფერი საერთო იყო და ყოველივეს სამართლიანი კანონები განაგებდა, ოდეს ადამიანთა შორის დიადი თანხმობა და მშვიდობა სუფევდა, ოდეს ადამიანები მამაშვილურად ეპყრობოდნენ არა მხოლოდ საკუთარ შვილებს, არამედ სხვის შვილებსაც, ოდეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არ იღვწოდნენ, არამედ სხვებისთვისაც, ოდეს კარს არ კეტავდნენ არა იმიტომ, რომ ქურდობა და ავაზაკობა არ იყო, არამედ იმიტომ არ იყო ქურდობა და ავაზაკობა, კარს რომ არ კეტავდნენ. ამიტომ არ აღიძვრობდა ბოროტი ზრახვები, ამიტომ ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი, ჩვილ ბავშვებს ამიტომ ნყალობდნენ განსაკუთრებით. იქნებ ამ სინამდვილის ანარეკლიც იყოს ლაო-ძის შემდეგი სიტყვები: „რაც მეტია აკრძალვა: მით მეტია სიღარიბე. რაც მეტია იარაღი: მით მეტია ამბოხი. რაც მეტია კანონი და ბრძანება: მით მეტია ქურდი და ავაზაკი“. ამავე თავში ასე ჟღერს ლაო-ძის დამოძღვრა: „მე მშვიდად ვარ და: ხალხს თავად ეუფლება სამართლიანობა. მე უმოქმედოდ ვარ და: ხალხს თავად ეუფლება კეთილშობილება“. ამ ეპოქაში ყალიბდება ძირითადი საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიურ-რელიგიური და მისტიკური წარმოდგენები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჩინური ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მთელს შემდეგდროინდელ მსვლელობაზე. ეს წარმოდგენები აღმოჩნდა ის მყარი საფუძველი, რაზეც აიგო უზარმაზარი შენობა — ჩინური მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურისა. ჯოუს ეპოქაში ყალიბდება ცალკეული ფილოსოფიური სკოლები და ინერება საეტაპო მნიშვნელობის თხზულებები. ამ დროს დაიწერა ჩინური ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შედეგები, როგორიცაა „დაო დე ძინი“, „ლუნ იუი“, „მო-ძი“, „მენ-ძი“, „ჯუან-ძი“, „გუან-ძი“, „ლი-ძი“. ამ პერიოდში გამოვიდნენ ასპარეზზე დიდი ჩინელი მოაზროვნეები: ლაო-ძი, კონფუცი, მო-ძი, ჯუან-ძი, მენ-ძი, სიუნ-ძი, ხან ფეი-ძი. ჩინური ტრადიციის მიხედვით, ამ პერიოდს უწოდებენ „ოქროს ხანას“. სწორედ ამ ხანაში ყალიბდება ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების ორი ისეთი დიდი მოძღვრება, როგორიცაა **კონფუციზმი** და **დაოიზმი**. ამავე ხანაში იკიდებს ფეხს ჩინეთში **ჩინური ბუდიზმი**. ამ მოძღვრებებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს მთელს შემდგომ ჩინურ კულტურაზე (პოეზია, მუსიკა, ფერწერა, კალიგრაფია). კონფუციზმი და დაოიზმი სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა გამოცხადებული არა მარტო ჩინეთში, არამედ მთელს ჩინურ სამყაროში.

*

ამ ფილოსოფიურ სკოლებს წინ უძღოდა ჩინური აზროვნების ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობა, რაც თავის დასაბამს ძველჩინური მითოლოგიური და მისტიკური თვალსაზრისებიდან იღებდა.

ჩინელებს აქვთ თავისი, ყველასაგან განსხვავებული გააზრება სამყაროს მოდელისა, ყოფიერების სისტემისა, კოსმიური სურათისა. ლაო-ძის კოსმოლოგია უზოგადეს ხაზებში ეფუძნება ჩინურ კოსმოლოგიურ სისტემას, მაგრამ მას რალაც ასპექტებში თავისი კორექტივებიც შეაქვს. ლაო-ძი, როგორც უდიდესი მოძღვარი და კანონმდებელი, სწორედ ამის გამო გააღვთიურა და **ბუდას** გვერდითაც სწორედ ამის გამო დააყენა ჩინურმა ლეგენდამ.

იმ ეპოქაში, როცა „დაო დე ძინი“ იქმნებოდა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველჩინური რელიგიურ-მისტიკური და მითოლოგიური წარმოდგენები. ისინი, თავიანთი პარადოქსული ბუნების გამო, დიდ გამოძახილს პოულობდნენ ლაო-ძის, კონფუცის, მო-ძის, ჯუნ-ძისა და სხვათა ნააზრევში. ერთი ასეთი მისტიკური მოძღვრება, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ძალას ახალ ფილოსოფიაში, — იგულისხმება ჯოუს ეპოქის აღორძინებული ფილოსოფიური სკოლები, — იყო მოძღვრება **ცის მეუფების** შესახებ.

ცის კულტს უპირველესი ადგილი ეჭირა ჩინურ წარმოდგენაში. **კონფუციმ** მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა თავის მოძღვრებაში. კონფუცისტის ცა იყო უმაღლესი არსება, რასაც გააჩნია ძალა და გონება და განაგებს ადამიანთა ცხოვრებას. იგი აცხადებდა: „ვინც ცას შესცოდავს, მას არ აქვს ლოცვის უფლება“. კეთილშობილი კაცი ცის ძალას უნდა მორჩილებდეს. „ვინც ბედს არ აღიარებს, ვერ მივიჩნევთ კეთილშობილ კაცად“. იგი ეთაყვანებოდა ცას როგორც მწყალობელსაც და როგორც მკაცრ, ერთიანსა და ზებუნებრივ მბრძანებელსაც. კონფუცის ცა განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში, ავილდოებს და სჯის მას. **ცის ძის** ანუ ხელმწიფის

უზენაესი ძალაუფლება ღვთიურია და მხოლოდ ის განსაზღვრავს ხალხისა და ცისქვეშეთის ბედს. ცა, უმაღლესი არსება, აწესრიგებს მიწიერ ცხოვრებას, წარმოუგზავნის ძალაუფლებას ხელმწიფეს და თვალს ადევნებს მის მოღვაწეობას. თუ მან ცის გზას გადაუხვია, იგი წარმოუგზავნის მას სტიქიურ უბედურებას და ამით ჩადენილ ცოდვებს შეახსენებს. ძველი ჩინელები ცას ბედისა და ბედისწერის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ. ცას მიეწერებოდა ყოველი არსის წარმომშობი პირველმიზეზის შემცველი ცნება, მას მთელი სამყაროს, მთელი ბუნების სინონიმაც მიიჩნევდნენ. სწორედ აქედან წარმოდგება ცნება **ტიანსია** ანუ **ცისქვეშეთი**, რაც მთელი ქვეყნიერების, კერძოდ კი — ჩინეთის სახელმწიფოს სინონიმად აღინიშნებოდა. ცა არის „მბრძანებელი და მეუფე ქვეყნიერებისა“. ის არის ქმედითი, მოღვაწე ძალა სამყაროული ყოფიერებისა, რის გარეშეც მიწის დასაბამი უმოქმედოა და უძრავი. ამიტომ არის, რომ ჩინელთათვის ღვთაებად, მეუფედ მიჩნეულია ცა. იგი არის უმაღლესი არსება სამყაროსი. ხილული ცა კი სიმბოლოა იმ უხილავი ცისა, რასაც ჩინელები ღვთაებად, ანუ უმაღლეს არსებად წარმოიდგენენ. ცა არასახიერია და წარმოადგენს პირველსახეს ანუ განსახიერებას სამყაროს მარადიულ, უცვლელ წესრიგს. იგი აუხსნელი ძალაა, რასაც ემორჩილება სამყაროს არსებობის მსვლელობა, ის გამოუთქმელია და მიზეზია სამყაროს წრებრუნვითი მოძრაობისა.

*

როგორც სინოლოგები ვარაუდობენ, ჩინეთში დაოიზმი უნდა აღმოცენებულიყო „დაო დე ძინის“ შექმნამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თხზულების

შექმნას წინ უძღოდა ხანგრძლივი განვითარება ფილოსოფიური აზროვნებისა. მოძღვრება **დაოს** შესახებ ჩინეთში მაშინ შეიქმნა, როცა რელიგია და ფილოსოფია ერთიანი და განუყოფელი იყო. ამ მოძღვრებაში ფილოსოფია ემორჩილება რელიგიას, ხოლო განსჯა — რწმენას. დაოიზმი რელიგიური ფილოსოფია, ანუ ფილოსოფიური რელიგიაა. ამ მოძღვრებაში რელიგიური ჭეშმარიტება **დაოს** მისტიკურ აღიარებაში ძვეს, ხოლო ფილოსოფიური ჭეშმარიტება — მის ეთიკურ აღიარებაში.

დაოიზმი, კონფუციზმთან ერთად, უმთავრეს რელიგიურ სახელმწიფოებრივ მოძღვრებად იქცა ჩინეთში. დაოიზმი და კონფუციზმი თითქმის ერთ დროს აღმოცენდნენ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებში. ამ მოძღვრების მიმდევარნი ილაშქრებდნენ თავიანთი თანამედროვე ცხოვრების გადაგვარებულ ფორმათა წინააღმდეგ. ანათემას უცხადებდნენ გაუთავებელ ომებსა და კაცთა კვლას, გამყიდველობასა და ლალატს, ცბიერებასა და მუხანათობას, პირმოთნობასა და ზნეობრივ გადაგვარებას. ისინი უკან — „ოქროს საუკუნისაკენ“ იმზირებოდნენ.

პირველი დაოსები, სოციალურ ცხოვრებას რომ გარიდებოდნენ და საკუთარ თავში ეძიათ უზენაესი ღვთაება, საზოგადოებისაგან განდგომას ამჯობინებდნენ და ამ გზით გამოხატავდნენ პასიურ ამბოხს არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ასე დაედო დასაბამი ასკეტ-მწირთა ინსტიტუტს მთებში, ადამიანთა საზოგადოებისაგან განკერძოებით. პირველი დაოსები იქ ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას, მისტიკისა და სინმინდის შარავანდედით გარემოსილნი.

„დაო დე ძინია“ ის ძირი და საფუძველი, რაზეც აღმოცენდა დაოსური რელიგია და ფილოსოფია, რაც აგერ ოცდახუთი საუკუნეა ცოცხლობს ჩინეთში. „აღბათ არ მოიძებნება რომელიმე აღიარებული რელიგია, — აცხადებს დუგლასი, — რომელიც ისეთ პატარა საძირკველს ეფუძნებოდეს, როგორც „დაო დე ძინია“. ფართოდ გავრცელებული დაოსური ლიტერატურა და ცრურწმენითი მოძღვრება, სადაც თავს იყრის მთელი თანამედროვე დაოიზმი, პირველხანად ჩაისახა გადმოპირქვავებული პირამიდის მსგავს ციციქნა წიგნში“. ამ ერთ ციციქნა წიგნზე აშენდა უზარმაზარი შენობა დაოსური მოძღვრებისა, რამაც ნარუხოცელი დალი დააჩნია ჩინურ სულიერ კულტურას და მისი ყოფის ყველა სფეროს. „...მთლიანად წიგნი შეიძლება ჩაითვალოს მისტიკისა და მეტაფიზიკის ნიმუშად, ხოლო ლაო-ძი ერთ-ერთ უზარმაზარ მისტიკოსად კაცობრიობის ისტორიაში“ (რ. ვილჰელმი). ჩინეთში (და არა მხოლოდ ჩინეთში) აღბათ არცერთ წიგნს ისეთი აღიარება და პოპულარობა არ რგებია წილად, როგორც „დაო დე ძინს“. ამას ასეთი ფაქტიც მეტყველებს: მონღოლთა დინასტიის ხანაში იმპერატორი იუანი ავად განეწყო დაოიზმისა და დაოსური ლიტერატურისადმი. 1258 წელს, ხუბილას თანდასწრებით, ბუდისტებსა და დაოსებს შორის გაიმართა კამათი ცენტრალურ აზიაში ლაო-ძის მოღვაწეობის ნამდვილობის შესახებ, რაც დაოსური ტრადიციით იყო ცნობილი. დაოსები დამარცხდნენ, ხუა ხუ ძინი დაწვეს, ხოლო 1281 წელს იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქში თავი მოუყარეს მთელს დაოსურ წიგნებს, „დაო დე ძინის“ გამოკლებით, და მის გარდა ყველაფერი ცეცხლს მისცეს.

„დაო დე ძინის“ შექმნისა და მისი ავტორობის საკითხზე უამრავი აზრი და ვერსია არსებობს. როგორც თვით ლაო-ძის, ისე „დაო დე ძინის“ ბიოგრაფიაც მისტიკით არის მოცული. ერთნი თვლიან, რომ ლაო-ძი გამოგონილი სახელია და რომ „დაო დე ძინი“ უნდა შექმნილიყო ძვ.წ. **IV-III** საუკუნეთა მიჯნაზე და უნდა შეედგინათ იგი ლეგენდიდან მოსული ბრძენის — ლაო-ძის მოძღვრების მიმდევრებს. მეორენი ამტკიცებენ, რომ ლაო-ძი ისტორიული პიროვნებაა, ცხოვრობდა ძვ.წ. **VI-V** საუკუნეთა მიჯნაზე და რომ „დაო დე ძინი“ მისი შექმნილია, ხოლო შეიქმნა იგი — ერთი ვერსიის მიხედვით — იან ჯუს, ჯუან-ძის, შენ დაოს ფილოსოფიურ თხზულებათა დანერის შემდეგ. არსებობს აზრი, თითქოს ლაო-ძის მოძღვრება ზეპირი სახით გავრცელებულა, შემდეგ ჩაუნერიათ და შეუდგენიათ მის მონაფეებს და უწოდებიათ მისთვის „ლაო-ძი“. „დაო დე ძინის“ რუსულ ენაზე მთარგმნელის იან ხინ-შუნის თვალსაზრისით, ლაო-ძი ცხოვრობდა ძვ.წ. **VI-V** საუკუნეთა მიჯნაზე, მის მოძღვრებას კი უკვე **V** საუკუნეში ჰქონია დიდი აღიარება. „დაო დე ძინი“ წარმოადგენს, — ამბობს იგი, — ლაო-ძის მიმდევართა და მონაფეთა მიერ მის უმთავრეს დებულებათა გადმოცემას.“ მისი აზრით, ტექსტი საბოლოოდ ჩამოყალიბებიათ ძვ.წ. **IV** საუკუნეში. ცნობილი ფრანგი სწავლული და მოგზაური ჟიულენი ლაო-ძის დაბადების თარიღად ძვ.წ. **604** წ. ასახელებს. ეს ცნობა მას ჩინური აპოკრიფული წიგნებიდან აუღია. ეს თარიღია დასახელებული უმთავრესად ყველგან. ზოგიერთი დასავლეთევროპელი სინოლოგი ლაო-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროდ ძვ. წ. მეექვსე საუკუნეს ასახელებს.

ისტორიკოს სიმა ციანს მოჰყავს სამი სხვადასხვა ვერსია. პირველის მიხედვით ლაო-ძი გაიგივებულია **ლაო-დანთან**, კონფუცის მოძღვართან. მეორეს მიხედვით ლაო-ძი გაიგივებულია **დანთან**, რომელიც კონფუციზე ადრე ცხოვრობდა და იყო ისტორიოგრაფი. ცნობილ ინგლისელ სინოლოგს გ. ჯაილზს დაუმტკიცებია, რომ სტილის მიხედვით „დაო დე ძინი“ არ უნდა ეკუთვნოდეს იმ ხანას, როცა ლაო-ძის ცხოვრებას ადასტურებენ. ეს თეორია გაუზიარებიათ სხვებსაც, მაგრამ არა ყველა პუნქტი. ამ აზრს სინოლოგები არ მიიჩნევენ საბოლოოდ. ასეა თუ ისე, მთავარი მაინც თხზულების მნიშვნელობაა ჩინური და მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. ამის თაობაზე ვ. გრუბე წიგნში „ჩინეთის სულიერი კულტურა“ წერს: „ალბათ, არასოდეს მოხერხდება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს საკითხი, მართლა ლაო-ძის ეკუთვნის თუ არა ეს წიგნი. მაგრამ როცა ზოგიერთი სინოლოგი ისე შორს მიტოპავს, რომ მას გაცილებით გვიანდელი დროის თამამ შენათხზად აცხადებს, ეს კრიტიკის უაზრო სიბეჯითეა, რაც ვერავითარ საღ და ზომიერ განსჯას ვერ უძლებს. ვისაც არ უნდა მივაკუთვნოთ ეს წიგნი, იგი უდაოდ ყველაზე ღრმააზროვან ქმნილებას წარმოადგენს ჩინურ ფილოსოფიაში, ხოლო მისი ავტორი — სულერთია, ლაო-ძის სახელს ატარებდა, თუ რაიმე სხვას — შეიძლება შევერაცხოთ ყველაზე ორიგინალურ და ყველაზე თვითმყოფ, მაგრამ, იმავე დროს, ყველაზე ბუნდოვან ჩინელ მოაზროვნედ“. სინოლოგიაში მდიდარი ლიტერატურაა დაგროვილი იმის შესახებ, იყო თუ არა ლაო-ძი ისტორიული პიროვნება. მაგრამ მიუხედავად საინტერესო და დამაჯერებელი არგუმენტების სიმრავლისა, აქამდე

ჯერ ვერავინ დაამტკიცა ლაო-ძის არსებობის ფაქტი, ვერც ვერავინ უარყო იგი. მაგრამ ეს როდია არსებითი, დღეს ჩვენთვის არსებითია ერთი რამ: „დაო დე ძინი“ ოცდახუთი საუკუნეა არსებობს და ამდენივე ხანია, რაც ლეგენდამ ეს წიგნი ლაო-ძის სახელს დაუკავშირა. მისი ცხოვრება ნახევრად მისტიკური ბურუსით არის გარემოსილი.

ისტორიკოს სიმა ციანის მიხედვით, ბრძენი ატარებდა გვარს **ლი** და სახელს — **დან**. „ლაო-ძი“ ნიშნავს „მოხუც ფილოსოფოსს“. სიკვდილის შემდეგ მისთვის უწოდებიათ „სენ“ - გრძელყურა (ვინ იცის, იქნებ იმის გამოც, რომ სამყაროს მოძრაობასა თუ უძრაობას სმენით აღბეჭდილი ბგერებით ჭვრეტდა). ცნობილი ჩინელი მწერალი და ისტორიკოსი გო მო-ჟო წიგნში „ბრინჯაოს საუკუნე“ წერს, რომ **ცინ**-ის დინასტიამდე (221-220 წწ. ძვ. წ.) არავინ ეჭვობდა, ლაო-ძი რომ სახელ **დანს** ატარებდა და რომ ის კონფუციუსის მოძღვარი იყო. ამის დასტურად, იან ხი-შუენის თქმით, გო მო-ჟოს მოჰყავს მთელი რიგი ციტატები ძველი ჩინური თხზულებებიდან: „ჯუან-ძის“, დიუი-ში ჩუნ-ციუსის მატთანედან, „ხან ფეი-ძის“, „ლი-ძის“ წიგნებიდან, სადაც კონფუციუსის მოწაფე ძენ-ძი ოთხგზის იხსენიებს თავისი მოძღვრის ნაამბობს ლაო-ძისთან შეხვედრის შესახებ.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ლაო-ძი მოღვაწეობდა საიმპერატორო კარზე, ჯოუს სასახლის წიგნთსაცავის მთავარ მწიგნობრად. იმპერატორის დავალებით იგი ადგენდა ჩინეთის ისტორიის მატთანეს და იცავდა სხვადასხვა სახის უძველეს და უძვირფასეს ხელნაწერებს. რალა თქმა უნდა, ამ წიგნთსაცავში მას შეეძლო სრულყოფილად გასცნობოდა ჩინურ წერილობით წყაროებს, ზიარებოდა ამ

ენაზე დაგროვილ სიბრძნეს. საფიქრებელია, რომ ლაო-ძის უკმაყოფილება თავისი ხალხის პრაქტიკული ცოდნის გამო წარმოშვა სწორედ ამ ცოდნის სრულყოფილმა შეცნობამ. ყოველივე ამან უბიძგა მას კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონოდა იმ ეთიკური ფორმებისადმი, რითაც მისი თანამედროვე ჩინეთი ცხოვრობდა. მან დატოვა სახელმწიფო სამსახური, უკმაყოფილომ საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სოციალური ვითარებით და განმარტოვდა. ემიძიმა სამეფო კარზე ცხოვრება. მისთვის მიუღებელი იყო ის ზნეობა, რითაც სამეფო კარი ცხოვრობდა: პირმოთნეობით, გარყვნილებით, მომხვეჭელობით, მედიდურობით. ის კი ისეთ ცხოვრებას მიეღწეოდა, სადაც მშვიდი ჭვრეტისა და ფიქრის შესაძლებლობა ექნებოდა, საბოლოოდ რომ გაეაზრებინა თავისი მოძღვრება — ცხოვრების ჭეშმარიტი რწმენისა და გზის არსი, ესოდენ აუცილებელი თავისი თანამედროვე მშფოთვარე ცხოვრებისათვის. ამიტომ ტოვებს ჩინეთს და დასავლეთის საზღვრის გავლით „ბარბაროსთა“ ქვეყნებში მიემგზავრება (მოუხილავს ინდოეთი და ტიბეტი), რომ ეზიაროს იქაურ სიბრძნეს და დარჩენილი ცხოვრების წლებს ჭვრეტასა და დუმილში ატარებს სადღაც, მიყრუებულ გამოქვაბულში, სადაც შეუთხზავს კიდევ თავისი უკვდავი ქმნილება. მას ერთხელ უთქვამს: „მე არავინ მიცნობს“ და დაუმატებია: „მაგრამ არის ცა — ის მიცნობს მე“. ეს სიტყვები აღბეჭდავენ ლაო-ძის ასკეტურ ბუნებასა და მის მარტოეულ ცხოვრებას.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ეს ისტორია თუ ლეგენდა ასეთია: „ქვეყნის შორეულ საზღვარზე მდებარეობდა საგუშაგო, რისი გავლითაც დასავლეთ-

თისაკენ მიმავალი მგზავრი მოხვდებოდა იმ უხილავ ქვეყანაში, სადაც მეუფებს **სივანმუ — დედა-დედო-ფალი დასავლეთისა**. როგორღაც ერთხელ საგუშაგოს უფროსს უცნაური რამ შეუნიშნავს: აღმოსავლეთიდან, ანუ ქვეყნის სიღრმიდან მისკენ მოინევიდა არაჩვეულებრივი იისფერი შეფერილობის ღრუბელი. საგუშაგოს უფროსი გუან ინი ჭკვიანი კაცი ყოფილა და მაშინვე მიმხვდარა, რასაც ღრუბელი აუწყებდა: საგუშაგოს უახლოვდებოდა **დაო ჟენ — დაოს კაცი**. მართლაც, საგუშაგოსთან მალე გამოჩენილა ხარზე (აზავერზე) ამხედრებული ახოვანი მოხუცი. ეს ლაო-ძი იყო. გუან ინი როცა მიმხვდარა, რომ ლაო-ძი სამუდამოდ ტოვებდა ჩინეთს, თხოვნით მიუმართავს ბრძენთაბრძენისთვის: „მოძღვარო! ნუთუ შენ გადახვეწაზე ფიქრობ?! თუ ეს ასეა, გთხოვ დაგვიტოვო შენი მოძღვრება!“ ლაო-ძის დუმილით შეუსრულებია თხოვნა, დაუნერია ხუთი ათასი სიტყვისაგან შემდგარი „დაო დე ძინი“ და სამუდამოდ განშორებია ჩინეთს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ იმ წელს დაბადებულა ბუდა. ლაო-ძიმ აღასრულა ის, რითაც სხვებს მოძღვრავდა: „კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს. კაცი, საქმეს რომ აღასრულებს: სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს“. იდუმალებით მოცული სახე ხარზე ამხედრებული ბრძენისა, როგორც ეს ჩინურმა ფერწერამ აღბეჭდა, იქცა სწორედ „დაო დე ძინის“ უხილავ გმირად.

ეს ლეგენდა უაღრესად მნიშველოვან სიმბოლოდ მიაჩნიათ სინოლოგებს. ლაო-ძი შორდება მისთვის მიუღებელ კონფიციურ ჩინეთს და მიემართება დასავლეთის ღვთისმსახურებისაკენ, კერძოდ — ინდუიზმისა და ბუდიზმისაკენ. „დაო და ძინის“ უხილავი

გმირის ლტოლვა ასკეტური განმარტოებისაკენ, დუმილისა და ჭვრეტისაკენ, არსებითად დაპირისპირება იყო მთელი იმჟამინდელი ჩინური ეთიკური და რელიგიური შეგნებისადმი. ამ ლეგენდის მიხედვით შეიქმნა მითი დიად და ყოვლისმძლე მოხუცზე, ვისგანაც იღებს თავის დასაბამს **დაოიზმი**. დაოიზმი იყო გადასვლა სრულიად სხვა რელიგიურ შეგნებასა და მდგომარეობაში, ვიდრე ჩინელთა პრაქტიკული რაციონალიზმი და პრაგმატისტული ეთიკა იყო. დაოიზმი პირმშოა ჩინელთა შორის იმ ერთადერთი კაცისა, ვისაც ეძიძა ბოლომდე ჩინელად ყოფნა და გაიქცა აკრძალულ **დასავლეთში**, ახალი რელიგიური არსებობისაკენ. ინდოეთსა და ტიბეტში ლაო-ძის გამგზავრება სხვა სიმბოლოსაც შეიცავს. ლეგენდა მოგვითხრობს ბრძენის ათასსახოვან გარდასახვებზე, მის კვლავშობასა და მოვლინებაზე, მის გაღვთაებებაზე. გვარი **ლი** იმიტომ აქვს, რომ იგი დედამ ნაბლის ხის ქვეშ („ლი“) შობა. სახელი **ერ** იმიტომ აქვს, რომ მას არაჩვეულებრივად დიდი ყურები ჰქონდა. სიმა ციანის მიხედვით ლაო-ძი ასე გამოიყურებოდა: მაღალი და ახოვანი, ყვითელი პირისახის, ლამაზი ნარბებით, ფართო შუბლით, ოთხკუთხა პირით, უშნო კბილებით, სქელი ტუჩებით, უზარმაზარი ყურები სამმაგი სასმენი ხვრელებით, დიდი თვალებით, ფეხებზე — ათ-ათი თითით, ხოლო ხელისგულებზე — ათ-ათი ხაზით. წმინდა ცხოვრების გამო იცოცხლა ორასი წელი.

ლაო-ძი შემთხვევით არ შეურაცხავთ წმინდანად. მან თავისი ცხოვრებით განახორციელა ის, რასაც ქადაგებდა. რელიგიურმა გადმოცემებმა საოცარი ლეგენდები შეთხზეს მასზე. ლაო-ძი იყო **დაოს** გარდასხეულება და სული, უსანყისო და დაუსაბამო

წყარო ყოფიერებისა. უფორმო, უფერო და უხმო, ვი-
საც არც წინაპრები ჰყავს, არც შთამომავალი. ბნე-
ლია, მაგრამ თავისთავში სულიერ არსს შეიცავს და
ეს არსი ქვეშარიტებაა. ჯოუს დინასტიის დროს
ლაო-ძის მოვლინება იყო მისი ერთ-ერთი ავატარო
ანუ კვლავობა, გარდასხეულება. იგი რამდენიმე-
ჯერ არის გარდასხეულებული (ყოველივე ეს ამსხვ-
რევედა ზღუდეებში მოქცეულ რაციონალურ წარ-
მოდგენებს ადამიანის არსებობის სასრულ საზღვ-
რებზე: დაბადებასა და სიკვდილს და სიკვდილსა და
კვლავობას შორის). ლაო-ძი იშვა თავისით — უსა-
წყისოდ და უსასრულოდ, იგი განუპირობებელია
დროსა და სივრცეში. მისი დაბადების ახსნა შეუძ-
ლებელია. დიად **დაოსთან** ერთად რომ მოემართება,
ქმნის სამყაროს, სიცოცხლით ალავსებს ქვეყნიერე-
ბას. მარად ცაშია. ჯოუს დინასტიის დროს კვლავ
აღსდგა გვარში **ლი** და მარცხენა ფერდიდან იშვა
ბუდას მსგავსად. პირველად აღსდგა ათას ხუთასი
წლის წინათ, გამოეყო წმინდა ჰაერს, მოთავსდა
იასპის უმშვენიერესი ქალწულის მუცელში, სადაც
ოთხმოცდაერთ წელიწადს დაჰყო. ამიტომ იშვა
თეთრთმინანი. მან შეხედა **ლის** ხეს (წაბლის ხეს),
რომლის ძირშიც იშვა და თქვა: ეს იქნება ჩემი გვარი.
სხვა ლეგენდა ამბობს: ლაო-ძი დედას ჩაესახა არა
კაცთან ქორწინებით, არამედ მიწაზე დაშვებული
ვარსკვლავისაგან. საიდუმლო ნაყოფს, ცისა და
მიწის შეერთებით ჩასახულს, დედა ოთხმოცდაერთ
წელს ატარებდა საშვილოში და ბოლოს იშვა **ჭალარა**
ყრმა.

ერთი დაოსური ლეგენდის მიხედვით, იმპერა-
ტორი, ვერაფრით რომ ვერ მიიზიდა ბრძენი სასახ-
ლეში, თავად ეწვია მას. ლაო-ძი არ ეთაყვანა. „თუმცა

უბინო ხარ, — მიმართა იმპერატორმა, — მაინც ჩემი ქვეშევრდომი ხარ, ჩემზეა დამოკიდებული სიმდიდრე და გამოჩინება შენი.“ ლაო-ძი აინია ჰაერში და შეჩერდა ღრუბლებში, მარცხენა ხელი ცისკენ ალაპყრო, მარჯვენა — მინისკენ და თქვა: „ზევით — ცაში და ქვევით — მიწაზე მხოლოდ **ლაო** თაყვანისცემის ღირსი. ახლა, როცა ვარ მაღლა და მიწაზე ფეხს არ ვაკარებ ჰაერით გარემოსილი, რას წარმოადგენს, ხელმწიფეო, სიმდიდრე და გამოჩინება შენი“. იმპერატორი ამის შემდეგ თავად ეთაყვანა ლაო-ძის. ლეგენდის სიმბოლო გვაუწყებს, რომ იმპერატორი — გამომხატველი ჩინეთიზმის სულისა, ქედს იხრის ლაო-ძის ახალი და დიადი რელიგიური მოძღვრების წინაშე. თუ როგორი გაღვთიურებული იყო ჩინეთში ლაო-ძი, ამას ბევრი ფაქტი ადასტურებს. ერთ-ერთ ძველჩინურ ტრაქტატში „მოუ-ძი“ (II-III სს. ახ. წ.), რაც ჩინელი ბუდისტის მიერაა დაწერილი და წარმოადგენს ჩინურ წინარებუდისტურ თხზულებას, რათა დაეცვა ბუდიზმი თავდასხმებისაგან და გაემართლებინა ჩინეთში მისი არსებობა, ნათქვამია, რომ ბუდა დიადია, როგორც სხვა ბრძენნი, როგორც, ვთქვათ, ლაო-ძი, რომელთაც ეთაყვანებოდა კონფუცი. თუმცა მათ სახელებს (ბუდასა და ლაო-ძის სახელებს) არ იხსენიებენ ძველი კონფუციური წიგნები. დაოსებმა ბუდა თავიანთ პანთეონში შეიყვანეს და ლაო-ძი მის გვერდით დააყენეს. ხანის იმპერატორმა ხუან-დიმ 166 წელს ერთდროულად მოუწყო მსხვერპლშენიშვის რიტუალი როგორც ბუდას, ისე ლაო-ძის.

გვიანდროინდელ ჩინურ კულტებში ყველაზე უმაღლეს წრეში სამი დიდი რელიგიის ფუძემდებელს ათავსებენ: **ბუდას, ლაო-ძის, კონფუცის**.

*

ლაო-ძი კონფუციის უფროსი თანამედროვე იყო. სინოლოგიაში არსებობს ვარაუდი მათი შეხვედრების შესახებ. შეიძლება ეს ისტორია სინამდვილედ იყოს, შეიძლება — ლეგენდაც, მაგრამ მთავარი აქ ეს როდია, მთავარი ის არის, რომ ცხადად ავლენს ამ ორი მოძღვრისა და მათი მოძღვრების ურთიერთგანსხვავებას. ამ შეხვედრამ გამოავლინა ორი ძალა ჩინური მსოფლშემეცნებისა: ძალა, რამაც ჩინეთი ჩინეთად აქცია და რამაც ბრძნული ნიგნი მისცა „დაო დე ძინის“ სახით ჩინეთს.

ჯოუს ეპოქაში, პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო, ბევრმა მიატოვა ოჯახი, საზოგადოება და განდეგილებად ცხოვრობდნენ ტყეებსა და გამოქვაბულებში. „ერთ-ერთი ასეთი განდეგილი იყო ღრმა და ორიგინალური მოაზროვნე, ვინც დაოიზმის ფუძემდებლად იქცა. ეს იყო მიხრწნილებაში გადასული ფილოსოფოსი ლაო-ძი, დაბადებული კონფუციზე ორმოცდაათი წლით ადრე. ლაო-ძი უკვე ღრმა მოხუცი იყო, როცა მისმა დიდმა თანამედროვემ აღიარება მოიპოვა. დარწმუნებული დაცემულ საუკუნესთან ბრძოლის უაზრობაში, იგი ამაყი ზიზლით უყურებდა კონფუციის უმწეო ცდებს“. კონფუციის ერთი თანამოქალაქე უჯუ შეხვედრია ლაო-ძის. ერთ-ერთი საუბრის დროს ლაო-ძის მწუხარებით უთქვამს: „კონფუცი არ არის იდეალური კაცი, მაგრამ გაუგებარია — რად უჭირავს თავი ასე მედიდურად, ისე, თითქოს, ღრმად მოაზროვნე კაცი იყოს“. ლაო-ძის ერთ-ერთი მიმდევარი გენ სან-ჩუ იუნყება, რომ მას „ღრმად ესმოდა ლაო-ძის მოძღვრება დაოს შესახებ და ცხოვრობდა ჩრდილოეთში, მიუვალ მთებში. რომ მას უყვარდა ბუნება და მასთან სტუმრობდნენ ცოდ-

ნის დაუფლების ნყურვილით გულანთებული ადამიანები. მაგრამ იგი ახლოს არ იკარებდა ყალბი სიკეთის მქადაგებელთ“. „ყალბი სიკეთის მქადაგებლებში“ იგი კონფუციელებს გულისხმობდა.

ჯუან-ძის ნიგნიდან ჩანს, რომ ლაო-ძის ჰყოლია მონაფეები, ერთ-ერთ მათგანს, იან ძი-ძიუ იუს ასე მოძღვრავს ლაო-ძი: „ბრძენი კაცი იშვიათად ამჟღავნებს თავის ნიჭიერებას და მხოლოდ თავისი არსების სრულქმნისათვის იღვწის“. იგი ურჩევდა მონაფეებს, არ ემოგზაურათ სახელმწიფოში და არ გაევერცელებინათ მისი მოძღვრება.

კონფუცი თავისი მონაფის ძი-ლუს რჩევით სწვევია პირველად ლაო-ძის, ვინც უხალისოდ მიიღო იგი. ამ შეხვედრას ვარაუდობენ ძვ. წ. 517 წელს. მაქს მიულერის ცნობით, მაშინ ლაო-ძი ოთხმოცდარვა წლისა ყოფილა, ხოლო კონფუცი — ოცდათხუთმეტი წლისა. ისტორიკოსი სიმა ციანი ასე აგვიწერს ლაო-ძის და კონფუცის შეხვედრას: კუნ-ძი, ჯოუს რომ ჩავიდა, ლაო-ძიმ მიუგო: კაცი, ვისზეც შენ ახლა ლაპარაკობ, უკვე დიდი ხანია გაიხრწნა თავის ძვლებთან ერთად და მისგან მხოლოდ სიტყვებილა შემოგვრჩა. კეთილშობილი რაინდი მშვიდობიანობისას ეტლზეა აღმჯდარი და სახელმწიფო საქმეებით არის დატვირთული. შფოთის დროს კი ფეხით დაიარება ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. მე მსმენია, რომ ჭკვიანი ვაჭარი მაღავს თავის სიმდიდრეს და ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი ებადოს. ასევე მაღალი ზნეობის ბრძენი მრავალ ღირსებას ფლობს, მაგრამ ცდილობს გარეგნობაში არ გაამჟღავნოს თავისი ზნეობა და სიბრძნე. უკუაგდე შენ შენი სიამაყე, შენი ვნებები და მედიდურობა. ყოველივე ეს არ მოგიტანს შენ სარგებლობას... სა-

მართლიანობა და კაცთმოყვარეობა მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, ისინი მხოლოდ მალავენ სისასტიკეს და ამწუხრებენ ადამიანთა გულებს. არასოდეს ყოფილა სამყარო ასეთი არეული, როგორც ახლაა... ცა და მიწა ბუნებრივად ინარჩუნებენ უცვლელობას, მზე და მთვარე ბუნებრივად ანათებენ, ვარსკვლავებს თავიანთი ბუნებრივი განლაგება აქვთ, გარეული ფრინველები და მხეცები ბუნებრივად ცხოვრობენ, ხეები ბუნებრივად იზრდებიან. მტრედი თეთრია არა იმიტომ, რომ იღებება. თევზი წყალში ცოცხლობს, ხმელეთზე კი იღუპება, მას არ შეუძლია მიატოვოს მდინარე ან ტბა. კარგი იქნებოდა, შენც დაგეცვა ბუნებითობა, დამორჩილებოდი **დაოს** და **დეს**, აუცილებელი არ არის, ასეთი გულითადობით ვაგრცელებდეთ მოძღვრებას მოყვასობასა და სამართლიანობაზე. შენი მოქმედება მაგონებს კაცს, დაფდაფებს რომ სცემს და თავად იუბედურებს თავს. მოძღვარო! ამით მხოლოდ აწუხებ ადამიანებს!..

ამ შეხვედრის შემდეგ სამი დღე დუმდა თურმე კონფუცი. მოწაფეთა შეკითხვაზე, თუ რით დაუპირისპირდა ლაო-ძის, უპასუხნია: არათუ დაუპირისპირდი, პირის გაღებაც ვერ შევძელი... მე ვიცი, რომ ფრინველებმა იციან ფრენა, თევზებმა იციან ცურვა, ცხოველებმა იციან სრბოლა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველა მათი შეჩერება შესაძლებელია. რაც შეეხება დრაკონს, მისი შეჩერება შეუძლებელია. მე არ ვუნცი, როგორ მაღლდება იგი ცად ქარსა და ღრუბლებში. მე ვნახე ლაო-ძი, იგი ნამდვილი დრაკონია. იგი ხან ხილულ არსებად წარმომიდგა, ხანაც ნისლეულ არსებად. მას ძალუძს ღრუბლებში სრბოლა და **ინისა** და **იანის** ციური სხივებით სუნთქვა. მისი შეჩერება შეუძლებელია!..

შემდეგი შეხვედრის დროს კონფუციის შეუჩივლია ლაო-ძისთვის: „მე გამოვეცი პოეზიის წიგნი, წიგნი ისტორიისა, ადათ-წესებისა, ტრაქტატი მუსიკაზე და ცვალებადობათა წიგნი. მე დავწერე მატრიანე გაზაფხულისა და შემოდგომისა. მე ვსწავლობდი ძველ მეფეთა ზნეს. მე გავასხივოსნე ბრძენთა უზენაესი ქმედებანი. და მაინც არავინ მთვლის ღირსად მიმსახუროს. როგორც ჩანს, ძნელია ხალხის დარწმუნება!“ ლაო-ძის მიუგია: „ძველ მეფეთა მემკვიდრეობას ექვსი თავისუფალი ხელოვნება შეადგენს. ის, რასაც შენ იქმ, უმთავრესად მოძველებულ მაგალითებს ეყრდნობა. შენ მხოლოდ ძველის ნაკვალევით მიდიხარ, ახალს არაფერს ქმნი... ის, რაც გარდასულია, შეუძლებელია მისი დაბრუნება. გარდუვალობას ვერ გაექცევი, დროის მდინარების შეჩერება შეუძლებელია. **დაოს** ვერ ჩაკეტავ. ვინც შეიცნო **დაო**, ბუნებობის კანონს მორჩილებს, ვინც ვერ შეიცნო **დაო**, არღვევს ბუნებობის კანონს“. კონფუციმ მოწინებით მოუსმინა ლაო-ძის, დრაკონსაც კი შეადარა, მაგრამ ვერაფერი შეისმინა მისგან. ასეთი იყო ლაო-ძის ბედი მთელს ჩინეთში: მას უსმენდნენ და აღიარებდნენ კიდევ, თუმცა მაინც შეაქცია ზურგი ჩინეთს და ახალი რელიგიის მოსახილველად საკუთარ უსასრულობაში გადაიხვეწა. მხოლოდ მოგვიანებით აღიარეს მისი მოძღვრება. აკი თვითონაც ამბობს ერთგან: „ო, რა გვიანია სიტყვა: ბრძნული და დაუნჯებული!“

*

სინოლოგების საერთო აზრით, „დაო დე ძინში“ მოცემულია სტიქიური დიალექტიკის პლასტიცი და გულუბრყვილო მატერიალიზმის ელემენტებიც. მას განიხილავენ იდეალიზმის ნიმუშადაც და მასში მატერიალისტურ ტენდენციებსაც ჭვრეტენ. უმთავრესი ხაზი მაინც იდეალიზმისკენ იხრება. თუმცა ზოგიერთი გამონათქვამი **დაოს** შესახებ მის მატერიალისტურ სანყისებსაც გვაფიქრებინებს. რუსი მეცნიერი და ორიენტალისტი ა. ა. პეტროვი ლაო-ძის ობიექტური იდეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს ფუძემდებლად თვლის არა მხოლოდ ჩინურ, არამედ მსოფლიო ფილოსოფიაში, ხოლო მის მოძღვრებას მონისტურ მოძღვრებად მიიჩნევს და წერს: „დაოიზმი, გამოვლენილი „დაო დე ძინში“ და განხილული როგორც აბსოლუტური პირველმიზეზი და სამყაროს არსი, წარმოადგენს მკაცრ მონისტურ სისტემას. ეს ობიექტური იდეალიზმის ნაირსახეობაა და ლაო-ძი, რომელსაც ამ ტექსტს მიაწერენ, პლატონთან ერთად უნდა ვაღიაროთ იდეალიზმის სკოლის პირველშემოქმედად მსოფლიო ფილოსოფიაში“. „დაო დე ძინში“ მოცემული საგანთა და მოვლენათა წინააღმდეგობა და ცვალებადობა, მაგრამ დასაბამის უცვლელობა და მისი ერთარსებად აღიარება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება **დაოს** კანონის აბსოლუტიზაციაში, სამყაროს არსად მის გარდასახვაში. ბუნების წინააღმდეგობრიობას რომ ჭვრეტდა, ლაო-ძი მის გადწყვეტას ხედავდა ერთიანობაში. ერთიანობას აღიარებდა საგანთა წარმოშობისა და ცვალებადობა — უცვლელობის ერთადერთ საფუძვლად, რადგანაც **დაო** ერთიანია და განუყოფელი. ამ ერთიანობის, ანუ იგივე **დაოს** წვდომა კი, ლაო-ძის მიხედვით, მხოლოდ

გონების ჭვრეტითი შემეცნებით არის შესაძლებელი. იგი ამ გზით ცდილობდა აეხსნა ყოფიერების სულიერი აზრი, მისი შინაგანი კანონები თუ კანონზომიერებანი. ლაო-ძის სწამდა, რომ საგანთა და მოვლენათა მსწრაფლწარმავალ დინებაში იდო რალაც არსებითი — უცვლელი და მარადიული. ამ მარადიულობისა და ჭეშმარიტი მშვენიერების ხილვა მხოლოდ გონების-თვალთ არის შესაძლებელი, ჭეშმარიტი სიკეთე კი მხოლოდ ჩვენს სულს ეცხადება. ყოველივე ნივთიერი და სახიერი ლაო-ძის ყოფიერების ალბათობად ესახებოდა. მისთვის უცვლელი, უძრავი და მარადიული მხოლოდ **დაოა** — მომცველი და დასაბამი მთელი ყოფიერებისა და არყოფნისა.

ცნება **დაო** ჩინურ აზროვნებაში ლაო-ძიმდეც არსებობდა, მას იყენებდა თითქმის ყველა ჩინელი ფილოსოფოსი, მათ შორის კონფუციც, მაგრამ ამ ცნებაში სხვადასხვა აზრს დებდნენ. ლაო-ძიმ სრულიად ახალი და განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა **დაოს**. როგორც სინოლოგები გადმოგვცემენ, ეს ცნება ჯერაც ბოლომდე გაუხსნელი და დაუდგენელია მეცნიერებაში, მას ყველა თავისებურად განმარტავს. მაქს მიულერი წერდა: „ერთი რამ ცხადია, რომ კაცობრიობის ფილოსოფიურ და რელიგიურ განვითარებაში არავითარი წარმოდგენა არ არსებობდა იმგვარ წარმომავლობასა და განვითარებაზე, როგორიც არის ჩინური **დაო**. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თავდაპირველად **დაო** ნიშნავდა ბილიკს, ანუ გზას. მაგრამ შემდეგ მან შეიცვალა თავისი მნიშვნელობა“.

ჩინური ფილოსოფიური აზრის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე **დაოს** ცნება სხვადასხვა შინაარსს შეიცავდა. როგორც იან ხინ-შუი გად-

მოგვცემს, ცნება **დაო** გრაფიკულად გამოისახებოდა ორი ნაწილისაგან შემდგარი იეროგლიფით: თავი და სვლა. მათი შეერთებით ვლებულობთ ერთიან ცნებას: სვლის მთავარი მიმართულება, იგივე „მოძრაობის ძირითადი მიმართულება“, ანუ გზა. პირველი ჩინელი მოაზროვნეები ფართოდ იყენებდნენ **დაოს** ცნებას ადამიანის „გზის“, „მიმართულების“, „ძირითადი კანონის“ მოძრაობის ზნეობრივი და ეთიკური თვითსრულქმნის გამოსახატავად. თანდათან ცნება **დაო** იძენს სხვადასხვა მნიშვნელობებს. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ წიგნში „ძო-ჯუანში“ **დაოს** აღნიშავდნენ „შეტყობინების“, „მოძრაობის ხაზის“ მნიშვნელობით, ხოლო წიგნში „ლი-ძი“ **დაო** გაიგივებულია „ამოსავალთან“, „დასაბამთან“. ეს ცნებები გამოხატავენ როგორც სამყაროულ კანონებს, ისე ადამიანური ცხოვრების კანონებსაც. **დაო** გამოხატავს სამყაროს უდიადეს გზასაც და ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების გზასაც. ამის საფუძველზე წარმოიშვა ცნებები „**დაო-დე**“: „**გზა — სათნოება**“ ანუ „სათნოების გზა“. **დაო** არა მარტო გზას და ეთიკურ განსაზღვრებას — სათნოებას აღნიშნავს, არამედ აზროვნების კანონსაც — ლოგიკას.

„დაო დე ძინში“ ცნება **დაო** იძენს მკვეთრად გამოხატულ ონტოლოგიურ შინაარსს, სამყაროს **არსის**, სამყაროს პირველმიზეზის მნიშვნელობით, აგრეთვე კანონზომიერებას, რაც არსისეულია ბუნებისა და საზოგადოების ყველა საგნისა და მოვლენისათვის. უპირველეს ყოვლისა, ამ თხზულებაში **დაო** განიხილება როგორც წყარო სინამდვილის დაუსრულებადი მრავალფეროვნებისა. **დაო** უადრესია ყოველ არსთა წინაპრისა, მაგრამ არავინ უწყის, საიდან იშვა იგი. **დაო** გვეცხადება როგორც უპიროვნო, არასახიერი

დასაბამი, ბუნებამდელი არსი, წარმომშობი ყოფიერებისა. სამყაროს ეს მარადიული და უცვლელი პირველსაწყისი, უდიდესი და ყოვლისდამტვევი დასაბამი მხოლოდ თვითმოძრაობის საკუთარ კანონებს ემორჩილება. აღიარებულია, რომ ძველ ჩინელ ბრძენთა შორის ლაო-ძიმ პირველმა მოგვცა **დაოს** ყოველმხრივი დასაბუთება და ანალიზი არა როგორც მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიისა, არამედ როგორც რელიგიური არსისა. ლაო-ძის **დაოს** ჩინელები განიხილავენ როგორც ლოგოსსაც, სამყაროულ გზასაც, ღმერთსაც, სამყაროს პირველმიზეზსაც, სულიერ პოტენციასაც, წმინდა და ტრანსცენდენტალურ ყოფიერებასაც. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი და „დაო დე ძინის“ ერთ-ერთი პირველი კომენტატორი **ვან ბი** ასე განსაზღვრავს **დაოს**: „უძრავია! ცარიელია! არა აქვს არც სახე-ბა, არც სხეული, არ მოეძეება თავისივე მსგავსი. ამიტომ თქმულა მასზე: არ იცვლება“.

დაოიზმის მეორე დიდი წარმომადგენლის **ჯუან-ძის** მიხედვით **დაოს** ახასიათებს: „სწრაფვა და უმცდარობა“, მაგრამ იგი „მოკლებულია მოქმედებასა და ფორმას“. **დაო** „ძირი და დასაბამია თავისივე თავისა“, არსებობს „უადრეს ცისა და მიწის“, „არსებობს უხსოვრობიდან“. **დაო** არათუ „უხსოვრობიდან არსებობს“, შესწევს ძალი „სასიცოცხლო ძალა მიანიჭოს სულებსა და წინაპრებს, შვას ცა და მიწა“. **დაო** შემოქმედია ყოველი არსისა. **ჯუან-ძის** მიხედვით, ბუნებითია **დაოც** და **ცაც**, რადგანაც **დაომ** შვა **ცა**. მისი გამოთქმა „ცისგან განრიდება“ გულისხმობს ბუნებითობის კანონის დარღვევას, მის ხელყოფას. **დაო ცის** უადრესია. აქედან გამომდინარე, **დაო** ცაზე მაღლა მდგომი არსებაა, იგი ცაზე ადრეულია დროსა და სივრცეში.

ლაო-ძის მიხედვით **დაო** ასე გამოიყურება: **დაო** არის აბსოლუტური დასაბამი, შემქმნელი ყოველი არსისა, ყოველივეს პირველმიზეზი, ძირი ყოფიერებისა, დასაბამი სამყაროული შემეცნებისა. **დაო** სიცარიელეა, ის უფეროა, უმზერ და ვერ ხედავ, უსხეულოა — ეხები და ვერ წვდები; ის „იდუმალი მდედრია“. უხმოა: უსმენ და არ გესმის; **დაო** მშვიდია, განმხოლოებულია, უცვლელია. ყველგან და ყველაფერში მიმოიძვრის, მაგრამ საფრთხე არასოდეს ემუქრება. მოვლენები მისი წყალობით განიცდიან ცვალებადობას, მისი წიაღიდან ამოედინებიან და მის წიაღშივე ინთქმებიან. იგი უფორმოა და მიზეზია ყველა ფორმათა, მარადიულია, ერთიანია, დასაბამიერია, უსამზღვროა, გამოუთქმელია, უწიალო წიაღია, ამოუნურავია. **დაო** ყოვლისმომცველია, ყველგან განფენილია და სამყაროს დამბადებელია, ყველა მომდევნო იერარქიაშია შეჭრილი, — ცით და მიწით დაწყებული და ადამიანით დამთავრებული. ყველა და ყველაფერი მას მორჩილებს: ცა, მიწა, ხელმწიფე, ხალხი. **დაო** გზაა, რაზეც მიედინება მთელი ორგანული და არაორგანული სამყარო; იგი საყოველთაო ობიექტური კანონზომიერებაა ბუნებისა, კანონია ქვეყნის მმართველობასა და ცალკეულ ადამიანთა ქმედებაში. **დაო** არსებობისა და საგნების ჯამია, მოვლენათა სამყარო და მათი სიმწყობრეა. ის არის ყველაფერი და არაფერი, რაობა და არაობა, არავის შეუქმნია, ყოველივეს ის იქმს და ყოველივე მასში უკუიქცევა. მისი წვდომა შეუძლებელია გრძნობის ორგანოებით. არაფერი, რასაც ვხედავთ, რაც გვესმის, რასაც შევიგრძნობთ, რასაც ვგებულობთ — არ არის **დაო**. არაფერთან მისი შედარება არ შეიძლება. თავად

უსახელოა, მაგრამ სხვებს ანიჭებს სახელს და სახელწოდებას. **დაო** სიტყვებით არ გამოითქმის. თუმცა **დაო** ყოველთვის წინამძღვრობს, ყველაზე უდაბლესია და არ მძლავრობს. თუმცა ყოველივე მას მორჩილებს, თავის თავს არ თვლის მეუფედ. არ მედიდურობს და თავის უმთავრეს თვისებად სისუსტეს მიიჩნევს.

დაო დაფარულია, განუსაზღვრელია და განუმარტავი, არასახიერი არსია ყოფიერებისა. მას არ გააჩნია არც ნებელობა, არც ცნობიერება. ის განურჩევლობაა, მარადიულია და უცვლელი, მაგრამ სამყაროში ეს ერთიანობა და განურჩევლობა ვლინდება როგორც მრავალსახოვნება, როგორც ყოფიერება მრავალფეროვანი ფორმებისა და მოვლენებისა. არქიმანდრიტ ხრისანფის აზრით, **დაო** არის სამყაროს სუბსტანცია პანთეისტური წარმოდგენით. ხილვადი, ანუ ნივთიერი სამყარო არის **დაოს** გამოვლენა მისი არანამდვილი, ყოფიერების დაბალი ფორმით. ნამდვილი ყოფიერება მდგომარეობს ამ სახიერი, ნივთიერი ყოფიერების უარყოფაში, არსებული ნუთისოფლის მოთხოვნების დავინყებაში და თვითჭვრეტის გზით **დაოს** ყოფიერებაში შედღნევა, ანუ სიცარიელეში, არყოფნაში გათქვეფა. **დაო** არის „წყლები უხილავი ჭებისა“.

ლაო-ძი **დაოს** შეიმეცნებდა როგორც დაფარულ არსებობას, როგორც არყოფნას. **დაო** შეესაბამება ქაოსს და არის სანყისი ცისა და მიწის. შექმნის მერე **დაო** ფარული მდგომარეობიდან გადადის ცხადიერ არსებობაში, არარსებობიდან არსებობაში, არყოფნიდან წარმოიშვება ყოფიერება. არყოფნა და ყოფიერება ერთია. თუმცა გამოვლენაში ორია, ორივეს სახელი ერთია: **დაო**. იგი არის გზაც და სუბსტანცია-

აც, რისი შეცნობაც მხოლოდ გონმჭვრეტელობით თუ შეიძლება. ჩინელი მოაზროვნეებიდან მხოლოდ ლაო-ძი არ მიიღო სამყარო როგორც ფაქტი, რაც დაექვემდებარებოდა მხოლოდ მოცემული ფაქტის საზღვრების ახსნას და იქნებოდა გამომდინარე სამყაროს არსებობის გრძნობითი აღქმიდან. ლაო-ძი ერთადერთი იყო, ვინც ცდილობდა ყოფიერების არსის გონმჭვრეტით წვდომას. აქედან გამომდინარე, მისი მოძღვრების მიხედვით, **დაო** შეიმეცნება გონმჭვრეტით და თავის საკუთარ ყოფიერებაში იგი **უნმინდესი სულია**. ვლადიმერ სოლოვიოვი ლაო-ძის აღიარებს „ყვითელი რასის უდიადეს და, შეიძლება, ერთადერთ გონმჭვრეტელ უბრძენეს ფილოსოფოსად“. და ჭეშმარიტად, ლაო-ძი ფიქრობდა, რომ არსებობს უმაღლესი სამყარო, რაც მხოლოდ ჩვენს გონებას ეცხადება. ხილვადი ყოფიერება შეზღუდულია და დასრულებადი, ამდენად წარმავალიც არის. ამიტომ მას აქვს საწყისი. მისი საწყისი არის **დაო**, რაც არავითარ განზომილებას არ ემორჩილება. **დაო** მარადიული ყოფიერებაა და ამიტომ არ ექვემდებარება ცვალებადობას. სუბსტანციაში მისი არსებობა სრულქმნასა და ნეტარებაში, მარადისობასა და უკვდავებაში არსებობაა. **დაოს** მფლობელი იძენს ბუნებაზე გაბატონების ძალას და მარადიული ხდება, ანუ სხვა არსში მარადიულად გადასახლებადი სულია. **დაო** არსებობს თავისთავად, თავის თავში და არაფერ გარემყოფზე არ არის დამოკიდებული. მას არა აქვს მიზეზი, არც არაფრის შედეგი არ არის, თავად არის საკუთარი თავის შემქმნელიცა და დასაბამიც. „მინა ცის კანონს მორჩილებს. ცა **დაოს** კანონს მორჩილებს. **დაო დაოს** კანონს მორჩილებს“.

ლაო-ძის მიხედვით, მთელი სამყარო განიხილება როგორც არსთა ბუნებითი განვითარების დაუსრულებადი მდინარეა. **დაო** თავის შინაგან განვითარებაში ბადებს სამყაროს ყველა მრავალფეროვნებას, რამდენადაც იგი თავის თავში შეიცავს სუბსტანციურ მარცვალს ყოველ არსთა და მოვლენათა. იგი განიმარტება როგორც უარყოფა და თავის თავში ყოფიერების ყველა შესაძლებლობას შეიცავს. **დაოს** წვდომა, დაოსური მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი გააზრების მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ მისტიკური ჭვრეტის გზით. ამიტომ ქადაგებენ ისინი სრულ განკერძოებას, განდგომას ყოფითი სამყაროსაგან, საგანთა მგრძნობელური წვდომისაგან და ქადაგებენ ასკეტიზმს, მორჩილებას, ბუნებითობას. არქიმანდრიტი ხრისანფი წერს: „სამყარო არის **დაოს** გამოვლენა მის ცხადიერ, ყოფიერების დაბალ ფორმაში. ჭეშმარიტი ყოფიერება მდგომარეობს ამ არარა, ხილვადი ყოფიერების უარყოფაში... ლაო-ძი აღიარებს ასკეტიზმს, ასე უცხოოს ჩინური სულისათვის, და გონმჭვრეტელობას, ასე შეუცნობადს ჩინეთის ეროვნულ ბრძენთაგან. სწორედ ეს ასკეტიზმია გზა მარადიულ **დაოსთან** შეერთებისა. დაუნჯებული ადამიანი თავისუფლდება ყოფიერების ბატონობისაგან და შეერწყმის **დაოს**“.

ლაო-ძი აღიარებს, რომ **დაო** არა მარტო შობს ყოველ არსს, არამედ დედობრივი მზრუნველობითაც ექცევა მათ. ის შეუღწევადში აღწევს, უმცირესიცაა და უდიდესიც, ნაწილიცაა და მთელიც. **დაო** სამყაროს ერთიანობაა. ადამიანის გონებას არ შესწევს უნარი, წარმოიდგინოს მასზე უმაღლესი არსება. იგი ფლობს თავის შინაგან ერთარსებობას და განუყოფლობას. ის მხოლოდ თავის თავს მორჩილებს

და ერთარსებაა. ერთარსება რომ არ იყოს, არ იქნებოდა აბსოლუტური ყოფიერება. **დაო** მძლეთამძლეა, თუმცა სუსტია და ნაზი, რადგანაც უსხეულო გონია. რამდენადაც იგი სუსტი და ნაზია, იმდენად უფრო ძლიერია, სუსტი და ნაზი მარადიულად ცოცხლობს. **დაო** ქმნის საგნებს, მაგრამ გვეცხადება როგორც უპიროვნო, უცვლელი სუბსტანციური განსაზღვრება, როგორც განყენებული პირველსახე. იგი უფორმო ფორმაა, უსახო სახებაა. **დაო** არის ერთიანი. **დაო** არის არყოფნა, რაც შეიცავს ყოფიერების ყველა შესაძლებლობას. „უუქცევადია **დაოს** მოძრაობის გზა“, მაგრამ ის ყოველთვის უცვლელია თავის აბსოლუტურ არსში. „დაო დე ძინში“ ვკითხულობთ: „**დაო** ცარიელია. ცარიელია, მაგრამ ამოვლინებისას: ამოუღვეელია“. **დაოში** იკრებს თავს ყველა წინააღმდეგობა და თანხმიერდება. **დაოს** ერთ-ერთი უძირითადესი თვისებაა გამოვლენის თვითბუნებითობა. **დაოს** მუდამ თან ახლავს: „არ არის“. მისი პრედიკატი რომ „არის“ იყოს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი საგნის რიგში ჩადგებოდა. ის, რაც „არის“ — იცვლება. ის რაც „არ არის“ — არ იცვლება. ცვალებადობა არის მოძრაობის გამოვლენა. ყოველნაირი მოძრაობა თავისი ბუნებით დასრულებადია, ამიტომ დასრულებადია „ყოველი არსიც“, რაც იცვლება, ანუ მოძრაობის მდგომარეობაში იმყოფება. **დაო** არ იცვლება. ამიტომ იგი არ იმყოფება მოძრაობაში, არამედ უძრავია და უცვალებელი.

ლეგისტური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ხან ფეი წიგნში „ხან ფეი ძი“ ხატოვნად განმარტავს **დაოსა** და **დეს** ცნებებს: „აღმოცენებად ხეს აქვს რბილი (გაშლილი) ფესვები და აქვს სწორი (ვერტიკალური) ფესვი. სწორი ფესვი არის ის,

რასაც ლაო-ძის წიგნში დასაბამი ეწოდება. დასაბამი არის ის, რითაც მკვიდრდება ხის სიცოცხლე, ხოლო რბილი ფესვები არის ის, რითაც მტკიცდება ხის სიცოცხლე. **დე** არის ის, რითაც მკვიდრდება ადამიანის სიცოცხლე. კეთილდღეობა არის ის, რითაც მტკიცდება ადამიანის სიცოცხლე“. ჯერ კიდევ **ინის** ეპოქაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ **დეს**. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ ფილოსოფიურ თხზულებაში „პან გენი“ წერია: „ჩვენ ყველანი ერთსულოვნებითა და სათნოებით აღვსილნი უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი“. **დე** სათნოებას ნიშნავს. მაგრამ იგი უფრო ღრმა და კომპლექსური შინაარსის ცნებაა, ვინემ სათნოება. **დე** არის ცალკეულ ინდივიდში **დაოს** ინდივიდუალური გამოვლენის ფორმა. იგი ინდივიდის ზნეობრივი სრულქმნის და **დაოსთან** მისი თანხმობის გამომხატველია. იან იუნგოს განმარტებით, იეროგლიფი **დე** უძველეს ჩინურ სამკითხაო ძვლების წარწერებზე აღინიშნებოდა **სიუნ**-ით, რაც მორჩილს ნიშნავს. ეს ყოფილა იგივე იეროგლიფი **ჯი**, რაც სამართლიანს ნიშნავს. ძველი წარმოდგენით **ჯი** ყოფილა იგივე **დე**. იეროგლიფი **დე** კი ნიშნავს თანხმობას, ანუ მშვიდობას ადამიანებთან და საკუთარ თავთან მიმართებაში. ჯოუს ეპოქას ცნება **დე** ინის იმპერიისაგან შეუთვისებია მემკვიდრეობით. ჯოუელები თურმე თვით აღიარებდნენ ამას: „ინის ბრძენი მეფენი **დეს** აღიარებდნენ ქცევის ნიმუშად. ამის შედეგად ხალხი სიხარულითა და ნებაყოფლობით ასრულებდა თავის მოვალეობას. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მათი ხელმწიფებით“.

როგორც აღვნიშნეთ, **დე დაოს** სახეა, ინდივიდში განხორციელებული. **დე** გამოხატავს პიროვნების ზნეობრივ სრულქმნას, რაც **დაოს** მორჩილებით

მიიღწევა და ნიშნავს ბუნებასთან აბსოლუტურ თანხმობას. **დე** ის არის, რაც ცისა და მიწის წყალობით არის ბოძებული, რითაც ძლიერდება **ინ** და **იან** ძალები. **დე** ადამიანური ცხოვრების იდეალური კანონია, დაოიზმის ძირითადი ეთიკური საწყისი და ცნებაა. ასე რომ, **დე** განეკუთვნება ადამიანის ბუნების წვრთნისა და აღზრდის სფეროს, ადამიანის ზნეობის კანონებსაც და მმართველობის კანონებსაც. როგორც კი დაირღვევა ზნეობისა და მმართველობის კანონები, მაშინვე უთანხმოება და განხეთქილება იწყება. ჯოუს დინასტიელნი, ინის ეპოქის საუკეთესო ტრადიციებს რომ აგრძელებდნენ, ინის დინასტიის დამხობის ძირითად მიზეზად იმას თვლიდნენ, რომ ინის ხელმწიფენი არ ზრუნავდნენ ხალხის ზნეობრივ ამალღებაზე, „არღვევდნენ მმართველობის კანონებს და უარყოფდნენ სათნოების აღზრდის საფუძვლებს“. ჯოუელებმა გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანეს სათნოების საფუძვლების დაკანონება ხალხშიც და სახელმწიფო მმართველობაშიც. ისინი დაბეჯითებით აღიარებდნენ: „სრულიად ცხადი და ნათელია, რომ იქ, სადაც მმართველობა მოკრძალებასა და სათნოების საფუძვლებს ექვემდებარება, შეუძლებელია უწესრიგობა წარმოიშვას“. მათთვის სათნოების ძირითადი პრაქტიკული გამოხატულება იყო წესრიგი. ჯოუს ეპოქაში **დეს** გამოხატულად შემდეგი ცნებები იქცა: მშვიდობა, აღორძინება, სიმართლე, ნათლიერება, მეგობრობა.

„დაო დე ძინში“ ცნება **დე** ორი ძირითადი მნიშვნელობით ვლინდება. ფართო მნიშვნელობით იგი აღნიშავს **დაოს** ძირითად თვისებებს, ხოლო შედარებით ვიწრო მნიშვნელობით ადამიანის სათნოების განმსაზღვრელ ცნებას, ეთიკურ და ზნეობრივ კატე-

გორიას. ლაო-ძიმ, თანამედროვე საზოგადოების დაცემის მიზეზებს რომ ეძიებდა, შექმნა ისეთი მოძღვრება, რასაც ჭეშმარიტების გზაზე უნდა დაეყენებინა ადამიანი. ამიტომ იგი ზნეობას განიხილავს, როგორც ამაღლებულსა და სულიერ კატეგორიას, ზნეობის განმსაზღვრელად კი მას მიაჩნდა **დაო** — დასაბამი სამყაროსი. **დაოს** მორჩილებას სიკეთედ აღიარებდა, **დაოს** უარყოფას — ბოროტებად. პირველი მარადისობაა, მეორე წარმავლობა: „ვინცა მორჩილებს **დაოს**: **დაოს** თანაარსია. ვინცა მორჩილებს **დეს**: **დეს** თანაარსია. ვინცა მორჩილებს წარმავალს: წარმავლის თანაარსია“. **დაო**, როგორც სამყაროს მიუწვდომელი არასახიერი არსი, აბსოლუტური არარა (ანუ არყოფნა), ცხადიერდება და შეიმეცნება გამოვლინებების ანუ **დეს** წყალობით. **დაო** დროისა და სივრცის გარეთ მდგომია, დაუსრულებლობა და აბსოლუტური სუბსტანციაა. თვით ცაც კი **დაოს** მორჩილებს, **დაო** კი მხოლოდ საკუთარ თავს. ასეთია ბუნებითი გზა ყოველი არსის არსებობისა. **დაო** შობს ყოველივეს, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ **დეს** მეშვეობით ვლინდება სახედ. **დე** უმაღლესი სათნოებაა, **დაოს** წვდომის სახიერი ფორმაა. ვან ბის გამოთქმით — „**დაო** ისაა, საიდანაც იშვის ყოველი არსი“. თუკი **დაო** სუბსტანციური ბუნებისაა, **დე** მისი მუდმივი და განუყოფადი გამოვლინებაა, მისი აუცილებელი და არსისეული თვისება და კანონზომიერებაა. თუკი **დაო** წყაროა დაბადებათა და აღმოცენებათა, **დე** ფორმაა ხილვადი სამყაროს განვითარებისა. ამ გენეტიკურ კავშირს ლაო-ძი ასე გადმოგვცემს: „**დაო** შობს ყოველ არსს. **დე** კვებავს ყოველ არსს, ხორცქმნის და მფარველობს მათ. ზრდის და აწიფებს მათ. სრულქმნის და წინამ-

ძღვრობს მათ. მზრუნველობს და თანალმობს მათ“. თავიანთ მოქმედებაში **დაო** და **დე** მუდმივ და განუყოფად კავშირში არიან, **დე** ემორჩილება **დაოს**. **დაო** არის ზოგადი კანონი, რისი წყალობითაც სულდგმულობს ყოველი არსი. ხოლო **დე** არის **დაოს** კერძო კანონი, რისი წყალობითაც სულდგმულობს ცალკეული საგანი, მათ შორის ადამიანიც. ჯუან-ძი იმეორებს ლაო-ძის აზრს: „**დაოს** გარეშე არ იშვის ყოველი არსი, ხოლო **დეს** გარეშე არ ვლინდება მათი სიცოცხლე“. ყოველი არსიც იმიტომ სულდგმულობს, რომ განუხრელად მორჩილებს **დაოს**.

დაო დაფარული დასაბამია და არსია სამყაროსი, მისი შეცნობა მხოლოდ ხილული სამყაროთია შესაძლებელი. **დაოს** შემეცნება ხორციელდება ქაოსიდან მისი გათავისუფლების, მისი ბრწყინვალეების დაცხრომის, მტვრის ნაწილაკებთან მისი შერწყმის შედეგად. შემეცნების პროცესში — ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას უხილავი **დაოდან** ხილვად **დე-ზე** — ადამიანი აღმოაჩენს მუდმივ, უცვლელ რაღაცას, რაც ნივთიერ საგნებსა და მოვლენებში ძევს. ლაო-ძი ამ მუდმივ განზომილებას უწოდებს **დეს**, რისი შემეცნებითაც მივწვდებით უხილავ, უხმო, უმცირეს **დაოს**. „დაო დე ძინში“ ცნება **დე** მოხმობილია საგანთა ან მის ატრიბუტთა მუდმივი თვისებების მნიშვნელობით. სოციოლოგიური თვალსაზრისით კი მას ეთიკური ნორმის, ანუ სათნოების, ზნეობრივი სრულქმნის მნიშვნელობა ენიჭება. ამნაირად, **დე** არის **დაოს** სხეულებრივი გამოვლენა, **დეს** წყალობით ვლინდება **დაო** საგანთა სამყაროში. ორივეს ერთი ძირი კვებავს. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა დაიპყრა ვნებები: იხილა **დაო** დაფარულისა. ვინცა დაიპყრა ვნებებმა: იხილა **დაო**

ყოფიერისა. ერთია ორივეს დასაბამი. სხვადასხვა — სახელებია. ამ დასაბამს — დაფარული ჰქვია“. ამ შემთხვევაში ცნება „**დაო** ყოფიერისა“ **დეს** სინონიმად უნდა იქნას აღქმული.

„დაო დე ძინში“ ხშირად გვხვდება ისეთი ზნეობრივი თვისებების გამომხატველი ცნებები, როგორცაა: კაცთმოყვარეობა, ზომიერება, მომჭირნეობა, მოკრძალება. კაცს ყოველ წამს დაღუპვა ემუქრება, თუკი უარყოფს ამ ზნეობრივ თვისებებს. ამიტომ ადამიანის ბუნებაში მთავარია **დე**, ანუ **დაოს** სახიერი გამოცხადება. **დე**, როგორც ადამიანში მყოფი უმაღლესი ეთიკური საწყისი, მოითხოვს გამუდმებულ სრულქმნას, რისი წყალობითაც ეთიკური კანონები იძენენ ზემოქმედების განსაკუთრებულ ძალას.

დაო და მისი მუდმივი გამოვლინება **დე** მარადიულნი და უცვლელნი არიან თავიანთ მოქმედებაში. მათი წყალობით ხორციელდება ბუნებასა და საზოგადოებაში დაუსრულებელი პროცესები ცვალებადობათა და გარდაქმნათა, საგანთა და მოვლენათა დაუსრულებელი წრებრუნვა.

*

ლაო-ძის მოძღვრებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი **ბუნებითობის** კანონს უჭირავს. ლაო-ძი ფიქრობდა, რომ ბოროტება, სუროსავით რომ ეხვეოდა ჩინეთს, კერძოდ კი ჯოუს ეპოქის იმპერიას, ტრადიციული ეთიკისა და ზნეობის აღორძინებაში მდგომარეობდა, ე. წ. „ნეტარ ხელმწიფეთა მოძღვრების“ აღიარებაში, რასაც კონფუცი ეფუძნებოდა. ლაო-ძიმ ამიტომ დაისახა მიზნად მიეცა ხალხისათვის ბუნებით ყოფიერებას დაეფუძნებული მოძღვრება. იგი, კონფუცის საპირისპიროდ, არ ცდილა ადა-

მიანებისათვის თავს მოეხვია თავისი თვალსაზრისი და ზეგავლენა მოეხდინა მათზე. ეს დაარღვევდა ბუნებითობის კანონს და მისივე მსოფლმხედველობის საწინააღმდეგო იქნებოდა (გაიხსენეთ კონფუციუსა და ლაო-ძის დიალოგი ბუნებითობის შესახებ). ყალბი ქადაგებით კი არ ცდილა დაეხსნა კაცი დაბნეულობისაგან, არამედ სურდა აღედგინა ადამიანში პირველქმნილი მდგომარეობა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იცნობდა რიტუალს. როცა ჯერ კიდევ არ იყო შეცნობილი მშვენიერება — სიმახინჯის საპირისპიროდ, არ იყო შეცნობილი სიკეთე — ბოროტების საპირისპიროდ. ეს იყო დიადი თანხმობისა და ერთიანობის, ბუნებითობის უმნიშვნელო მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა, ვინ და რა არის ბუნებითი?

დაო. დაოა ბუნებითობის საფუძველთა საფუძველი. ოდეს კაცი ბუნების შესაბამისად მოქმედებს, **დაო** და **დე** ბუნებრივად იძვრიან მის სულში, მის ტანში. ამ დროს კაცი **დაოს** შესატყვისად მოქმედებს. **დაო** მაშინ მოქმედებს ბუნებითად, ოდეს სულში არც განზრახვია, არც მოტივები, არც ძალმომრეობა, არც მოქმედება. ბუნება ვერ იტანს რაიმე გარეგნულ ჩარევას. ვინც ცდილობს შეცვალოს საგანთა ბუნებითი სვლა, დაუმორჩილოს იგი თავის პირად მიზნებს, აუცილებლად დამარცხდება. ლაო-ძი ამიტომ ამბობს: „ვინცა მძლავრობით ეუფლება სამყაროს: აქედანვე ვჭვრეტ — ვერ მიაღწევს სანადელს. სამყარო საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს: შეხება მისი არ ეგების. ვინცა შეეხება: ხელყოფს მის თანხმობას. ვინცა დაეუფლება: უმაღვე დაჰკარგავს მას“. ადამიანს არ შესწევს ძალა შეცვალოს საგანთა ბუნებითი მოძრაობა, რადგანაც იგი თავად არის ობიექტური სამყაროს ნაწილი და მის კანონებს ემორჩილება.

უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ბრძენი ანუ **ყოვლადბრძენი** თავისი სიბრძნის წყალობით უნდა დაუბრუნდეს პირველქმნილ მდგომარეობას და განურჩევლობას, როგორც ჩვილი. ლაო-ძი ამბობს: „მე უბრალო ვარ. მე ერთი ვარ მშვიდად და უჩინარად. მე არვინ მიხმობს. მე ყრმას ვგავარ, ვინცა ჯერაც არ მოვლენილა“. დასაბამში დაბრუნება იერარქიულია, იგივე სრულქმნისაკენ მიმსწრაფი გზაა და უზარმაზარ ძალას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ: „ვინცა უმაღლეს სინმინდეს ფლობს: განკიცხულს ჰგავს. ვინცა უმაღლეს ზნეობას ფლობს: ბრიყვს ჰგავს“. სწორედ „განკიცხულობა“, „სიბრიყვე“, „გული სულელისა“ პირველქმნილობისა და ბუნებითობის სინონიმებად უნდა აღვიქვათ. სამყაროს კოსმოლოგიურ და მეტაფიზიკურ გააზრებაშიც იგივე სურათია: „უუდიდეს ოთხკუთხედს კუთხეები არ უჩას. უუდიდეს ქურჭელს დიდხანს ამზადებენ. უუმძლავრესი ხმა — უხმოა. უუდიდესი სახეება — უსახიერია“. როცა ლაო-ძი უარყოფს „მეცნიერობას“, იგივე „ცრუმეტყველებას“ (და არა აზროვნებასა და შინაგან ცოდნას, წმინდა სიბრძნეს), მას მხედველობაში აქვს **დაოს** აბსოლუტური განურჩევლობის წვდომა წმინდა სულითა და წმინდა, თანხმობადაურღვეველი, გონების ძალით.

დაოსისთვის მთავარი იყო არა წინაპართა სიბრძნე თავისი დიდებული ტრადიციებით, არა კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის ქადაგება სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ბუნებითი უბრალოება და სიმარტივე, ვნებათა და სურვილთა დათრგუნვა და ამ გზით სიმშვიდის მოპოვება. დაოიზმის პირველი ადებტებიც სისადავესა და აზრის სიცხადეს, მორჩილებასა და თანალმობას, ბუნებითობას

და უმოქმედობას ქადაგებდნენ. „დაო დე ძინის“ მიხედვით, ეს არის ყველაზე დიდი სიბრძნეც, კაცთმოყვარეობაცა და სამართლიანობაც. რიტუალი კი, რასაც კონფუცი ქადაგებდა, მხოლოდ ზღუდავს ადამიანის ბუნებით განვითარებას. ლაო-ძისა და კონფუციის საუბრებიდან აშკარად ჩანს ბუნებითობის კანონთან მათი განსხვავებული დამოკიდებულება, რაც სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და პიროვნულ სფეროებში თავისებურად აირეკლება. კონფუციის მიაჩნდა, რომ მისი საუკუნისათვის აუცილებელი იყო საგნებისათვის სახელების დარქმევა. მას სურდა, რომ ადამიანი ყოფილიყო კაცთმოყვარე და ეწოდებინათ ამისთვის კაცთმოყვარეობა, ადამიანს აღესრულებინა თავისი მოვალეობა მშობლებისადმი და ეწოდებინათ ამისთვის მოვალეობა, ადამიანი ყოფილიყო ერთგული თავისი ხელმწიფისა და ეწოდებინათ ამისთვის ერთგულება. ლაო-ძი სხვანაირად ფიქრობდა: „ოდეს დიადი წესრიგი დამყარდა: ყოველს თავისი სახელი ეწოდა. სახელებმა დასამზღვრეს საგანთა სამზღვრები. ვინცა შედგა და შეიცო საგანთა სამზღვრები: საფრთხისაგან დაიხსნა თავი“. ლაო-ძი თვლიდა, რომ თუკი ადამიანებმა უწყიან, ისინი რომ კაცთმოყვარენი, მონინებულნი და ერთგულნი არიან და აღნიშნავენ კიდეც ამას, ეს იმას ნიშნავს, რომ არსი გამქრალა და მხოლოდლა მისი აჩრდილი დარჩენილა. მტრედი ბანაობისაგან არ არის თეთრი, ყვავიცი იმიტომ კი არ არის შავი, რომ იღებება. მტრედმა რომ ბანაობა დაიწყოს, ყვავმა კი ღებვა, განა ეს არ იქნება ნიშანი იმისა, რომ მათ დაუკარგავთ თავიანთი ბუნებითი ფერი და სახე? კაცთა მოდგმაც ასეა. ყველა რომ ნამდვილად კაცთმოყვარე, მონინებული და ერთგული იყოს, არავინ

განსჯიდა ამ ცნებათა შინაარსს და არც არავის დასჭირდებოდა მათი ხსენება. ყველა რომ სათნო იყოს, მანკიერებათა სახელწოდებებიც არ ამოტივიტივდებოდა ადამიანის გონებაში. დუგლასი წერს: „ლაო-ძი თავის გამოთქმებში ისევე მალლა დგას კონფუციზე, როგორც ქრისტეს მცნებანი მოსეს კანონებზე. კონფუცი მიელტოვდა ჭურჭლის გარეგნულ განწმენდას, რიტუალისა და ცერემონიის უცვლელ აღსრულებას როგორც სამეფო კარზე, ისე სამსახურში თუ ოჯახში, სადილობის დროსა და საწოლში წოლის პოზის წესების დაცვას. მაგრამ ლაო-ძი შორს წავიდა და, ბუნების უცვლელი კანონებიდან რომ ამოდიოდა, რისი წყალობითაც მთელ სამყაროში თანამიმდევრობით არის განლაგებული სუსტი და ძლიერი ძალები, ქადაგებდა: „კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლდებიან. და მდაბლდებიან, ოდეს დიადობენ“.

თვითბუნებითობა ყველა წინააღმდეგობას ხსნის და ყოველივე ერთ აბსოლუტურ ერთიანობაში იკრებს თავს. ამას მოაქვს სიმშვიდე და მშვიდობა ქვეყნად. ვან ბი ასე განსაზღვრავს ამ ცნებას: „თვითბუნებითობის მორჩილება ნიშნავს იყო კვადრატში და მორჩილებდე კვადრატს, იყო წრეში და მორჩილებდე წრეს“. ოდეს სრულ თვითბუნებითობას მივალწევთ, მოიხსნება ურთიერთწინააღმდეგობა ჭეშმარიტსა და ცრუს, სიყვარულსა და სიძულვილს, სინათლესა და სიბნელეს, დაბადებასა და სიკვდილს, კეთილსა და ბოროტს შორის. თვითბუნებითობის ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლინებაა **უმოქმედობა („უ-ვეი“)**. უმოქმედობის პრინციპმა განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ჩინური ფილოსოფიური აზრის (და არა მხოლოდ ფილოსოფიური) შემდგომ განვითარებაზე. ეს პრინციპი „დაო დე ძინში“

იღებს თავის კანონიზირებულ დასაბამს. უმოქმედობა, როგორც ეთიკური პრინციპი, არის ანარეკლი დაოსური მეტაფიზიკური არყოფნისა, რის უმთავრეს ატრიბუტს თვითბუნებითობა წარმოადგენს. უმოქმედობა ბუნებაშივე ძევს და მისი გამოვლინებაა. კაცი, თუკი სურს არ გაუბედურდეს, მოვალეა დაიცვას უმოქმედობა, რადგანაც **დაო** ვერ ითმენს ვერავითარ არაბუნებით ჩარევას. სწორედ ამიტომ არის, რომ ლაო-ძის უმოქმედობა სრულ პასიურობასა და არ ქმნას კი არ ნიშნავს, არამედ მოქმედებას ბუნებითი კანონების მიხედვით, საგანთა ბუნებითი არსისადმი მორჩილებასა და **დაოს** კანონებთან თანხმიერ ქმედებას. ასეთ დროს ყოველი არსი თვითმოდრაობაში ბრუნავს. ძველად, ვინც **დაოს** ფლობდა, იმას კი არ მიეღწვოდა, ხალხი რომ განესწავლა, არამედ იმას, კაცნი რომ უბრალონი ყოფილიყვნენ. ხალხში პირმოთნეობასა და სიყალბეს კი არ აღვივებდნენ, არამედ ჭეშმარიტ სათნოებას, გულწრფელობასა და უანგარობას. ეს იყო უმოქმედობა. მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, ოდეს ქვეყნად სიმშვიდე სუფევს და მოქმედება **დაოს** ბუნებითი კანონების მიხედვით ხორციელდება. ლაო-ძი უმოქმედობაში გულისხმობდა ადამიანის ბუნებითი მდგომარეობის დაურღვევლობას ვნებებითა და გრძნობებით, რასაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანისათვის. „თუ მდიდარნი და დიდებულნი მედიდურობენ: თავად იუბედურებენ თავს“.

ადამიანის ზნეობრივი სრულქმნის, უმაღლესი სათნოების მიღწევა შეუძლებელია უმოქმედობის გარეშე. ლაო-ძი ამბობს: „კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს. კაცი, საქმეს რომ აღასრულებს: სოფლიურ უსასრულობას

უნდა შეერთოს“. ეს არის მოქმედებით უმოქმედობა, ანუ პირიქით — უმოქმედობით მოქმედება. ლაო-ძიმ თავისი პირადი ცხოვრებით შეასრულა ეს. როგორც გადმოგვცემენ, ლაო-ძიმ, საზოგადოებრივი თუ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით უკმაყოფილომ, დატოვა სახელმწიფო სამსახური და განმარტოვდა. ეს იყო, როგორც სინოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, უპრეცედენტო შემთხვევა იმჟამინდელი ჩინეთის ისტორიაში. ლაო-ძიმ მთელი თავისი ცხოვრება ჭვრეტასა და შინაგან განსჯას მიუძღვნა, შექმნა „დაო დე ძინი“ და გაუჩინარდა.

უმოქმედობის კონცეფციას ბუნებრივად უკავშირდება დუმილის ცნება. „ბრძენი დუმს. უმეცარი ქადაგებს“ — გვმოდვრავს ლაო-ძი. დუმილი იგივე უმოქმედობაა, ანუ ქმნადობაა ჭვრეტასა და შინაგან განსჯაში.

უმოქმედობა ქეშმარიტი მიზანია ბრძენკაცისა. მას შეუცვნია, რომ ვნებების უქონლობას უმაღლესი სიმშვიდე მოაქვს და ქვეყნად სამართლიანობა მყარდება. ყოველნაირი მოქმედება ძირთაძირია ტანჯვისა და მწუხარებისა. როგორც ყოველივე არსის აბსოლუტური დასაბამია, ისეთივეა მისი სასრულიც, ადამიანის მინიური იდეალი. თუ **დაოს** ცნებაში ხილვადი ყოფიერების არსებობის აზრსაც ჩავდებთ, მაშინ ლაო-ძის მოძღვრების მიხედვით, კაცთათვის არყოფნა უმჯობესია, ვინემ ყოფიერება. ამიტომ ამბობს ლაო-ძი: „ხალხს იმად არა აკრთობს სიკვდილი: სიცოცხლეს რომ მორჩილად მიელტვის. ამაღ არ აკრთობს სიკვდილი. ამაღ არის სიცოცხლის მორჩილი: ბრძენი. ხოლო სიცოცხლეზე აღზევებული: უმეცარი“. ამიტომ: ვისაც შეუცვნია **დაო** — დუმს, ვისაც არ შეუცვნია **დაო** — **ქადაგებს**. ვინცა შეიცნო **დაო**:

მდუმარეა, ყურდანშულია, თვალდანუხულია, უმოქმედოა, განწყვეტილი აქვს ყოფითი კავშირები, ბრწყინვალეა მიმცხრალი აქვს და ბრიყვს ემსგავსება. მხოლოდ ამ დროს ჰგავს კაცი **დაოს** — ბუნებითა და უმოქმედოს.

*

„დაო დე ძინში“ ერთ-ერთი ადგილი **მორჩილების** მოძღვრებას უჭირავს. მორჩილების უდიდესი გამოვლენა თვით **დაოს** სახეშია მოცემული. **დაო** ყველაზე დიდ საქმეებს იქმს, მაგრამ ყოველთვის დაფარულია და უჩინარი. ყოველნაირი აღზევება ენი-ნაალმდეგება **დაოს**. აღზევებასა და მედიდურობაში არსისეული არაფერია, იგი წარმავალია და არამდგრადი. კაცისთვის ჭეშმარიტი დიდება და პატივი თავმდაბლობა და მორჩილებაა. ყოველი არსი იშვის და ძალდაუტანებლად მიელტვის არსებობას, აღწევს განვითარების სრულქმნას, მაგრამ არასოდეს ქედმაღლობს. კაციც ასე უნდა იყოს: უსამზღვრო მორჩილებით უნდა თრგუნავდეს თავის თავში ძალმომრეობას. ლაო-ძი სათნოებისა და მორჩილების ნიმუშად წყალს ასახელებს: „უმაღლესი სათნოება წყალს ჰგავს. წყალს წყალობა მოაქვს ყოველი არსისთვის... უმაღლესი სათნოება — მორჩილებას მიელტვის“. დაოსი გაურბოდა ერთფეროვან და მძიმე ცხოვრებას, ილტვოდა ნივთიერი ყოფის საზღვრების იქით გასვლას და დაოსური სიმშვიდით აღსავსე მიღმა სამყაროებთან შერწყმას, რაც ღვთიური მიწიური ცხოვრებით, ანუ ბედისწერის მორჩილებით აღწევდა. ვისაც სურს დაეუფლოს **დეს**, ანუ ზნეობრივ სრულქმნას, უნდა იყოს მორჩილი, როგორც მდედრი. „დაო დე ძინში“ ვკითხუ-

ლობთ: „მდედრი თვინიერებით იმორჩილებს მამრს... მდედრი თვინიერებითვე მორჩილებს მამრს... მორჩილება მოკრძალებას ბადებს და კრძალულნი მორჩილებენ ერთურთს“. მორჩილება ერთ-ერთი მთავარი სათნოებათაგანია და უშუალოდ უკავშირდება ზომიერების კატეგორიებს: მორჩილება გვაზიარებს ცხოვრების მარადიულ მდინარებას, რადგანაც მარადიული უფრო მაღლა დგას კერძოსა და წარმავალზე. უნდა ვმონაწილეობდეთ სიცოცხლის მოძრაობის საერთო პრინციპში, რათა არ დაირღვეს სიცოცხლის საერთო და ერთიანი თანხმობა, არ დავუშვათ უნესრიგობა და ქაოსი. სულის სიმშვიდე, მოზღვავებული ვნებათა დათრგუნვა — აი, ზნეობრივი სრულქმნის საფუძველი, რაც თავისთავად მორჩილების საწინდარია.

ლაო-ძი, სამყაროს იერარქიული თანხმობის კანონის თანახმად, აღიარებს იერარქიის კანონს სახელმწიფო წყობილებაშიც, დიად თანხმობას კაცთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მორჩილებაში. ყოველივე ამას **დაო** განაგებს. ამიტომ გვმართებს **დაოს** მორჩილება, რის დარღვევასაც უბედურება მოაქვს. მას შემდეგ, რაც დასავლეთ ჯოუს დინასტიის ერთ-ერთმა იმპერატორმა სახლი სამად გაჰყო, შემდეგ კი — ოთხად, ძალაუნებურად შეიცვალა ძველთაგანვე არსებული ურთიერთობანი. ამან თავისთავად გამოიწვია უარყოფითი ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც. ამ უარყოფითი ცვლილებების მოწესრიგებასა და მათ ურთიერთ-მორჩილებაში მოყვანას საუკუნეები დასჭირდა. ხშირად ის კი არ არის უბედურება, საზოგადოების რომელიმე ფენა ანდა მთელი საზოგადოება უზნეოდ რომ ცხოვრობს, — ამის აღკვეთა ოდესმე მოხერ-

ხდება, უბედურება ის არის, ამ უზნეო ცხოვრებიდან მომდინარე მანკიერებათა აღმოფხვრას (რაც საყოველთაო ზნეობრივი კანონის ძალას იძენს ხოლმე), ათეული და ასეული წლები სჭირდება. ბებერი ხე ფესვებიდან ხმება, მაგრამ ინერციით მაინც დიდხანს ინარჩუნებს ძალასა და სიცოცხლის უნარს და მანამ არ წაიქცევა, ვიდრე მთლიანად არ დაღუპება და გაიხრწნება. ამიტომ ადამიანი, როგორც დანარჩენი ყოველი არსი, **დაოს** ბუნებით კანონს უნდა მორჩილებდეს, ამ კანონთა მორჩილი კაცი უძლეველ ძალას იძენს. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა სიდიადეს მიეღვვის: მას მორჩილება მართებს“. „ვინცა მორჩილებით გასცემს: დაეუფლება“. „დამთმენელობა ძირია მორჩილებისა. ხოლო მორჩილება — **დეს** სრულქმნაა“. „ვინცა არ მორჩილებს **დაოს**: ჟამმოკლეა მისი არსებობა“.

*

ლაო-ძი ბუნებითობის, უმოქმედობის, მორჩილების წინაპირობად ისეთ ზნეობრივ-სულიერ კატეგორიებს აღიარებს, როგორიცაა **დამთმენლობა, ზომიერება, თვითუარყოფა, სინრფელე**. ლაო-ძი აცხადებს: „კაცი, ვინცა დაეუფლა დამთმენლობას: ხელმწიფებს ხალხს და მსახურებს ცას“. დამთმენლობის მისაღწევად აუცილებელია ვნებათა დათრგუნვა, რაც წყაროა ყოველნაირი ბოროტებისა და უბნელებს ადამიანს გონებისთვალს. ზნეობრივი სრულქმნის კიბეს იერარქიული განვითარების საფეხურები აქვს — ქვევიდან ზევით. ყველაზე ქვედა საფეხური არის დამთმენლობა, ბრძენი კაცი უკუაგდებს ვნებებს და ეუფლება **დაოს** უმაღლეს არსს. იგი გულისყურით იცავს თავის თავში **შინაგან კაცს** და

უბინო ბრუნდება იქ, საიდანაც იშვა, უბრუნდება არ-
ყოფნას, ანუ **დაოს**. იგი ეუფლება მხოლოდ სიმართ-
ლეს, უკუაგდებს ყოველივე მოჩვენებითსა და
ყალბს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი თვის-
ტომისათვის ცოდვათა პატიება და მისი შეყვარება,
სიკეთის უშურველი ქმნა. ბრძენი კაცი მიელტვის
თვითფლობასა და დამთმენლობას, რასაც ყოველ-
ნაირი ნეტარებისა და ფუფუნების უარყოფით აღ-
წევს. ლაო-ძი ამბობს: „ყოვლადბრძენი, შეუსვენებ-
ლად მავალი: ნიადაგ თან ახლავს უმძიმეს ეტლს. არ
აკლია დიდება და ბრწყინვალეობა: მაგრამ არ ინთქმე-
ბა დიდებაში. მან უწყის წარმავალობა სოფლისა“.
დამთმენლობა საფუძველია თავდადებული კაცთ-
მოყვარეობისა, ხოლო მათი ძირთაძირი **დაოა**. მხო-
ლოდ ვნებათა დათრგუნვა და დამთმენლობა მიგვიყ-
ვანს **დაოს** სიმაღლემდე. ვნებით შეპყრობილი ვერ
მიაღწევს ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებასაც კი, ვერ
შესძლებს კეთილ საქმეთა ქმნას. „ვინცა დაიპყრა
ვნებები: იხილა **დაო** დაფარულისა. ვინცა დაიპყრა
ვნებებმა: იხილა **დაო** ყოფიერისა“ — აი, რა დიდი
განსხვავებაა მათ შორის, ვინცა დაითმინა და ვინცა
ვერ დაითმინა. მხოლოდ დამთმენლობითა და
სიმშვიდით მიიღწევა ზნეობრივი სრულქმნა, დამ-
ყარდება საყოველთაო მშვიდობა და წესრიგი. ყოვე-
ლივე ეს კი საწინდარია საყოველთაო სიყვარულისა,
რისი უმაღლესი განსახიერებაც არის **დაო**. ლაო-ძი
სიყვარულის ყველაზე უმაღლეს თვისებად მტრე-
ბისადმი სიყვარულს აღიარებს: „სიკეთე მიაგე მო-
ძულეს შენსას“. „კეთილთაც სიკეთეს მივაგებ და
უკეთურთაც სიკეთეს მივაგებ“. ამ სიკეთით შეიქმს
უმაღლეს სათნოებას. „ერთგულთაც ვერთგულებ და
ორგულთაც ვერთგულებ“. ამ ერთგულებით შეიქმს

უმალლეს სათნოებას“. „უფრო დიდი უბედურება არაფერია: გძულდეს მტერი შენი. მტრის სიძულვილი ვნებს **დაოს**“. დუგლასი წერს: „ლაო-ძიმ შექმნა ამაღლებული და წმინდა სისტემა. ზნეობრივ კანონებში ის არათუ ჩამორჩებოდა სხვა წარმართ ფილოსოფოსებს, მნიშვნელოვნად გადააჭარბა კიდევ ყველას, იქადაგა რა ყველაზე უღირსშესანიშნავესი მცნება ქრისტიანობისა: „სიკეთე მიაგე ბოროტებას“. ამავეს იმეორებს „დაო დე ძინის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი დ.კონისი: „...არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ქრისტიანობის გამოჩენამდე არ ყოფილა ისეთი ამაღლებული და მწყობრი ზნეობრივი მოძღვრება, როგორც იყო ლაო-ძის სისტემა. მართალია, შაკია მუნიც ქადაგებდა ამაღლებულ ზნეობრივ მოძღვრებას, მაგრამ მასში ბევრი წინააღმდეგობა და გადაჭარბებაა, რაც ლაო-ძის სისტემაში თითქმის არ არის. თუმცა ებრაული მორალი ბუდიისტურ მორალზე მაღლა იდგა, იგი ქადაგებდა: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“, რაც ლაო-ძისთვის უცხო იყო. იგი ქადაგებდა თავგანწირულ კაცთმოყვარეობასა და მტრებისადმი სიყვარულს“.

ლაო-ძი ზომიერებას აღიარებს მოღვაწეობის საერთო ზნეობრივ კანონად. ზომიერება აწესრიგებს და აწონასწორებს ადამიანის ყოველნაირ გამოვლინებას. ზომიერების დამცველი კაცი ბრძენია, სათნოების უმაღლესი განსახიერებაა. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა ბევრს ღაღადებს — მარცხდება. ზომიერებაა ყოველივეს ძირი და ფუძე“. მაგრამ ლაო-ძი ზომიერებას აღიარებს სამყაროულ მოვლენათა და მოძრაობის დიად საწყისად. ზომიერების მეოხებით არსებობს ცისქვეშეთი მარადიულად. ამიტომ ვისაც სურს ჟამგრძელობა, ზომიერებას უნდა დაეუფლოს.

ზომიერება, ისევე როგორც დამთმენლობა, ზნეობრივი სრულქმნის საფუძველია. ზომიერებას მოჰყავს ცა და მიწა დიად თანხმობასა და წესრიგში, ყოველი არსი ზომიერებით საზრდოობს და ცოცხლობს. ლაო-ძის მიხედვით, ზომიერება შინაგან თანხმობას ნიშნავს, თანხმობას სამყაროული სიცოცხლის მოძრაობასთან, რაც მარადიულია და უცვლელი. ამიტომ, ზომიერებაც მარადიულია და უცვლელი კანონია ყოფიერებისა, მას ჩინელები **მარადიულ ზომიერებას** („ჯუ-იუნ“) უწოდებენ. კაცი, მოქცეული ცასა და მიწას შუა და მატარებელი მათი უცვლელი კანონებისა, მოქმედებაში წონასწორობისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს, წონასწორობისაკენ სწრაფვა კი იგივე ზომიერების ცოდნას ნიშნავს. ზომიერება უკიდურესობებს გარიდებული არსებობაა. ზომიერება მუდამ იქ არის, სადაც ნიადაგ იგივეობრიობა და უცვლელობა მეფობს. ზომიერება გონებით შეიმეცნება და თავად არის გონების გამოვლინება, მისი სახესხვაობა. ზომიერება და დამთმენლობა სიმშვიდის, უშფოთველობის, წინაღუდგომლობის შედეგია.

ლაო-ძი სათნოების ერთ-ერთ უმაღლეს სახედ სინრფელეს მიიჩნევს, როგორც სიბრძნისა და სიკეთის უმთავრეს მახასიათებელს. სინრფელე ნყაროა მშვიდობისა და დასაბამი უწესრიგობის აღკვეთისა. იგი ცის გზაა, ამიტომ არის კაცის გზაც. სინრფელე და გულის უბრალოება ზნეობრივი კატეგორიებია და იმიტომ არის უმაღლესი სათნოება, რომ **დაოსა** და ბუნებობის წილხვედრია. ამის გარეშე შეუძლებელია ზნეობრივი სრულქმნის მიღწევა. „დაო დე ძინში“ ვკითხულობთ: „ვინცა ველია სამყაროსი: მარადიულ **დეს** ეუფლება და ჩვილის მდგომარეობას უბრუნდება... ვინცა ხატია სამყარო-

სი: მარადიულ **დეს** ეუფლება და პირველდასაბამს უბრუნდება... ვინცა შესაკრებელია სამყაროსი: უმაღლეს **დეს** ეუფლება და ბუნებითობას უბრუნდება“. სინრფელე და გულის უბრალოება უხეში უმეცრება როდია, — ღვთაებრივი და უმანკო უბრალოებაა. „ვინცა ავსილია უწმინდესი სულით და ფლობს უხილავ ძალებს: მორჩილია, ვითარცა ჩვილი. ვინცა ავსილია უწმინდესი სულით და ფლობს დაფარულ საიდუმლოს: უცთომელია და ჟამგრძელი“. ასეთი კაცი არათუ ემგვანება ახალშობილს, უბრუნდება კიდეც ჩვილის მდგომარეობას. ლაო-ძის მოძღვრების თანახმად კი — ეს არის ყველაზე დიდი სიძლიერე და სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი ფლობს **დაოს** და **დეს**. ლაო-ძისთვის ზნეობაც ისეთივე ამაღლებული და სულიერების განმსაზღვრელი ფაქტორია, როგორც **დაო**, ზნეობაც ისევე უხილველია და არანივთიერი, როგორც **დაო**. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა მორჩილებს **დაოს**: **დაოს** თანაარსია. ვინცა მორჩილებს **დეს**: **დეს** თანაარსია. ვინცა მორჩილებს წარმავალს: წარმავლის თანაარსია“. „ო, რა ღრმაა და მიუწვდომელი: უმაღლესი **დე**. იგი არას ჰგავს სამყაროში. მაგრამ შესაკრებელია ყოველივესი და შემოქმედი დიადი თანხმობისა“.

ლაო-ძი თვითუარყოფას ერთ-ერთ უმთავრეს ეთიკურ კანონად განიხილავდა. თვითუარყოფა **დაოს** სრული მორჩილება და ბუნებითობის მიხედვით მოქმედებაა. იგი ამბობს: „ყოველადბრძენი ყოველივეს მორჩილია. მორჩილია და განინამძღვრებულია. უარყოფს ხორციელ ტანს და სოფლიურ მარადისობას ერთვის“. ლაო-ძი თვითუარყოფის იდეალურ არსებად წყალს ასახელებს, რომელიც სიდაბლეს მიელტვის და იქ არსებობს, სადაც ადამიანს

არ ძალუძს არსებობა. სწორედ ამიტომ „მეუფებენ ველთა და მინდორთა“. ვისაც სურს იხელმწიფოს და კეთილად უწინამძღვროს ხალხს, იგი მასზე დაბლა უნდა დგებოდეს. ასეთ დროს, თუმც ხელმწიფე წინამძღვრობს ხალხს, მაგრამ ხალხი ვერ გრძნობს მის ხელმწიფებას. ლაო-ძი ამბობს: „კეთილია ხელმწიფე: ვინცა დუმს და არას ითხოვს ხალხისაგან“. ასეთ ხელმწიფეს მთელი ცისქვეშეთი ადიდებს და მორჩილებენ მას, როგორც თვით მორჩილებს **დაოს**. ბრძენს ძალუძს განწინამძღვრდეს, თუკი მოწინებით მოიდრეკს მუხლს ხალხის წინაშე. „ვინცა გახელმწიფებას მიელტვის: მოკრძალება მართებს“. აქ „მოკრძალება“ და „მოწინება“ თვითუარყოფის კატეგორიებად აღიქმება.

„დაო დე ძინში“ საუბარია მამაცსა და თავმდაბალზე ერთდროულად, რაც გვიხსნის ლაო-ძის პარადოქსულ დიალექტიკას მაგარსა და რბილზე, ზეიმურსა და არაზეიმურზე, დიდებასა და უჩინარობაზე. თუ სიძლიერეს და სისადავეს თან თავმდაბლობა არ ახლავს, არავითარი ეთიკური ღირებულება მათ არ აქვთ. **დაო** იმიტომ არის დიადი, რომ იგი არ დიადობს. ეს არის თვითუარყოფის უდიადესი კანონი. სამოცდამეთექვსმეტე თავში მაგარისა და ძლიერის კატეგორიები უპირისპირდება რბილისა და სუსტის კატეგორიებს. კაცს, ვისაც სილბო და სისუსტე დაუფლებია, შესწევს უნარი შეიცნოს მაგარისა და ძლიერის გადასვლა რბილსა და სუსტში. თუკი ამ ორივე მდგომარეობას ღრმად შეიცნობს კაცი, ძალუძს დაეუფლოს სილბოსა და სისუსტეს და გაუწინამძღვრდეს ხალხს. რბილი და სუსტი თვითუარყოფის კატეგორიებია, რაც უდიდეს ენერგიათა დაგროვებას და ამ ენერგიის ძალით **დაოს** წვდომას

მოასწავებს. როცა კაცი ერთდროულად ეუფლება რბილსა და სუსტს, ეს ის მდგომარეობაა, როცა მას ძალუძს შეიცნოს **დედა**, ანუ **დაო**. როცა მაგარი და ძლიერი ილტვის რბილისა და სუსტისაკენ, ეს იმ მდგომარეობის მიღწევას ნიშნავს, როცა ძალგვიძს შევიცნოთ **ძე**, ანუ ყოველი არსი. დედა **დაოა**, ხოლო ძე — **დაოს** მიერ წარმოშობილი ყოველი არსი. ლაო-ძის ყველა დებულება კი **დაოს** დაუფლებას ქადაგებს. აფორიზმი: „ვინცა შეიცნო დედა: მან ძედ შეიცნო თავი. ვინცა ძედ შეიცნო თავი: მან შეიცნო დედა. ხორცი მისი კვდება: სული კი უკვდავია“ — ნიშნავს **დაოს** მიერ წარმოშობილი ცალკეული საგნის თვითკმარობას. ეს ცნება, თუ მას დავშლით და ღრმად გავიაზრებთ, თვითუარყოფის ცნებასთან მიგვიყვანს. ამ ცნებას ფილოსოფოსი მენ-ძი ასე განმარტავს: „წვრთენ თავი შენი და მიაღწევ სინრფელეს. ეს კი მოგანიჭებს უდიდეს თვითკმარობას“. მისივე აზრით, „გრძნობა შებრალებისა“ არის „კაცთმოყვარეობის საფუძველი“. ამ ცნებით **დეს** ცნებაც განიმარტება. თუ **დე** არის **დაოს** წარმოქმნილი ცალკეული საგნის უმაღლესი კატეგორიის თვისება, რბილისა და სუსტის დაუფლება ნიშნავს **დაოს** დაუფლებას. ხოლო სწრაფვა მაგარისა და ძლიერისა რბილისა და სუსტისაკენ ნიშნავს **დეს** ფლობას. **დაო** რბილსა და სუსტს ნიშნავს, ხოლო **დე** — მაგარისა და ძლიერის სწრაფვას რბილისა და სუსტისაკენ. **დაო** როცა ქუცმაცდება, იმად გარდაიცვლება, რისი თვითგანვითარებაც რბილსა და სუსტს ეფუძნება. სიტყვები: „გაცოდვილება“, „დატანჯვა“ — რბილისა და სუსტის კატეგორიებია. ამ გამოთქმებს თუ ცალკეულ ცნებებად დავაქუცმაცებთ, შემდეგს მივიღებთ: „არასრული“, „მრუდი“, „ცარიელი“, „ძველი“,

„მცირე“, „მოკრძალება“, „უჩინარობა“, „თავმდაბლობა“, „უღირსობა“, „თვითწაღრმავება“. ყველა ეს ცნება თვითუარყოფის სინონიმებად უღერს.

ჯუან-დი თავისი თხზულების ოცდამეცამეტე თავში („ცისქვეშეთი“) ასეთნაირად ახასიათებს ლაოდის პიროვნულსა და ზნეობრივ-ეთიკურ თვალსაზრისებს: „სასაზღვრო საგუშაგოს უფროსმა და ლოდანმა შეისმინეს ეს მცნებანი და ფრიად გაიხარეს. მათ ააგეს თავიანთი მოძღვრება სამ მთავარ პრინციპზე: უცვლელობასა, არყოფნასა და ყოფიერებაზე, სადაც უმთავრესად აღიარეს დიადი ერთიანობა. თავიანთი მოძღვრების გარეგნულ გამოვლინებად მათ სილბო, სისუსტე, მოკრძალება და თავმდაბლობა მიიჩნიეს. მის შინაგან არსად თვლიდნენ დებულებას, რომ სიცარიელე არ არღვევს არსთა სინყვდიადეს. საგუშაგოს უფროსი ამბობდა: „მისთვის, ვინც იკეტება თავის თავში, ფორმა და არსნი თავისით შეიცნობიან. მოძრაობა ასეთი კაცისა ბუნებრივია, ვითარცა მდინარება წყლისა. მისი სიმშვიდე წმინდაა, ვითარცა მდინარება წყლისა. მისი სიმშვიდე წმინდაა, ვითარცა ზედაპირი ტბისა. პასუხი მისი მალია, ვითარცა ექო. ასეთი კაცი უხორცოა, ვითარცა არარსებული. წმიდაა, ვითარცა სიმჭვირვალე, საგანთა სინყვდიადეს ერწყმის და თანხმობაში არსებობს. შეძენილს უმაღვე კარგავს. არასოდეს წინაუსწრებს სხვებს, მუდამ მათ მიჰყვება უკან“. ლოდანი ამბობდა: „ვინცა შეიცნო მამრობა თვისი: მანვე შეიცნო მდებრობა თვისი. იგი ველია სამყაროსი... ვინცა შეიცნო ნათელი თვისი: მანვე შეიცნო წყვდიადი თვისი. იგი ხატია სამყაროსი“. ყველანი პირველობას მიელტვიან, მხოლოდ ის ერთი ამჯობინებდა უკან დგომას და ამბობდა: „ჩემშია დაცემა ცისქვეშეთისა“. ყველანი სისავსეს

მიელტვიან. მხოლოდ ის ერთი ამჯობინებდა სიცარიელეს. არ მონაგრობდა, ამიტომ ფლობდა სიუხვეს. ყველა მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა და მაინც სიუხვეს ფლობდა. არ მიელტვოდა თავისი ცხოვრების უზრუნველყოფას, მაინც არ ზარალდებოდა. უმოქმედოდ ცხოვრობდა და დასცინოდა სხვათა სიმარჯვეს. ყველანი ბედნიერებას მიელტვოდნენ, მხოლოდ ის ერთი, თავისთვის რომ სიმშვიდე უზრუნველყო, ეთვისებოდა გარემოებათ და ამბობდა: „მაგარი იმსხვრევა, ბასრი ბლაგვება“. ის მუდამ სულგრძელი იყო არსთა სინყვდიადისადმი და არავინ არავის ართმევდა. აი, რას შეიძლება ეწოდოს სრულქმნის მზღვარი. ო, საგუშაგოს უფროსო და ლაო დან! ისინი ჭეშმარიტად დიდი კაცები იყვნენ წარსულისა, — დიადნი და ნათელმხილველნი. ბუნდოვანება, უსამზღვროება და უქონლობა ფორმისა. ცვალებადობა და უმდგრადობა. ურთიერთმონაცვლეობა სიკვდილისა და სიცოცხლისა. ცისა და მიწის ერთიანობა. მოგზაურობა სულეთში. საით წავიდეთ? — ბუნდოვანია. თითქოს არსთა მთელი სინყვდიადე ერთი ბადით იყოს გარსმოცული და აღარ რჩებოდეს აღარაფერი, რისკენაც მიბრუნება შეგვეძლებოდა. — ყოველივე ამას ძველად ფლობდნენ **დაოს** დაფარულ მცნობელობაში“. „ჯუან-ძის“ ამ ეპიზოდში შეუძლებელია არ დავინახოთ თვითუარყოფის პრინციპი.

*

ვინ არის ამ უმაღლესი ზნეობრივი პრინციპების განმახორციელებელი, რასაც ლაო-ძი ქადაგებს? **ყოვლადბრძენი**. ლაო-ძის ზნეობრივ-ეთიკური კატეგორიების თავის თავში დამტვევი და გარსმომცველი არის ყოვლადბრძენი. **დაოსთან** მიახლებული

კაცი არის მეუფე ქვეყნიერებისა, მან უწყის ცვალებადი კანონები ბუნებისა, მაგრამ არ ახორციელებს მათ, რადგანაც მათზე მალლა დგას და ძალუძს დამორჩილდეს მათ, დამორჩილდეს, რათა გამოიწვიოს ბუნების ძალები ბუნებრივად და წარმართოს ისინი თავისი დიადი მიზნების შესაბამისად. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ლაო-ძი ავლენს თავისებურ მსოფლმხედველობას უკვდავების ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **ჟამგრძელობის** შესახებ; **წმიდანის** ანუ **ყოვლადბრძენის** დამოკიდებულებას ბუნებასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან. კაცი, ვინც მისწვდება **დაოს**, მას სიკვდილის დამარცხებაც ძალუძს. იგი ამბობს: „ვისაც სიცოცხლე შეუცნია და დაუთმენია: მისთვის ვეფხსა და მარტორქას არა უვნია. აბჯარაუსხმელი და უიარაღო: ვერ შეუკრთია ხმალთაკვეთებას... ვინცა შეიცნო სიცოცხლე და დაითმინა: მისთვის არ არსებობს სიკვდილი“. ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, ოდეს შეითვისებს თავის წიაღში ღვთაებრივ ძალას, ოდეს უკვდავების წყალს დაღვეს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარსმოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს. სიბრძნე, ანუ იგივე სინძინდე, ანიჭებს კაცს წყალობას იცოცხლოს სხეულის კვდომით და იარსებოს, დაჰყოს ყოფიერებაში მარად — ანუ უბერებელი და უხრწნადი ტანის (სამშვინველის) სახით, ან რომელიმე ცოცხალი არსების სახით (ამ იდეას თავისთავად უკავშირდება სულთა მარადიული გადასახლების მოძღვრება). რაკი მინიური სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდულია, ბოლოს და ბოლოს, დგება წამი **დაოსთან** ანუ განურჩევლობასთან, — უთვისებო და გამოუვლენად ყოფიერებაში, ანუ არყოფნაში, —

შერწყმისა. ყოვლადბრძენი არ საჭიროებს ემპირიული მონაცემების ცოდნას. იგი სამყაროსა და ბუნების კანონებს შეიმეცნებს გონებით, ჭვრეტით, ანუ გონმჭვრეტელობით. ბრძენი სახლიდან გაუსვლელად იმეცნებს სამყაროს, სარკმლიდან გაუხედავად ჭვრეტს ცთომილთა მოძრაობის კანონებს. მისთვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ უკავშირდებოდეს საგნებს და მოვლენებს, მას ისედაც ძალუძს მათი შინაგანი, იმანენტური ხილვა და ახსნა. ყოვლადბრძენის შემეცნების პროცესი, ლაო-ძის მიხედვით, უმთავრესად ანალოგიური შემეცნებით იგება: „შეიცან თავი შენი და შეიცნობ სხვებს. შეიცან სახლეული შენი და შეიცნობ სხვისას. შეიცან სოფელი შენი და შეიცნობ სოფლებს. შეიცან ქვეყანა შენი და შეიცნობ ქვეყნებს. შეიცან სამყარო და შეიცნობ სამყაროს“.

„დაო დე ძინის“ მიხედვით, ქვეყნად არსებობს ორი კატეგორიის ბრძენკაცი. ერთმა უწყის უღრმესი და დაფარული საიდუმლო „ბუნებითი **დაოსი**“ და უმოქმედობის კანონებით მოქმედებს და იღვწის: ის ფლობს **დაოს** ყველა უმთავრეს თვისებას. ლაო-ძი ასეთ ბრძენს „უმალლეს **დეს**“ მქონეს ანუ „ყოვლად-ბრძენს“ უწოდებს. ყოვლადბრძენი მორჩილებს და ახორციელებს **დაოს** უდიადეს კანონებს. მეორეა მოჩვენებითი, ანუ ცრუბრძენი, რომელიც „მოქმედებს მძლავრობით“, **დაოს** კანონების საპირისპიროდ. ლაო-ძი მათ ახასიათებს, როგორც „უდაბლეს **დეს**“ მქონეთ. ასეთნი არღვევენ ბუნებით არსებობას და ბოროტებას თესენ ქვეყნად. თუმცა ისინი მძლავრობენ, მაინც არავინ მორჩილებს მათ. მაშინ ისინი „თავად აიძულებენ ყოველს სათაყვანოდ“ და ამ მიზნით სხვადასხვა ზნეობრივ ცნებებს იგონებენ. ასე-

თეზია: კაცთმოყვარეობა, თაყვანისცემა, რიჭუალი. ყოველივე ეს, „დაო დე ძინის“ მიხედვით, ცრუ შინა-არსის შემცველი ცნებებია და დასაბამია უმეცრე-ბისა. ისინი მაშინ ევლინებიან ქვეყანას, ოდეს **დაოს** უარყოფისა და ვერშეცნობის ჟამი დგება. უდაბლესი **დეს** მფლობელი კაცი ყოველნაირი პირმოთნეობით ყალბ ზნეობრივ ცნებებს იგონებს, თანაც არ იკლებს არავითარ ამქვეყნიურ კეთილდღეობას და ბრწყინ-ვალე სასახლეში ცხოვრობს. ლაო-ძი ამბობს: „დიდებულნი თუ ძვირფასეულით შემოსილან, ბრწყინვალე საჭურვლით შეჭურვილან, უკადრისობენ მდაბიურ სუფრას და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან: ეს ავაზაკობაა და ზვიადობა. ნუთუ ესაა **დაო**?“ მათ მიერ შეთხზულ ცნებებში მხოლოდ ფარისევლობა და პირმოთნეობა ინიღბება. ლაო-ძი ფაქტიურად უპირისპირდებოდა კონფუციურ თვალსაზრისს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლაო-ძის ასე უთქვამს კონფუცისათვის: უარყავი შენ შენი სიბრძნე და კეთილგონიერება, მაშინ ხალხი ასგზის ბედნიერი იქნება. უარი თქვი შენს კაცთმოყვარეობაზე და განუდექი შენს სამართლიანობას, მაშინ ხალხი დაუბრუნდება ძეთა მონინებას და მამათა სიყვარულს. დაივინყე შენი ხელოვნება და დათმე შენი შემოსავალი, მაშინ ქურდობაც მოისპობა. ნარმოაჩინე შენი სახე შეულამაზებლად, დაიცავი სინმიდე, დათრგუნე საკუთარი თავის სიყვარული და ალაგმე შენი პატივმოყვარული სურვილები. დაუკვირდით, როგორ ჰგავს ეს სიტყვები „დაო დე ძინის“ ერთ-ერთ დამოძღვრას: „მე არას ვიქმ და: ხალხს თავად ეუფლება სრულქმნილება. მე მშვიდად ვარ და: ხალხს თავად ეუფლება კეთილშობილება. მე ვნებადამცხრალი ვარ და: ხალხს თავად ეუფლება უბრალოე-

ბა“. სავსებით დასაშვებია, ეს შეხვედრა კიდევ ერთი ლამაზი გამონაგონი იყო დაოსელთა, მაგრამ მასში რომ ლაო-ძის მოძღვრების ჭეშმარიტი არსი ჭვივის, ეს უცხადესია. მოძღვრება, მხოლოდ პირმოთნეობისათვის რომ იღვწის, რყვნის თვითმყოფადობასა და ხალხის ცხოვრების სიმარტივეს, ადამიანში ლამაზი და იშვიათი ნივთების შექმნის ცხოველ სურვილს ბადებს, და წყაროა შფოთისა და უბედურებისა, **დაოს** საპირისპიროდ სვლას მოასწავებს, რასაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანთა მოდგმისათვის. ლაო-ძის მიზანი იყო დაბრუნებოდა, უფრო სწორად, აღედგინა ადამიანის პირველქმნილი ცხოვრების შინაგანი მდგომარეობა. ეს მოიტანდა საყოველთაო სიმშვიდესა და მშვიდობას. იგი ამბობს: „ვინცა აღივსო სიცარიელით: აღივსო უდიადესი სიმშვიდით. ვინცა აღივსო უდიადესი სიმშვიდით: აღივსო სიცარიელეში არსთა წრებრუნვით... დასაბამში დაბრუნებას — სიმშვიდე ჰქვია. სიმშვიდეს — არსში დაბრუნება ჰქვია. არსში დაბრუნებას — მარადისობა ჰქვია“.

ყოვლადბრძენს არა აქვს სურვილები ვინმეს ან რაიმეს ებრძოლოს, რადგანაც მას არ სურს ჰქონდეს რაიმე განსაზღვრული შეხედულებანი, გრძნობებიც კი. იგი მხოლოდ ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს. „დაო დე ძინში“ ვკითხულობთ: „ყოვლადბრძენის გული ცარიელია. მისი გული ხალხის გულის შესაკრებელია. მას შესწევს ძალი: გაიბუნებოს ერის აზრი“. კაცი, ვინც იცის დიადობისა და ბრწყინვალეების ფასი და მაინც უჩინრად ცხოვრობს, ყველსთვის სამაგალითოა. ყველასთვის სამაგალითო სათნოებით არის ავსილი და ახალშობილის სინორჩესა და სისუსტეს ფლობს, სწორედ ამით უბრუნდება თავის

უხსოვარ პირველარსს. ვინც იცის, რა არის დიდება და მაინც ჩუმად ცხოვრობს, ხილული ველია სამყაროსი, ცისქვეშეთის ამძრავი ძალაა. ვინც ცისქვეშეთის ხილული ველია, იგი მარადიული სათნოებით არის ავსილი და **დაოს** დაუსაბამობას შეერთვის. დიდება და გამოჩინება, „დაო დე ძინის“ მიხედვით, არ არის ნამდვილი გამომხატველი დიადობისა და ბრწყინვალეობისა, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება **დაოს** ძირეულ კანონებს. ნამდვილი დიდება უჩინარობა და უმოქმედო მოქმედებაა, ანუ სინრფელეა, ქმნაა სიკეთისა ქედმაღლობისა და მედიდურობის გარეშე. ამა სოფლის დიდება და პატივი არამდგრადია და ცვალებადი, ხრნნადია და მსწრაფლწარმავალი. მათში არაფერია არსისეული. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა დიდებას მიელტვის: ვერ ეღირსება ქვეყნად დიდებას. ვინცა განდიდებას მიელტვის: ვერ განინამძღვრდება ქვეყნად. თუ **დაოს** დავიმოძღვრავთ: ყოველივე ეს — ფუჭია და ამაოება. ასეთნი სძაგს ყოველ არსს“. უჩინარობა და ჩრდილში დგომა არის ჭეშმარიტი პატივი და დიდება კაცისა, განდიდებასაკენ სწრაფვას კი მხოლოდ შიში უძევს საფუძვლად. ლაო-ძი ამბობს: „კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშითვე კარგავენ მას“. ყოვლადბრძენი „მორჩილებს არსთა ბუნებითობას და დაფარულ წიაღში მათ უკუქცევას“. იგი სიკეთისა და ბოროტების საზომად **დაოს** აღიარებს. **დაოს** თანხმობა და მორჩილება სიკეთეა, **დაოს** უარყოფა — ბოროტება. ჭეშმარიტების ეს გამოძახილი, თუ ქრისტოლოგიურ ცნებას ვიხმართ, **შინაგანი ადამიანია**, ის ადამიანი, ვისაც ძალუძს განსაჯოს ადამიანის ზნეობა. ბრძენნი უძველესი წარსულისა ფლობდნენ **დაოს** დაფარულ საიდუმლოს. ისინი დიად საქმეებს იქმდნენ, მაგრამ

არ ქედმაღლობდნენ, პირიქით — იღუმალებით იყვნენ გარემოცულნი და მოკრძალებით ცხოვრობდნენ. **დაოს** მსგავსად, ყოველივეს სხვათათვის იქმდნენ და არასოდეს ეუფლებოდნენ იმას, რასაც თავად ქმნიდნენ. „მორჩილებდნენ **დაოს** და კმარობდნენ მცირედს... სისავსეს არ მიეღვოდნენ და: განახლება არ სურდათ. განახლება არ სურდათ და: კმარობდნენ ძველს. კმარობდნენ ძველს და: სრულქმნას ფლობდნენ“. „ყოვლადბრძენი არ იხვეჭს. ყოველივეს ხალხისათვის იქმს და ყოველივეს გასცემს. რაც უფრო მეტს გასცემს: მეტს მოისთვლის კვლავ-გასაცემად“. ისინი ნიადაგ იმას უფროთხოვდნენ, ცხოვრების ბუნებითი მდინარება რომ არ დაერღვიათ, იმით ისაზღვრებოდნენ, რაც ერთხელვე იყო მოცემული ბუნებაში და არ მიეღვოდნენ ახლის შექმნას. ყოვლადბრძენს არ აქვს საკუთარი მიზნები, მთელი მისი გულისყური, მისი ხვედრი ხალხის ხვედრისკენაა მიპყრობილი. მისი მიზანი ერთია: უბოძოს ხალხს „საზრდელი — გემრიელი. სამოსელი — მშვენიერი. სახლ-კარი — მყუდრო. ხოლო ცხოვრება — მშვიდობიანი“. ეს ანიჭებს ყოვლადბრძენს უძლეველობას და ამ სათნო ძლიერებით უმორჩილებს თავის საკუთარ და ხალხის ცხოვრებას **დაოს** კანონებს. ამიტომ: „ყოვლადბრძენი მფარველია და თანამლმობელი ხალხისა. ხალხი ამიტომ არ არის უთვისტომოდ. ყოვლადბრძენი მფარველია და მხსნელი ყოველი არსისა. ყოვლადბრძენი ამიტომ არ არის უთვისტომოდ“. ყოვლადბრძენი არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში“.

*

ლაო-ძი ზნეობრივი სრულქმნის მიღწევის ერთ-ერთ გზად ცრუბრძნობისა და მეცნიერობის, ანუ ცრუმეტყველების აღკვეთას გვთავაზობს. ლაო-ძი ებრძვის ყოველივე ცრუს და არაჭეშმარიტ ცოდნას, რაც მისთვის სინმინდისა და სიბრძნის არა ტოლფასია, ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ თვითჭვრეტისა და თვითდაუნჯების გზით მიიღწევა. მეცნიერობა მტერია უბრალოებისა და უბინოების, რაც ადამიანის ნამდვილ სამკაულს წარმოადგენს. ძველი ხელმწიფენი, **დაოს** რომ მორჩილებდნენ, ხალხს მეცნიერობისადმი მიდრეკილებას კი არ უღვივებდნენ, არამედ უბრალოდ იმას მიელტვოდნენ, ხალხი რომ ცოდნასა და ვნებებს არ დაემწუხრებინა, მათ რომ უბრალოდ და მარტივად ეცხოვრათ. ეს ხელმწიფენი თვლიდნენ, რომ ბევრის ცოდნას ზიანი მოჰქონდა ხალხისათვის, რადგანაც ისინი ბოროტისა და კეთილის გარჩევას ისწავლიდნენ და ეს განსხვავება ურთიერთდაპირისპირებას გამოიწვევდა, რაც შუღლისა და რღვევის წინასწანყისია: უმაღლესი შემეცნება მხოლოდ საკუთარ წიაღში დანთქმით და განმარტოებული ცხოვრებით მიიღწევაო. მეცნიერობას ადამიანი დაბნეულობამდე მიჰყავს და ახშობს მის სულში ბუნებით მიდრეკილებებს. ცრუმეტყველება და ცრუბრძნობა ამაო ხარჯვაა ძალისა და დროისა და **დაოს** საწინააღმდეგო სვლას მოასწავებს.

უმაღლესი ცოდნის ცნება „დაო დე ძინში“ ორნაირი სახით არის წარმოდგენილი: ერთია ჭეშმარიტი სიბრძნე და აქედან წარმომდგარი ყოვლადბრძენი — **დაოს** მორჩილი და მისი კანონების დამცველი. მეორეა ცრუბრძნობა და აქედან წარმომდგარი ცრუბრძენი — **დაოს** საპირისპიროდ მოქმედი. ლაო-ძი მას ყველაზე

დაბალ საფეხურზე აყენებს. ჭეშმარიტი სიბრძნე და ცოდნა კი, რასაც მხოლოდ ერთეულები ფლობენ, არის **დაოს** სრული მორჩილება და ცხოვრება **დაოს** კანონების თანახმად, ცოდნა მხოლოდ იმ ბრძენთათვის არის საჭირო, რომლებიც იცავენ **დაოს** კანონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელში ეს ცოდნა უბედურების იარაღად გადაიქცევა. სიბრძნით აღჭურვილი ადამიანები იმეცნებენ „**დაოს** დაფარულ საიდუმლოს“ და უმოქმედობის დიად პრინციპს ახორციელებენ, მორჩილებენ საგანთა ბუნებით სვლას. ჭეშმარიტი ბრძენი, ანუ ყოვლადბრძენი, ვინც ფლობს უშინაგანეს და უღრმეს ცოდნას, არ ამჟღავნებს თავის სიბრძნეს და „ბრიყვს ჰგავს“. იგი „...ჯვალოთია შემოსილი, შიგნით კი — განძითაა დაგანძული“. ამაშია უმაღლესი სიბრძნე და ჭეშმარიტება. ხოლო „ჭეშმარიტებას არ სჭირდება ლალადი“, რადგანაც „ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი. ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი“. ლაო-ძი ამით ჭეშმარიტების ერთადერთობას აღიარებდა, რაც მხოლოდ განდგომითა და ტაჯვით მიიღწევა. თუმცა ხშირად სიყალბის მშვენიერი სამოსელითაც იმოსება. ამიტომ უნდა შევიგნოთ, რომ ის, რაც ლამაზია და მჭევრმეტყველური — ყალბია, რაც მახინჯია და უცვლელი — ჭეშმარიტებაა. ყოვლადბრძენის მოვალეობაა მიაყურადოს უსიამო ხმებს და ჩასწვდეს მას, განერიდოს ყოველივე საამოს, რადგანაც „უკეთურობაა ხორციით ნეტარება. სულიერობაა ვნებათა დამორჩილება“. ყოვლადბრძენი, თუ იგი ნამდვილ სიბრძნესა და ცოდნას ფლობს, დიდი სინრფელით უნდა იყოს მიდრეკილი ჭეშმარიტების მკაცრი ლალადისადმი.

ლაო-ძი მიელტვოდა სიმარტივეს. ცხოვრების ყოველნაირი გართულება ცრუბრძნობითა და ცრუ-

მეტყველებით მას უბედურების წყაროდ მიაჩნდა. ეს ეწინააღმდეგება ბუნებითობის კანონს, ანუ **დაოს**. ლაო-ძისთვის ცრუბრძნობა და უმეცრება ტოლფასოვანი ცნებებია. იგი ამბობს: „რაც მეტია უმეცრება: მით მეტია სიხარბე“. ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება აბნელებენ გონებისთვალს, აბნევენ ადამიანებს. ლაო-ძი ამიტომ მოუწოდებს ქვეყნის მმართველთ, ბუნებითობასა და უბრალოებაში ჰყოლოდათ ხალხი. ეს არის **დაოს** გზა. „ჯუან-ძის“ მეთვრამეტე თავში („უმაღლესი სიხარული“) გადმოცემულია ლაო-ძისა და კონფუცის საუბარი, სადაც „დაო დე ძინის“ შემოქმედი ორიგინალურად ასაბუთებს თავის თვალსაზრისს ბუნებითობისა და ცოდნის პრინციპთა შესახებ:

„კუნ-ძი მიუბრუნდა ლაო-დანს და ბრძანა: „დღეს, როცა თქვენ თავისუფალი დრო გაქვთ, გავთამამდები და გკითხავთ სრულქმნილ **დაოზე**“. ლაო-დანმა მიუგო: „უწინარესად, მარხვითა და დამთმენლობით განინმინდე გული შენი, თოვლის სითეთრემდე განინმინდე გონება შენი, უარყავ ცოდნა შენი. **დაო** ხომ უწიალოა და მისი სიტყვებით ახსნა ფრიად ძნელია. მხოლოდ მის მიახლოებით განწერილობაზე მოგახსენებ. ნათელს ბნელი შობს, წესრიგის მფლობელს არასახიერი შობს, სულიერს **დაო** შობს, ხორციელს თესლი შობს, ხოლო არსთა სინყვედიადეს ურთიერთკავშირი შობს ხორციელ სახეთა მეშვეობით. ამიტომ ცხოველები, ცხრა ხვრელის მფლობელები, დედის საშოდან იზადებიან. ხოლო ცხოველები, რვა ხვრელის მფლობელები, კვერცხიდან იჩეკებიან. სიცოცხლის აღმოცენება კვალს არ ტოვებს, პირისაგან მინისა მის წარხოცვას არა აქვს სამზღვარები. არცა ბჭყა სადმე, არცა საცხოვრისი. ამიტომ განე-

ფინება იგი ქვეყნიერების ოთხივ მხარეს. ყველა მათ, ვინც **დაოს** მორჩილებს, მტკიცე სხეული აქვთ, ნათელმხილველი გონება, გრძნობათა ფაქიზი ორგანოები. მათი ფიქრი შეუჩერებლად იძვრის, და ყოველ არსს შეუზღუდავად ეთვისებიან. **დაოს** გარეშე ცას არ ძალუძს უსასრულობა, მიწას — ვრცეულობა. **დაოს** გარეშე მზესა და მთვარეს არ ძალუძთ სვლა ცისა თავანზე, ხოლო არსთა სინყვდიადეს — განვითარება. აი, რა არის **დაო!** აქვე უნდა ვთქვათ: ბევრის მცოდნე კაცი აუცილებლად არ ფლობს ჭეშმარიტ ცოდნას, ხოლო გამოცდილი მოკამათე აუცილებლად არ ფლობს გამჭრიახ გონებას. ყოვლადბრძენი იმას მიეღტვის, რომ არ აივსოს აღვსებისას და რომ არ დაიცალოს დავსებისას. **დაო** უღრმესია და უნიალო, ვითარცა ზღვა, უზარმაზარია და დიადია თავის მუდმივ ცვალებადობაში, ნყდება და ისევ უმალვე იწყება. შეცვალოს არსთა სინყვდიადის ბუნებითი თვისებანი და დაუშრეტელი დარჩეს — აი, **დაო** კეთილშობილი კაცისა, მაგრამ იგი არასრულქმნილია. ხოლო თუ არსთა სინყვდიადე თავადვე შობს თავისსავე ცვალებადობას და დაუშრეტელი რჩება, — აი, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი **დაო**. ქვეყნად არიან კაცნი, რომელნიც არ ემორჩილებიან არც **ინის**, არც **იანის** სანყისთა ცალმხრივ ზემოქმედებას, ისინი ცასა და მიწას შუა იმყოფებიან, მხოლოდ დროებით ადამიანდებიან და ისევ თავიანთ დასაბამს უბრუნდებიან. თუ ამას შევიცნობთ, გამომდინარე დასაბამიდან, მაშინ სიცოცხლე რალაც სასიცოცხლო ძალთა შედეგების წარმონაქმნია. და თუმცა სიჭაბუკეში არსებობს ჟამგრძელობა და სიკვდილი, რა მანძილია მათ შორის? ნამი და მეტი არაფერი. განა ეს დრო საკმარისია რომ დავადგინოთ — ვინ

იყო მართალი და ვინ მტყუანი: იაო თუ ძე? ხეთა ნა-
ყოფებსა და ბალახებს თავიანთი კანონები აქვთ.
თუმცა ადამიანთა შორის დამოკიდებულების წესები
უფრო რთულია, მაგრამ ისიც განსაზღვრულ წეს-
რიგზეა დაფუძნებული. ყოვლადბრძენი, მხილველი
წესრიგისა, არ არღვევს მას, ხოლო მის გვერდით
ჩავლილი არ ინარჩუნებს მას. მათ შორის წინააღმ-
დეგობის წაშლა და მორჩილება მათი — აი, ეს არის
უმაღლესი სათნოება. მათში განზავება და მორჩი-
ლება მათი, — აი, ეს არის სრულქმნილი **დაო**. აი,
რისი წყალობით ვლინდებოდნენ სრულქმნილი ხელ-
მწიფენი და ბრწყინავდნენ დინასტიათა დამაარსე-
ბელნი. ცასა და მიწას შუა მოქცეული კაცის სიც-
ოცხლე ქარაფზე თეთრი ცხენის უმაღლეს ნახტომს
ჰგავს: წამით გაიელვა და გაუჩინარდა. ქვეყნად
ყოველივე უეცრად, უმაღლესად იშვის, ყოველივე
ჩუმიად და შეუმჩნეველად უჩინარდება ამა ქვეყნიდან.
უმცირესი ცვალებადობა და — სიცოცხლე იწყება.
კიდევ უმცირესი ცვალებადობა და — დგება ჟამი
სიკვდილისა. ასე რად სწუხან ცოცხალნი ამას? კაც-
თა მოდგმა რად მწუხარებს ამას? გარდაცვლა ხომ
ჩვენი ბუნებითი საფარის გადახსნას ნიშნავს, ბუნე-
ბისაგან ნაბოძებ ნიჟარის დამსხვრევას, სასიცო-
ცხლო ძალთა ცვალებადობასა და დაქუცმაცებას.
სულიერი დასაბამი მიდის, სხეულიც მას მისდევს —
აი, ჭემმარიტად დიადი გარდაცვლა ყოფიერიდან
არყოფნაში. არასახიერი გადადის სხეულის მფლო-
ბელ სახიერებაში. სახიერი ისევ არასახიერში გადა-
დის — დაბადებისა და სიკვდილის ეს მონაცვლეობა
ყველამ უწყის, მაგრამ ამას არად აგდებს ის, ვინაც
ახლოა **დაოს** წვდომასთან. ამის შესახებ ბევრი
მსჯელობს. მაგრამ ის, ვინაც შეიცნო **დაო**, არ

მსჯელობს, რამეთუ განმსჯელი ვერ დაეუფლება **დაოს**. მახვილ მზერას მნიშვნელობა არა აქვს **დაოს** სახილველად. ამიტომ სჯობს დავიდუმით ბაგე, ვიდრე ვიდაოთ. **დაოს** ვერ მოვისმენთ. ამიტომ სჯობს დავიხშოთ ყურნი, ვიდრე ვაყურადოთ. სწორედ ამას ეწოდება უდიდესი სიბრძნე“.

*

ლაო-ძის მთელი მოძღვრება ზეადამიანური არსებობისაკენ ლტოლვით არის გამსჭვალული. იგი ორიგინალური მოძღვრებაა არა მხოლოდ ფილოსოფიური და მეტაფიზიკური აზროვნების სიღრმით, არამედ ეთიკური და ზნეობრივი მრწამსითაც. ლაო-ძის **დაო** არ არის მხოლოდ აბსტრაქცია, შორეული და მიუწვდომელი. იგი ჩვენს გარშემო ბრუნავს, ჩვენშივე ძევს და ჩვენშივეა საძიებელი. „შეიცან თავი შენი“, — ბრძანებდა ლაო-ძი ძველ ბერძენთა დარად. ამასვე ბრძანებდნენ ძველი ინდოელნი და ეგვიპტელები. უკეთუ ღრმად გავიაზრებთ **დაოს** ბუნებობის კანონს ვირწმუნებთ, რომ იგი სხვა არაფერია თუ არა მარადი ლტოლვა ადამიანისა პირველქმნილი სიმარტივისა უბრალოებისაკენ, სიკეთისა და სიყვარულისაკენ, სათნოებისა და სრულქმნისაკენ, სიმშვიდისა და მშვიდობისაკენ. სწორედ ესაა ერთადერთი გზა, რითაც ადამიანს ძალუძს შეიცილოს თავი თვისი და სულიერ სიბრძნეს დაეუფლოს. „უზედაესი“ და „უქვედაესი“ ყოფიერების თანხმობა, ამ თანხმობის ჩვენზე თავში მიგნება და შეცნობა, მშვიდი და ჰარმონიული თანაარსებობა თვისტომთა შორის — აი, ეს არის **დაო**. „ვინცა თანხმიერებას ფლობს: იგი გასხივოსნებას ფლობს“, — ბრძანებს ლაო-ძი. ჩინელი ბრძენის მოძღვრება ეს-

მარება ადამიანს შეიცნოს საკუთარი მე ამ უსასრულო სამყაროში და იაროს სრულქმნისაკენ მიმავალ გზაზე. ვივეკანანდას თქმით, თუ რომელიმე ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებას არ შესწევს უნარი მოაქციოს კაცი სიკეთისა და სათნოებისაკენ, მხოლოდ აბსტრაქციაა და არავითარი სარგებლობის მოტანა არ ძალუძს. ამის დიად ნიმუშად იგი **უპანიშადებს** ასახელებს. „დაო დე ძინიც“ უზენაეს ზნეობრივ და ეთიკურ, უზენაეს ადამიანურ არსებობას ამკვიდრებს ქვეყნად. ამიტომ არის „დაო დე ძინი“ მარად თანამედროვე ქმნილება, ხოლო მისი შემოქმედი — უკვდავი და მრავალუამიერი.

„დაო დე ძინის“ ქართული თარგმანი შესრულებულია შემდეგი რუსული და გერმანული თარგმანებიდან:

1. Лао-Си, Тао-Те-Кинг, или писание о нравственности, под редакцией Л. Н. Толстого, М., 1913 (перевод П. Конниси).

2. Лао-Дзы, Дао Де Дзынь; Древнекитайская философия, т. 1, М., 1972 (перевод Ян-Хин-Шуна).

3. Lao-Tse, Tao Te King; München, 1921 (თარგმანი ნ. ფედერმანისა).

4. Lao-Tse, Tao-Te-King, Stuttgart, 1961 (თარგმანი გ. დებონისა).

ამის თაობაზე დაწვრილებით იხილეთ „დაო დე ძინის“ პირველი ქართული გამოცემის კომენტარები, „საბჭოთა საქართველო“, 1983.

ლერი ალიმონაკი

სამ-ქი
დაცვის სისტემა



老子



წიგნი პირველი

I

დაო რომ გვეხილა:

დაო არ იქნებოდა უცვლელი.

სახელი რომ გვებოძა:

სახელი არ იქნებოდა უცვლელი.

გამოუთქმელია დასაბამი:

ცისა და მიწის.

მფლობელი სახელისა:

დედაა ყოველი არსისა.

ჭეშმარიტად:

ვინცა დაიპყრა ვნებები:

იხილა დაო დაფარულისა.

ვინცა დაიპყრა ვნებებმა:

იხილა დაო ყოფიერისა.

ერთია ორივეს დასაბამი.

სახელებია სხვადასხვა.

ამ დასაბამს — დაფარული ჰქვია.

დაფარული დაფარულისა:

ბჭეა ყოველივე საიდუმლოსი.

II

ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში:

მშვენიერი რომ მშვენიერია:

იშვა სიმახიჯეც.

ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში:
სიკეთე რომ სიკეთეა:
იშვა სიბოროტეც.

ჭეშმარიტად:

ყოფიერი და არყოფნა ერთმანეთს შობს.
მძიმე და მსუბუქი ერთმანეთს შეიქმს.
გრძელი და მოკლე ურთიერთს განწონის.
მაღალი და დაბალი ურთიერთს ფლობს.
ბგერათა შერწყმა თანხმობას იქმს.
წინმავალი და უკანმავალი ერთმანეთს
მორჩილებს.

ამიტომია:

ყოვლადბრძენი უმოქმედოა და იქმს.
ყოვლადბრძენი მდუმარია და გვმოძღვრავს.
ამიტომ იშვის ყოველი არსი.
იშვის და ყოველგან მიმოიძვრის.
ყოვლადბრძენი არ ბატონობს მათ.

ყოველივეს შეიქმს და:

არ ეუფლება შექმნილს.
ყოველივეს აღძრავს და:
არ ეუფლება აღძრულს.
ყოველივეს სრულქმნის და:
არ ეუფლება სრულქმნილს.

აღასრულებს საქმეთ და:

არ მედიდურობს.
არ მედიდურობს და:
ყოველივე მას მორჩილებს.

III

ბრძენს ნუ სცემთ თაყვანს:
და ხალხში მოისპობა შუღლი.
ნუ განადიდებთ ძვირფას ნივთებს:
და მოისპობა პარვა კაცთა შორის.
ნუ წარმოაჩინთ სურვილთა აღსაძრავს:
და არ იბოზოქრებს ხალხის გული.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი ხელმწიფებს და:
ხალხს ტანს უცარიელებს.
ტანს უცარიელებს და:
ხორცს აღუვსებს.
უუძღურებს წადილს და:
უმტკიცებს ძვლებს.
ნიადაგ იმას მიელტვის:
ხალხს რომ ცოდნა და ვნებები
არ ამწუხრებდეს.
ხოლო მცოდნენი:
ვერ ბედავდნენ მოქმედებას.
უმოქმედობას სიმშვიდე მოაქვს.

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს.
იქმს და უმოქმედოა.
უმოქმედოა და:
ყოველი არსი მას მორჩილებს.

IV

დაო ცარიელია.
ცარიელია, მაგრამ ამოვლინებისას:
ამოუღვეველია.

ო, რა ღრმაა და დაფარული!
დაოა მამა ყოველი არსისა.

დაო აუძრავებს მოძრაობას.
დაო ანესრიგებს ქაოსს.
დაო აფერმკრთალებს ბრწყინვალეობას.
დაო დაიკრებს მცირეთა-მცირეს.

ო, რა უნმიდესია!
დასაბამიდან მოლივლივებს და:
მარადიულია.
მე არ ვიცი — საიდან იშვა იგი.
მე ის ვიცი —
ცის მუფებას რომ წინაუძღვის.

V

ცა და მიწა:
არ ფლობს კაცთმოყვარეობას.
ერთია მათთვის:
არსი ყოველი თუ ჩალის ძაღლი.
ყოვლადბრძენი:
არ ფლობს კაცთმოყვარეობას.
ერთია მისთვის:
კაცი თუ ქალი თუ ჩალის ძაღლი.

სივრცე ვრცეულია ცისა და მიწის:
ო, როგორ ჰგავს მჭედლის საბერველს!
იგი ცარიელია, მაგრამ ამოუღვეველია.
რაც უფრო სავსეა სიცარიელით:
მით მეტს მოძრაობს.

რაც მეტს მოძრაობს:
მით უფრო ივსება სიცარიელით.

ვინცა ბევრს ღალადებს: მარცხდება.
ზომიერებაა ყოველივეს ძირი და ფუძე.

VI

უკვდავია სული უნმიდესი.
იგი მდებარია დაფარულისა.
მარადიული ბჭეა დაბადებისა.
საშო, საიდანაც იშვის:
დასაბამია ცისა და მიწის.
დაუსრულებლად იქმს და იძვრის.

დაუშრეტელია საშო შესაქმესი.

ვინცა დაეუფლება უნმიდეს სულს:
გაუკვდავდება.

VII

ცა და მიწა მარადიულნი არიან.
რად არიან ცა და მიწა მარადიულნი?
თავიანთთვის არ არსებობენ.
აი, რად არიან მარადიულნი.
ამიტომაა:
ყოვლადბრძენი ყოველივეს მორჩილია.
მორჩილია და განინამძღვრებული.
უარყოფს ხორციელ ტანს და:
სოფლიურ მარადისობას ერთვის.

ნუთუ არაფერია:
ის რომ ხორციელ ტანს უარყოფს?!
სწორედ ამით არის სრულქმნილი.
სრულქმნილია და მრავალჯამიერი.

VIII

უმაღლესი სათნოება წყალს ჰგავს.
წყალს წყალობა მოაქვს ყოველი არსისთვის.
წყალობა მოაქვს და:
არ თიშავს ერთმანეთისგან.
ერთმანეთისგან რომ არ თიშავს:
არც ებრძვის მათ.
იგი იქ ბუდობს:
სად ხორციელს არ ძალუძს ყოფნა.
ამიტომ ჰგავს **დაოს**.

ჭეშმარიტად:
უმაღლესი სათნოება — მორჩილებას მიეღტვის.
სათნოება დუმილისა — სიღრმეს მიეღტვის.
სათნოება გაცემისა — სიყვარულს მიეღტვის.
სათნოება დამოძღვრისა — სინრფელეს
მიეღტვის.
სათნოება ხელმწიფებისა — წესრიგს
მიეღტვის.
სათნოება ქმნისა — სიბრძნეს მიეღტვის.
სათნოება მოქმედებისა — სიმშვიდეს მიეღტვის.
ყოველივე დიად თანხმობას ქმნის.
განუკითხველია:
ვინცა დიად თანხმობას ქმნის.

IX

სჯობს სულაც არაფერი ქმნა
და არც სისავსეს მიელტვოდე.
თუ რაიმე მბრწყინავს დღენიადაგ აბრწყინებ:
ფერმკრთალდება.
თუ დარბაზონი განძეულით გაქვს ავსილი:
არავის ძალუძს მისი დაცვა.
თუ მდიდარნი და დიდებულნი მედიდურობენ:
თავად იუბედურებენ თავს.

კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს:
სიმარტოვეში უნდა უკუდგეს.
კაცი, საქმეს რომ აღასრულებს:
სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს.

აი, რა არის **დაო** ბუნებითი.

X

ვინცა სულსა და ხორცს ამთლიანებს:
აღწევს მთლიანობას?!
სული ხომ ერთიანია და შეურევნელი.

ვინცა ავსილია უწმიდესი სულით
და ფლობს უხილველ ძალებს:
მორჩილია, ვითარცა ჩვილი.
ვინცა ავსილია უწმიდესი სულით
და ფლობს დაფარულის საიდუმლოს:
უცთომელია და ჟამგრძელი.
ვინცა სიყვარულით ხელმწიფებს:
არ მოქმედებს და იქმს ბევრს.
ვინცა იხილა ციური ბჭენი:

თვინიერია, ვითარცა მდედრი.
ვინცა შეიცნო დაფარულის აზრი:
შეუღწევადია, ვითარცა არსი.

ჰქმენ და: ირწმუნე.
ჰქმენ და:
არ დაეუფლო ქმნილს.
აღძარ და:
არ დაეუფლო აღძრულს.
იხელმწიფე და:
უარყავ ხელმწიფება.

ეს არის უმაღლესი **დე**.

XI

ოცდაათი მანა ერთ მორგვზე ბრუნავს.
მაგრამ ბორბლის არსს:
მორგვში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

ჭურჭელს თიხისაგან ამზადებენ.
მაგრამ ჭურჭლის არსს:
მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

კარ-ფანჯრებს კედლებში ჭრიან.
მაგრამ სახლის არსს:
მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

ჭეშმარიტად:
ვინცა შეიცნო ყოფიერი —
ვითარცა სავსება და ხილვადი:

მანვე შეიცნო არყოფნა —
ვითარცა სიცარიელე და უხილვადი.

XII

ხუთნაირი ფერი:
აბრმავეებს თვალს.
ხუთნაირი ბგერა:
ახშობს ყურს.
ხუთნაირი გემო:
აჩლუნგებს გემოვნებას.
დოლი და ნადირობა:
ალაგზნებს გულს.
იშვიათი ნივთები:
აუბედურებს კაცს.
ამიტომაა:
ყოვლადბრძენი დაფარულს მიელტვის
და არა ხილვად მშვენიერებას.

იგი ეძიებს დაფარულს.
უარყოფს ყოფიერს.

XIII

ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც.
დიდებაც ისეთივე ტვირთია, ვითარცა ხორცი.

რას ნიშნავს:
„ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც?!“
ეს ნიშნავს:
შიშით იხვეჭენ კაცნი დიდებას
და შიშითვე კარგავენ მას.

სწორედ ამას ნიშნავს:

„ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც“.

რას ნიშნავს:

„დიდებაც ისეთივე ტვირთია, ვითარცა ხორცი?!“

ეს ნიშნავს:

ხორცი უმძიმესი ტვირთია.

ხორცს რაჟამს დავთრგუნავთ:

დიად სიმშვიდეს დავეუფლებით.

ჭეშმარიტად:

ვინცა შიშობს ცისქვეშეთის ხელმწიფებას:

უნდა გავახელმწიფოთ ცისქვეშეთში.

ვინცა მწუხარებს ცისქვეშეთის ხელმწიფებას:

უნდა მივუბოძოთ ცისქვეშეთი.

XIV

ვუმზერ და ვერ ვხედავ:

ამიტომ ვუნოდებ უხილავს.

ვუსმენ და არ მესმის:

ამიტომ ვუნოდებ უხმოს.

ველტვი და ვერ ვწვდები:

ამიტომ ვუნოდებ დაფარულს.

აუხსნელია ამ სამთა კავშირი.

ერთიანია ამ სამთა კავშირი.

მისი ზე არ არი გასხივოსნებული.

მისი ქვე არ არი განყვდიადებული.

იგი დაუსაბამოა.

დაუსაბამოა და:
არავინ უწყის სახელი მისი.
იგი კვლავ არყოფნას უბრუნდება.

იგი ის არი, რასაც ჰქვია:
სახე არასახიერისა.
ხატი არახატიერისა.
იგი ის არი, რასაც ჰქვია:
აუხსნელი და გაუცხადებელი.
მარადიული საშო სამყაროსი.
მივეახლები და:
ვერ ვჭვრეტ მის სახებას.
მწინამძღვრობს და:
ვერ ვჭვრეტ მის საროსტანს.

შეუდექ უხსოვარ **დაოს** და:
დაეუფლები ამჟამინდელ ყოფიერებას.
შეუდექ უხსოვარ **დაოს** და:
შეიცნობ უხსოვარ დასაბამს.

აი, ეს არის **დაოს** არსი.

XV

ძველად, ვინცა მეუფებდა ხალხს:
იყო სათნო და ყოვლისმხილველი.
ფლობდნენ:
ყოველივე უმცირესს.
ყოველივე იდუმალს.
ყოველივე შეუღწევადს.
იყვნენ დაფარულნი და მიუნვდომელნი:
არვის ძალუძდა წვდომა მათი.

დიადი იყო გარესახე მათი:
არვის ძალუძდა დაუფლება მათი.
უკეთუ დაფარულნი იყვნენ:
ნებისად აღწერ მათ.
ისინი იყვნენ მოშიშნი:
ვითარცა მავალნი ზამთრისას ნიაღვარში.
ისინი იყვნენ მერყევენი:
ვითარცა დამფრთხალნი ახლომდგომთაგან.
ისინი იყვნენ თავაზიანნი:
ვითარცა წვეულნი უცხოდ.
ისინი იყვნენ ფრთხილნი:
ვითარცა მავალნი მოლიპულ ყინულზე.
ისინი იყვნენ უბრალონი:
გაურანდავი ხის დარად.
ისინი იყვნენ ვრცეულნი:
ვრცეულ მინდორთა დარად.
ისინი იყვნენ განუჭვრეტელნი:
მღვრიე წყლის დარად.
ვის ძალუძს:
შეჩერება და ცხადქმნა მათი?!ვის ძალუძს:
დამშვიდება და გაჟამგრძელება მათი?!ისინი **დაოს** მორჩილებდნენ.
მორჩილებდნენ **დაოს** და:
კმარობდნენ მცირედს.
კმარობდნენ მცირედს და:
სისავსეს არ მიელტვოდნენ.
სისავსეს არ მიელტვოდნენ და:
განახლება არ სურდათ.
განახლება არ სურდათ და:
კმარობდნენ ძველს.

კმარობდნენ ძველს და:
იყვნენ სრულქმნილნი.

XVI

ვინცა აღივსო სიცარიელით:
აღივსო უდიადესი სიმშვიდით.
ყოველი არსი მშვიდად იშვის.
მშვიდად შეერთვის თავის დასაბამს.
ვინცა აღივსო უდიადესი სიმშვიდით:
აღივსო სიცარიელეში არსთა წრებრუნვით.

ვინცა იხილა —
არსთა დიდი ნაირგვარობა:
მანვე იხილა —
დასაბამში მათი დაბრუნება.

დასაბამში დაბრუნებას — სიმშვიდე ჰქვია.
სიმშვიდეს — არსში დაბრუნება ჰქვია.
არსში დაბრუნებას — მარადისობა ჰქვია.

ვინცა შეიცნო მარადისობა:
გასხივოსნდა.
ვინცა ვერ შეიცნო მარადისობა:
განყვდიადდა.

მარადისობის შეცნობა:
წესრიგია და სიკეთე.
მარადისობის შეუცნობლობა:
უწესრიგობაა და უკეთურობა.

მარადისობის შემცნობი:
უნმიდეს სულს ფლობს.
უნმიდესი სულის მფლობელი:
სამართლიანობას ფლობს.
სამართლიანობის მფლობელს:
ხელმნიფება ხელენიფება.

გახელმნიფებული — ცას ეზიარა.
ცას ზიარებული — **დაოს** ეზიარა.

დაო უხსოვარია და მარადიული.
დაოს მფლობელი მრავალჟამიერია:
გვამი იხრნნება, სული — უკვდავია.

XVII

კეთილია ხელმნიფე:
ვინცა დუმს და არას ითხოვს ხალხისგან.
უკეთურია ხელმნიფე:
ვინცა სიყვარულსა და დიდებას მოითხოვს
ხალხისგან.

შლეგია ხელმნიფე:
ვის წინაშეც ძრწის ხალხი.
გულბოროტია ხელმნიფე:
ვინცა ეზიზღებათ.

ჭეშმარიტად:
ვისაც არა სწამს, არც ის სწამთ.
ურწმუნობაა ძირი ურწმუნობისა.

ო, რა გვიანია სიტყვა:
ბრძნული და დაუნჯებული!

ვინცა დაიუნჯა და დაითმინა:
ღირსებით აღასრულა საქმე.
ვინცა ღირსებით აღასრულა საქმე:
მისი სწამთ და ამბობენ:
ბუნებითობას მორჩილებსო.

XVIII

ოდეს უარყვეს დიადი **დაო**:
„კაცთმოყვარეობა“ და „სამართლიანობა“ იშვა.
ოდეს ცრუბრძნობა გამეფდა:
პირმოთნეობა იშვა.

ოდეს ექვეს ნათესავს შორის განხეთქილებაა:
მაშინ იშვის —
„ძეთა მონინება“ და „მამური სიყვარული“.

ოდეს სახელმწიფოში უნესრიგობა სუფევს:
მაშინ აღზევდებიან „ერთგული მსახურნი“.

XIX

ალიკვეთეთ ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება
და ასგზის ბედნიერი იქნება ხალხი.
ალიკვეთეთ „კაცთმოყვარეობა“ და
„სამართლიანობა“
და აღსდგება ძეთა მონინება და მამური
სიყვარული.

ალიკვეთეთ ცბიერება და სიხარბე
და ალიკვეთება ქურდობაც და ავაზაკობაც.
სამივე ცოდნის უკმარობით წარმოდგება.

ჭეშმარიტად:
მხოლოდ ის ეზიარა მარადიულს:
ვინცა გაიბუნება სინმიდე და უბრალოება.
ვინცა შეიზღუდა სურვილები და დაიცხრო ვნებები.
ვინცა უარყო ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება.

XX

ოდეს ცრუმეტყველება მოისპობა:
დიადი სიმშვიდე დაისადგურებს.
ო, რა მცირეა სხვაობა:
ჰოსა და არას შორის.
და რა დიდია სხვაობა:
კეთილსა და ბოროტს შორის.
რასაც ხალხი ეთაყვანება:
შენც მას უნდა ეთაყვანო.

ო, რა უკაცრიელობაა!
ო, რა გაულწევლობაა!
ჯერაც არ დამყარებულა:
დიადი თანხმობა.

ყველა ხარობს, საზეიმოდ წვეულან თითქო.
გაზაფხულის მოახლებას ზეიმობენ თითქო.
მე უბრალო ვარ.
მე ერთი ვარ მშვიდად და უჩინრად.
მე არვინ მიხმობს.
მე ყრმას ვგავარ:
ვინცა ჯერაც არ მოვლენილა.

ო, დამაშვრალი უაღაგოვ!
სად არს ალაგი განსასვენები!

ყველა სიმდიდრით ავსილა:
მე ერთი ვფლობ სიცარიელეს.
ყველა საიტკენმე მიიჩქარის:
მე ერთი ვგავარ ყოვლის უარმყოფელს.
ყველა ბრწყინავს და გამოჩინებულია:
მე ერთი ვარ ტანი სულელისა.
ო, რა ცარიელია იგი!
ყველა სინათლით ავსილა:
მე ერთი ვგავარ განყვდიადებულს.
ყველა სიხარულით ავსილა:
მხოლოდ მე ვარ მოშიში.
ყველას ცნობისნადილი კლავს:
ჩემთვის სულერთია ყველაფერი.

მე ზღვას ვგავარ:
უწიალოს და ჩაჟამებულს.
მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში:
უსასთუმლო და უნავსაყუდლო.
ყველა თავის სარგებელს ეძიებს:
მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს.

მხოლოდ მე ვარ:
ყველასაგან განსხვავებული.
მე ვმორჩილებ:
დაოს დასაბამს.

XXI

დიადი **დე დაოდან** ამოვლინდება.
დაო უსახიერია და აუხსნელი!
ო, უსახიეროვ და აუხსნელო!
ძალმიძს მივწვდე სახიერებას შენსას.

დაო უარსებოა და გარსმოუცველი.
ო, უარსებოვ და გარსმოუცველო!
ძალმიძს მივწვდე არსებას შენსას.

დაო უძიროა და წყვდიადოვანი:
მაგრამ უმაღლესი ყოფიერებაა.
იგი უმაღლეს უმცთარობას ფლობს.

უხსოვრობიდან მეუფებს სახელი მისი.
ყოველი არსიც მისით იშვის.

ვით შევიცნობ არსთა დასაბამს?!
მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობით.

XXII

ძველად ამბობდნენ:
„არასრულქმნილი — გასრულქმნილდება.
დაქუცმაცებული — გამთლიანდება.
მრუდი — განიმართება.
აღუვსებელი — აღივსება.
ძველი — განახლდება.
ვინცა მცირედს მიელტვის:
ბევრს მოიხვეჭს.
ვინცა ბევრს მიელტვის:
მცირედსაც დაკარგავს“.

ყოვლადბრძენი სრულქმნილია და ხატია
ცისქვეშეთის.
იგი არ კმარობს მხოლოდ თავის
მხილველობას:
ამიტომ ნათობს კაცთა შორის.

მხოლოდ თავის თავს არ თვლის სამართლიანად:
ამიტომ ფლობს ჭეშმარიტებას.
არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ.
განდიდებას არ მიეღტვის:
ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.
არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში.

წინაპართა თქმული:
„არასრულქმნილი — გასრულქმნილდება,
მრუდი — განიმართება“ —
განა ფუჭი სიტყვებია?!
იგი ნამდვილად მიუძღვის კაცს:
ჭეშმარიტი სრულქმნისაკენ.

XXIII

დადუმდი და დამორჩილდი ბუნებითობას.
ღუმილი შეიქმს ქვეყნად თახმობას.

მძლავრი ქარი ვერ იბობოქრებს სამხრამდე.
თავსხმა წვიმა ვერ გასტანს მწუხრამდე.
ვინ იქმს ყოველივე ამას?!
ცა და მიწა.

ხომ უწყით:
ცასა და მიწასაც არ ძალუძთ —
რაიმეთა გაჟამგრძელება, არათუ კაცს.
ამიტომ მორჩილებს **დაოს**.

ვინცა მორჩილებს **დაოს**:
დაოს თანაარსია.
ვინცა მორჩილებს **დეს**:

დეს თანაარსია.
ვინცა მორჩილებს წარმავალს:
წარმავლის თანაარსია.
ვინცა **დაოს** თანაარსია:
დაოს დაეუფლება.
ვინცა **დეს** თანაარსია:
დეს დაეუფლება.
ვინცა წარმავლის თანაარსია:
წარმავალს დაეუფლება.

ჭეშმარიტად:
ვინცა ურწმუნოა:
ურწმუნობას დაეუფლება.

XXIV

ცერებზე ანეულს:
არ ძალუძს დიდხანს დგომა.
სწრაფად მავალს:
არ ძალუძს დიდხანს სვლა.

ვინცა ფიქრობს, ყოველივე ვუნციო:
არა უწყის რა.
ვინცა დიდებას მიელტვის:
ვერ ეღირსება დიდებას.
ვინცა განდიდებას მიელტვის:
ვერ განინამძღვრდება.

თუ **დაოს** დავიმოძღვრავთ:
ყოველივე ეს — ფუჭია და ამაოება.
ასეთნი სძაგს ყოველ არსს.

ამიტომაა:
ამას არა იქმს ის:
ვინცა დაეუფლა **დაოს**.

XXV

აი, არსება:
გარსმოუცველი, ქაოსში ამოვლენილი!
აი, არსება:
ცისა და მიწის უადრეს შობილი!
ო, მდუმარეო! ო, არასახიერო!
მარტომყოფია და უმოძრაო.
ყოველგან მიმოიძვრის და უსამზღვროა.
იგი დედაა სამყაროსი.

მე არ ვუნცი სახელი მისი:
გარეშემოვწერ და **დაოს** ვარქმევ.
უკეთუ **დაოს** ვარქმევ:
დიადსაც ვარქმევ.

დაო დიადია.

სიდიადე — სიშორეში გაღწევაა.
სიშორეში გაღწევა — უსასრულოში
გარდაცვლაა.
უსასრულოში გარდაცვლა — დასაბამში
დაბრუნებაა.

ჭეშმარიტად:
დაო — დიადია.
ცა — დიადია.

მინა — დიადია.
ხელმწიფეც — დიადია.

სამყაროში ოთხი დიადია:
მათ შორის — ხელმწიფეც.

კაცი მინის კანონს მორჩილებს.
მინა ცის კანონს მორჩილებს.
ცა **დაოს** კანონს მორჩილებს.
დაო — **დაოს** კანონს მორჩილებს.

XXVI

მძიმეა საფუძველი მსუბუქისა.
უძრაობაა საფუძველი მოძრაობისა.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი — შეუსვენებლად მავალი:
ნიადაგ თან ახლავს უმძიმეს ეტლს.
არ აკლია დიდება და ბრწყინვალება:
მაგრამ არ ინთქმება დიდებაში.
მან უწყის წარმავალობა სოფლისა.
ხოლო მეუფე ათი ათასი ეტლისა —
მედიდური და გვირგვინმოსილი:
რად მრისხანებს?!
მოუთმენლად რად უმზერს ქვეყნიერებას?!
მრისხანება ამსხვრევს მის საფუძველს.
ხოლო მოუთმენლობით — მეუფებას კარგავს.

XXVII

ვინცა ნანროთობია სვლაში:
კვალს არ ტოვებს.
ვინცა ნანროთობია მჭევრმეტყველებაში:
დუმს.
ვინცა ნანროთობია თვლაში:
არ ცდება.
ვინცა ჩარაზვა უწყის:
ურდულს არ ხმარობს.
მაგრამ რაზავს ისე:
გაღება მისი შეუძლებელია.
ვინცა გაკვანძვა უწყის:
ბანარს არ ხმარობს.
მაგრამ კვანძავს ისე:
გამოხსნა მისი შეუძლებელია.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი მფარველია და
თანამლმობელი ხალხისა:
ხალხი ამიტომ არ არის უთვისტომოდ.
ყოვლადბრძენი მფარველია და მხსნელი
ყოველი არსისა:
ყოვლადბრძენი ამიტომ არ არის
უთვისტომოდ.
ამას ჰქვია უმაღლესი გასხივოსნება.

ჭეშმარიტად:
კეთილი — მოძღვარია უკეთურთა.
უკეთური — საფუძველია კეთილთა.
უკეთუ უკეთურნი —
არ ეთაყვანებიან მოძღვარს და მოძღვარი —
უარყოფს საფუძველს:

თუმც მცოდნედ მოაქვთ თავი —
უმეცრებაში ჩანთქმულან.

ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე.

XVIII

ვინცა შეიცნო მამრობა თვისი:
მანვე შეიცნო მდედრობა თვისი.
იგი ველია სამყაროსი.
ვინცა ველია სამყაროსი:
მარადიულ **დეს** ეუფლება
და ჩვილის მდგომარეობას უბრუნდება.

ვინცა შეიცნო ნათელი თვისი:
მანვე შეიცნო წყვდიადი თვისი.
იგი ხატია სამყაროსი.
ვინცა ხატია სამყაროსი:
მარადიულ **დეს** ეუფლება
და პირველდასაბამს უბრუნდება.

ვინცა შეიცნო სიღიადე თვისი:
მანვე შეიცნო სიმცირე თვისი.
იგი შესაკრებელია სამყაროსი.
ვინცა შესაკრებელია სამყაროსი:
უმაღლეს **დეს** ეუფლება
და ბუნებითობას უბრუნდება.
უკეთუ ბუნებითობა აღიგვება:
საიდუმლო ჭურჭლად გარდიცვლება.
ყოვლადბრძენი მისი ნყალობით
გაწინამძღვრდება.

განინამძღვრდება და:
დიადი თანხმობა არ დაირღვევა.

XXIX

ვინცა მძლავრობით ეუფლება სამყაროს:
აქედანვე ვჭვრეტ — ვერ მიაღწევს სანადელს.
სამყარო საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს:
შეხება მისი არ ეგების.
ვინცა შეეხება:
ხელყოფს მის თანხმობას.
ვინცა დაეუფლება:
დაკარგავს მას.

ჭეშმარიტად:
ყოველი არსი ცვალებადია:
ზოგი ნინ მიდის, ზოგი უკან.
ზოგი თბილია, ზოგი ცივი.
ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი.
ზოგი ყვავილობს, ზოგი ჭკნება.
ზოგი სრბის, ზოგი დგას.

ამიტომია:
ყოვლადბრძენი უარყოფს განდიდებას.
ყოვლადბრძენი უარყოფს ფუფუნებას.
ყოვლადბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას.

XXX

ვინცა **დაოს** მორჩილებით ხელმწიფებს:
არ იპყრობს ლაშქრით ქვეყნებს.
მან უწყის:

რასაც მიაგებ, იმასვე მოგაგებენ.
სად ლაშქარს გაუვლია:
იქ ძეძვ-ეკალს გადაუვლია.
სად ომები ამტყდარა:
იქ შიმშილობის წლები დამდგარა.

ჭეშმარიტად:
ქველი მხედართმთავარი იმარჯვებს და
ჩერდება.

იმარჯვებს და არ მძლავრობს.
იმარჯვებს და არ მედიდურობს.
იმარჯვებს და არ იმონებს.
იმარჯვებს და არ ქედმაღლობს.
იმარჯვებს — ოდეს აიძულებენ საომრად.
იმარჯვებს — მაგრამ არ არის მზვაობარი.

ოდეს არსება უმაღლეს ძლიერებას აღწევს:
სუსტდება და ხრწნა ეუფლება:
იგი არ მორჩილებს **დაოს**.

ვინცა არ მორჩილებს **დაოს**:
ხანმოკლეა მისი არსებობა.

XXXI

აღჭურვილ ლაშქარს უბედურება მოაქვს.
ყოველ არსებას სძაგს იგი.

ამიტომაა:
ვინცა **დაოს** მორჩილებს:
არ ლაშქრობს.

ვინცა **დაოს** მორჩილებს:
მშვიდია და ჩრდილში დგას.

ვინცა **დაოს** არ მორჩილებს:
ლაშქრობს და დიდებას მიელტვის.

ლაშქარი — უბედურების ნყაროა.
ქველი მხედართმთავარი არ ლაშქრობს.
ლაშქრობს მხოლოდ მაშინ:
ოდეს საომრად აიძულებენ.
მშვიდობა და სიქველე:
აი, მისი უზენაესი საფუძველი.
იგი ჭმუნავს გამარჯვების ჟამს.
ვინცა ზეიმობს გამარჯვებას:
ზეიმობს კაცთა კვლას.
ვინცა ზეიმობს კაცთა კვლას:
ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს.

მშვიდობის დროს იმას მიაგებენ პატივს:
ვინცა ჩრდილს მიელტვის.
ომის დროს იმას მიაგებენ პატივს:
ვინცა დიდებას მიელტვის.

მხედართმთავარი ჩრდილში განმდგარა.
გამარჯვებას — ხელმწიფე ზეიმობს.
მხედართმთავარი მწუხრს გარემოუცავს:
გვამთა ზეიმს ყურობდეს თითქო.

ტირილი გვმართებს კაცთა კვლის ჟამს.
ჭმუნვა გვმართებს გამარჯვების ჟამს.
გლოვა გვმართებს გვამთა ზეიმის ჟამს.

XXXII

დაო მარადიულია და გამოუთქმელი.
თუმცა უჩინოა და არარა:
არაფერს ძალუძს დამორჩილება მისი.
თუ **დაოს** დაიმოძღვრენ მეფენი და დიდებულნი:
ყოველი არსი თავად მოიპოვებს სიმშვიდეს.
ცა და მიწა მწყობრად შეირწყმის
და ცის ნამი მიწას მოეფინება.
ქვეყნად ბედნიერება და კეთილდღეობა
გამეფდება.
ხალხი ბრძანების გარეშე დამშვიდდება.

ოდეს დიადი წესრიგი დამყარდა:
ყოველს თავისი სახელი ეწოდა.
სახელთა დასამზღვრეს საგანთა სამზღვრები.
ვინცა შედგა და შეიცნო საგანთა სამზღვრები:
საფრთხისაგან დაიხსნა თავი.

დაოს ყოფიერი გარწერილობა:
ტბას ჰგავს და ზღვას.
მას შეერთვიან მდინარენი დაუსრულებლად.
დაო განფენილია სამყაროში.
ყოველი არსი მას შეერთვის:
ვითარცა მდინარენი — ტბებსა და ზღვებს.

XXXIII

ვინცა სხვათა შემცნობია:
განმჭვრეტელია.
ვინცა თავისი თავის შემცნობია:
გასხივოსნებულია.
ვინცა სხვათა მძლეველია:

ძლიერია.

ვინცა თავისი თავის მძლეველია:
მძლეთამძლეა.

ვინცა გარეყოფიერს მიელტვის:
ვნებააშლილია.

ვინცა არყოფნას უჭვრეტს:
სრულქმნილია.

ვინცა საკუთარ გარწერილობას ფლობს:
მრავალჟამიერია.

ვინცა წარუვალში გარდიცვალა:
მარადიულია.

XXXIV

დიადი **დაო** ყოველგან განფენილა:

არის აქეთაც, არის იქითაც.

არის ზევითაც, არის ქვევითაც.

არის აქაც, არის იქაც.

მისი წყალობით იშვის არსი ყოველი.

მისი მადლით ცოცხლობს მარად ყოველი.

დიადია ღვანლი მისი.

დიადია და არ დიადობს.

ყოველ არსს სიყვარულით გარემოიცავს.

გარემოიცავს და არ მეუფებს მათ.

უვნებოა და:

ამიტომ უნოდებენ არარას.

მცირეა და:

შესაკრებელია მცირე-მცირეთა.

ყოველი არსი მას შეერთვის და:

არ მეუფებს მათ.

ამიტომ უნოდებენ დიადს.
არ დიადობს და:
ამიტომ არის დიადი.

ყოვლადბრძენიც არ დიადობს.
დიად საქმეებს იქმს და:
არ დიადობს.
არ დიადობს და:
ამიტომ არის დიადი.

XXXV

ვინცა შეიცნო დიადი პირველგარნერილობა:
მთელმა ცისქვეშეთმა გაინინამძღვრა.
გაინინამძღვრა და მწუხარებას განერიდა.
განერიდა მწუხარებას და მოიპოვა სიმშვიდე.
მოიპოვა სიმშვიდე და მშვიდობა.
დაეუფლა ერთიანობა და ზესოფლიური
თანხმობა.

ჭეშმარიტად:
ოდეს უზედაესი და უქვედაესი
გაერთსოფლიურდება:
მოხეტიალევ კი მონინებით მასთან შედგება.
ოდეს **დაოს** ბაგეთაგან აღმოთქვენ:
გაუფერულდება და გაუგემურდება.

ვინცა **დაოს** ხილულად უმზერს:
მისთვის განუჭვრეტელია იგი.
ვინცა **დაოს** ბგერებში უსმენს:
მისთვის დახშულია იგი.

ვინცა **დაოს** მოისახმარისებს:
მისთვის მიუწვდომელია იგი.

XXXVI

რაიმე რომ შეეკუმშოთ:
ჯერ უნდა გავაფართოვოთ.
რაიმე რომ დავასუსტოთ:
ჯერ უნდა გავაძლიეროთ.
რაიმე რომ მოვსპოთ:
ჯერ უნდა აღმოვაცენოთ.
რაიმე რომ მოვიმკათ:
ჯერ უნდა გავცეთ.

ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე.

რბილი სძლევს მაგარს.
სუსტი სძლევს ძლიერს.

თევზს არ ძალუძს დასტოვოს წიაღი.
ხალხმაც არ უნდა უწყოდეს:
დაფარული კანონები ხელმწიფებისა.

XXXVII

დაო მარად უმოქმედოა.
მაგრამ ისეთი რაა:
იგი არ იქმოდეს.

უკეთუ მეფენი და დიდებულნი დაემოდვრნენ:
ყოველი არსი თავისთავად სახეიცვლება.
ხოლო თუ სახეცვლილნი მოქმედებად აღიძვრიან:

უსახიერი გარწერილობით შევაჩერებ მათ
მოქმედებას.
უსახიერ გარწერილობას არა აქვს ვნებები.

ვნებათა უარყოფას სიმშვიდე მოაქვს.
სიმშვიდე კი — სამყაროს თანხმიერებას შეიქმს.



წიგნი მეორე

XXXVIII

ვინცა უმაღლეს **დეს** ფლობს:
დეს შესახებ არაფერი უწყის.
ამიტომ ფლობს უმაღლეს **დეს**.
ვინცა უდაბლეს **დეს** ფლობს:
მუდამ ახსოვს — **დეს** რომ ფლობს.
ამიტომ ფლობს უდაბლეს **დეს**.

ვინცა უმაღლეს **დეს** ფლობს:
არ მოქმედებს.
უქმობს და ამიტომ არ მოქმედებს.
ვინცა უდაბლეს **დეს** ფლობს:
მოქმედებს.
არ უქმობს და ამიტომ მოქმედებს.

ვინცა უმაღლეს კაცთმოყვარეობას ფლობს:
უქმობს და ასე მოქმედებს.
მოქმედებს და თავად უმიზეზოა და უჩინარი.
ვინცა უმაღლეს სამართლიანობას მიეღტვის:
მოქმედებს.
მოქმედებს და პატივ-დიდებას მიეღტვის.
ვინცა უმაღლეს თავყვანისცემას მიეღტვის:
მოქმედებს.
მოქმედებს და ამიტომ არ თანაუგრძნობენ.
ხოლო თუ თანაუგრძნობენ:
თავად აიძულებს ყოველს სათაყვანოდ.

ჭეშმარიტად:
ვინცა **დაოს** კარგავს:

დეს იძენს.

ვინცა **დეს** კარგავს:

კაცთმოყვარეობას იძენს.

ვინცა კაცთმოყვარებას კარგავს:

სამართლიანობას იძენს.

ვინცა სამართლიანობას კარგავს:

თაყვანისცემას იძენს.

თაყვანისცემა შედეგია:

რწმენისა და ერთგულების დაცემისა.

დიადი თანხმობის დამხობისა.

შეცნობა გარეყოფიერისა:

დაოს წარმავალი ყვავილობაა,

წარმავლობაა და დასაბამი უმეცრებისა.

ამიტომაა:

ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს:

და უკუჰყრის გარეგანს.

მოისთვლის ნაყოფს ყვავილობისა:

და უკუჰყრის ყვავილს.

დაეუფლება არსს და უარყოფს გვამს.

XXXIX

დასაბამითვე ერთიანობით მოცულა ყოველი:

ერთიანობამ მიუბოძა ცას სინმიდე.

ერთიანობამ მიუბოძა მიწას სიმშვიდე.

ერთიანობამ მიუბოძა სულს სილბო.

ერთიანობამ მიუბოძა ტბას სისავსე.

ერთიანობამ მიუბოძა ყოველ არსს

სიცოცხლე.

ხელმწიფენი და წინამძღვარნი ერთიანობით

არიან:

ცისქვეშეთის მეუფენი და მოძღვარნი.

ერთიანობა იქმს ყოველივე ამას.
ცისთვის რომ სინმიდე არ ებოძებინა:
ჩამოიქცეოდა.
მინისთვის რომ სიმშვიდე არ ებოძებინა:
დაიშლებოდა.
სულისთვის რომ სილბო არ ებოძებინა:
შთაინთქმებოდა.
ტბისთვის რომ სისავსე არ ებოძებინა:
დაიშრიტებოდა.
ყოველი არსისთვის რომ სიცოცხლე არ
ებოძებინა:
გაუდაბურდებოდა.
ხელმწიფენი და წინამძღვარნი რომ
არ გამეუფებულებიყვნენ
და არ გამოძღვრებულებიყვნენ:
დაემხოზოდნენ.

ჭეშმარიტად:
უჩინონი — საფუძველია ჩინებულთა.
ხოლო მდაბიონი — დიდებულთა.
ხელმწიფენი და წინამძღვარნი
ამიტომ უწოდებენ თავიანთ თავს:
„მიუსაფარს“, „ობოლს“, „უბედურს“.
ეს იმად, რომ ისინი:
მდაბიოთ აღიარებენ თავიანთ საფუძველად.

ჭეშმარიტად:
ბორბალი რომ დავშალოთ:
მისგან არაფერი დარჩება.

ნუ იბრწყინებ, ვითარცა ბრილიანტი.
იყავ უბრალო, ვითარცა ქვა.

XL

დაოს მოძრაობა — ყოფიერში გარდაცვლაა.
დაოს გარდაცვლის არსი — სისუსტეა.

ყოველი არსი ყოფიერმა შვა.
ხოლო ყოფიერი — არყოფნამ.

XLI

ვინცა ღრმად შეიცნო **დაო**:
მის განხორციელებას მიეღტვის.
ვინცა მცირედად შეიცნო **დაო**:
ხან პოულობს, ხან კარგავს მას.
ვინცა ვერ შეიცნო **დაო**:
დასცინის **დაოს**.
რომ არ დასცინოდეს:
დაო არ იქნებოდა **დაო**.

ამიტომ თქმულა ძველად:
ვინცა გაისხივოსნა **დაო**:
განყვდიადებულს ჰგავს.
ვინცა შთანვდა **დაოს**:
უკუქცეულს ჰგავს.
ვინცა აუმაღლდა **დაოს**:
გზააბნეულს ჰგავს.

ვინცა უმაღლეს სათნოებას ფლობს:
ტბას ჰგავს.

ვინცა უმაღლეს სინმიდეს ფლობს:
განკიცხულს ჰგავს.
ვინცა უმაღლეს ზნეობას ფლობს:
ბრიყვს ჰგავს.

ვინცა სათნოებას ქადაგებს:
ქურდს ჰგავს.
ვინცა სამართლიანობას ქადაგებს:
მძარცველს ჰგავს.

უღიადეს ოთხკუთხედს კუთხეები არ უჩანს.
უღიადეს ქურჭელს დიდხანს ამზადებენ.
უუმძლავრესი ხმა — უხმოა.
უუღიადესი სახება — უსახიერია.

დაო დაფარულია და გამოუთქმელი.
მაგრამ მხოლოდ მას ძალუძს:
არსებათა ხსნა და მათი სრულქმნა.

XLII

დაო შობს ერთს.
ერთი შობს ორს.
ორი შობს სამს.
სამი — ყოველ არსს.
ყოველი არსი შეიცავს:
„ინს“ და „იანს“.
ავსილია „ცით“ და:
დიადი თანხმობით.
ხალხს სძაგს სიტყვები:
„მიუსაფარი“, „ობოლი“, „უბედური“.

ხელმწიფენი და წინამძღვარნი:
ასე უწოდებენ თავიანთ თავს.

ჭეშმარიტად:
კაცნი დიადობენ — ოდეს მდაბლდებიან.
და მდაბლდებიან — ოდეს დიადობენ.

რითაც ხალხს მოძღვრავდნენ —
მეც მით ვმოძღვრავ:
ძლიერნი და ულმობელნი —
არ კვდებიან ბუნებითი სიკვდილით.

ეს არის ჩემი დამოძღვრის არსი.

XLIII

სამყარო მშვიდია.
ყველაზე რბილი სძლევს:
ყველაზე მაგარს.
არყოფნას მოუცავს:
ყველა და ყველაფერი.
აი, რად ვუნყი:
უძრაობა რომ ძირია მოძრაობისა.
სამყაროში მცირედნი თუ ეუფლებიან:
სიბრძნეს — დუმილით.
მოქმედებას — უმოქმედობით.

XLIV

რა უფრო არსებითია შენთვის:
დიდება თუ თავად შენ?!

რა უფრო ძვირფასია შენთვის:
თავად შენ თუ სიმდიდრე?!
რა უფრო მძიმეა შენთვის:
შეძენა თუ დაკარგვა?!

ჭეშმარიტად:
ვინცა ბევრს მონაგრობს:
ბევრს ზარალობს.
ვინცა ბევრს იხვეჭს:
ჭეშმარიტებას კარგავს.
ვინცა მცირედს კმარობს:
არასოდეს ნაწყმდება.
ვინცა ზომიერებას მორჩილებს:
უბედურებას ასცდება.

კაცი, დამთმენი ყოველივესი:
მრავალჭამიერია.

XLV

უუდიდესი სრულქმნილი არასრულქმნილს
ჰგავს:

მაგრამ მისი მოქმედება დაუსრულებადია.
უუდიდესი სისავსე სიცარიელეს ჰგავს:
მაგრამ მისი მოქმედება ამოუღვევლია.

უუდიდესი მრუდი — წრფეს ჰგავს.
უუდიდესი სიბრძნე — სიბრიყვეს ჰგავს.
უუდიდესი მჭევრმეტყველი — ენაბლუს ჰგავს.
მოდრაობა ამარცხებს სიცივეს.
უძრაობა ამარცხებს სიცხეს.
სიმშვიდე შეიქმს თანხმიერებას.

XLVI

ოდეს მორჩილებენ **დაოს** ცისქვეშეთში:
უმალესი ცხენები მინას ხნავენ.
ოდეს უარყოფილია **დაო** ცისქვეშეთში:
საომარი ცხენები ძოვენ ყანებს.

უფრო დიდი ცოდვა არაფერია:
ვიდრე ვნებააშლილობა.
უფრო დიდი უბედურება არაფერია:
ვიდრე სიხარბე.
უფრო დიდი დანაშაული არაფერია:
ვიდრე მომხვეჭელობა:

ჭეშმარიტად:
ვინცა მცირედს კმარობს:
მადლიერია და ხარობს.

XLVII

სახლიდან გაუსვლელად ეგების:
სამყაროს შეცნობა.
სარკმლიდან გაუხედავად ეგების:
დაოს ჭვრეტა.

ვინცა მიმოიძვრის:
ვერაფერს შეიცნობს.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი არ იძვრის:
მაგრამ ყოველივეს შეიცნობს.
თვალდანუხულია და ბნელში დგას:
მაგრამ უჭვრეტს საგანთა არსს.

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს:
მაგრამ ყოველივეს იქმს.

XLVIII

ვინცა ეძიებს ცოდნას:
დღითიდღე იმდიდრებს ცოდნას.
ვინცა მორჩილებს **დაოს**:
დღითიდღე იმცირებს ვნებებს.
ვინცა ნიადაგ იმცირებს ვნებებს:
დღიად უმოქმედობას აღწევს.

ისეთი არაფერია ქვეყნად:
უმოქმედობა არ იქმდეს.
უმოქმედობით ვეუფლებით ცისქვეშეთს.
ხოლო მოქმედებითი — ვკარგავთ მას.

XLIX

ყოვლადბრძენის გული ცარიელია.
მისი გული ხალხის გულთა შესაკრებელია.
მას შესწევს ძალი:
გაიბუნებოს ერის აზრი.

„კეთილთაჲ სიკეთეს მივაგებ
და უკეთურთაჲ სიკეთეს მივაგებ“.
ამ სიკეთით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.
„ერთგულთაჲ ვერთგულე
და ორგულთაჲ ვერთგულე“.
ამ ერთგულებით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.

ყოვლადბრძენი სიცარიელეში ცხოვრობს:
ამიტომ ცხოვრობს მშვიდად და მარტო.
მისი გული დაფარულია და ცარიელი:
ყოველს თანაბრად მიაგებს მისაგებელს.
ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.
ამიტომ მორჩილებენ ცისქვეშეთში.

ყოვლადბრძენი ისე უმზერს ხალხს:
ვითარცა შვილსა და ყრმას.

L

ყოველივე ცოცხლობს და კვდება.

სიცოცხლეს ცამეტი საფეხური აქვს.
სიკვდილსაც ცამეტი საფეხური აქვს.
კაცობრივი სიცოცხლის საფეხურებიც —
ნიადაგ რომ სიკვდილს შეერთვის:
ცამეტია.
რა არის ამის მიზეზი?!
ცხოველი ლტოლვა სიცოცხლისადმი.

მე მსმენია:
ვისაც სიცოცხლე შეუცნია და დაუთმენია:
მისთვის ვეფხსა და მარტორქას არა უვნია.
აბჯარაუსხმელი და უიარალო:
ვერ შეუკრთია ხმალთაკვეთებას.

მარტორქა ვერსაით ჩასცემს რქას.
ვეფხი ვერსაით ჩააბრჯენს ჭანგს.
მახვილი ვერსაით განგმერს მას.

ჭეშმარიტად:
ვინცა შეიცნო სიცოცხლე და დაითმინა:
მისთვის არ არსებობს სიკვდილი.

LI

დაო შობს ყოველ არსს.
დე კვებავს ყოველ არსს.
სიდიადე მათი:
ხორცქმნის ყოველ არსს.
ძალა მათი:
სრულქმნის ყოველ არსს.

ისეთი არაფერია ქვეყნად:
დაოს რომ არ მორჩილებდეს
და **დეს** არ ეთაყვანებოდეს.

დაოს იმად მორჩილებენ
და **დეს** იმად ეთაყვანებიან:
ისინი რომ არას ითხოვენ.
არას ითხოვენ და:
ბუნებითობას მორჩილებენ.
ამიტომ არიან:
უცვლელნი და მარადიულნი.

ჭეშმარიტად:
დაო შობს ყოველ არსს.
დე კვებავს ყოველ არსს.
ხორცქმნის და მფარველობს მათ.
ზრდის და ანიფეს მათ.
სრულქმნის და წინამძღვრობს მათ.
მზრუნველობს და თანალმობს მათ.

შეჰქმენ და ნუ დაეუფლები.
ხორცჰქმენ და ნუ იმედიდურებ.
იმეუფე და ნუ იბატონებ.

ამას ენოდება უმაღლესი **დე**.

LII

სამყაროს აქვს დასაბამი.
იგია დედა ცისქვეშეთისა.

ვინცა შეიცნო დედა:
მან ძედ შეიცნო თავი.
ვინცა ძედ შეიცნო თავი:
მან შეიცნო დედა.
ხორცი მისი კვდება:
სული კი — უკვდავია.

ვინცა დაიხშო ყურნი
და დაიბრმა თვალნი:
უტანჯველად გალია ნუთისოფელი.
ვინცა ვნებებს აჰყვა
და ნეტარებამ შთანთქა:
სატანჯველში გალია ნუთისოფელი.

ვინცა დაფარულში შეაღწია:
ყოვლისმხილველია.
ვინცა სიღბო შეინარჩუნა:
მძლეთამძლეა.
ვინცა სინმიდეს დაეუფლა:
გასხივოსნებულია.

ვინცა ყოვლისმხილველია:
ვინცა მძლეთამძლეა:
ვინცა გასხივოსნებულია:
უკვდავია და მრავალჟამიერი.
ოდენ გვამი იხრნება მისი.

ამას ჰქვია ზიარება მარადიულთან.

LIII

მე რომ ცოდნას ვფლობდე:
დიდ გზაზე ვივლიდი.
დიდი გზა მზიანია:
მაგრამ ხალხს ბილიკები უყვარს.
მე მაშინებს მოქმედება
და მონყალებას შიშით გავცემ.

სამეფო კარი თუ ბრწყინავს:
მინდვრები გადახრიოკებულია.
ბელლები გამოცარიელებულია.

დიდებულნი თუ ძვირფასეულით შემოსილან,
ბრწყინვალე საჭურვლით შეჭურვილან,
უკადრისობენ მდაბიურ სუფრას
და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან:
ეს ავაზაკობაა და ზვიადობა.

ნუთუ ესაა **დაო**?!

LIV

არ ეგების:

სიდიადის ძალით დამხოზა.

არ ეგების:

მკვიდრად რგულის გაცამტვერება.

მარად ქედს იხრის მათ წინაშე:

შთამომავლობა.

ვინცა მათ თავისი თავისთვის ადიადებს:

თავისი თავისთვის იქმს სიკეთეს.

ვინცა მათ თავისი სახლეულისთვის ადიადებს:

თავისი სახლეულისთვის იქმს სიკეთეს.

ვინცა მათ თავისი სოფლისთვის ადიადებს:

თავისი სოფლისთვის იქმს სიკეთეს.

ვინცა მათ თავისი ქვეყნისთვის ადიადებს:

თავისი ქვეყნისთვის იქმს სიკეთეს.

ვინცა მთელი სამყაროსთვის ადიადებს:

მთელი სამყაროსთვის იქმს სიკეთეს.

სიკეთე იგი — უმაღლესია და ყოვლადი:

ვითარცა **დაო** — დაფარული და ყოვლადი.

ჭეშმარიტად.

შეიცან თავი შენი

და შეიცნობ ყოველს.

შეიცან სახლეული შენი

და შეიცნობ სხვისას.

შეიცან სოფელი შენი

და შეიცნობ სოფლებს.

შეიცან ქვეყანა შენი

და შეიცნობ ქვეყნებს.

შეიცან სამყარო
და შეიცნობ სამყაროს.

ხოლო ვით შევიცნო: — რანაირია სამყარო?!
მხოლოდ და მხოლოდ **დაოს** წყალობით.
შეიცან **დაო** და შეიცნობ სამყაროს.

LV

ვინცა დაეუფლა **დეს**:
ახალშობილს ჰგავს.

ქვენარმავალი მას ვერ დაგესლს.
ნადირი მას ვერ დაგლეჯს.
ყვავ-ყორანი მას ვერ დაფლეთს.
თუმცა ძვლები სუსტი აქვს
და ნადიერება უძალო:
მძლავრად უპყრია **დაო**.

თუმცა არ უწყის მდედრისა და მამრის
თანაკავშირი:
ცხოველმყოფელია და ყოველივეს მხილველი.

მთელს დღეს მოთქვამს და არ იღლებს:
მისი ხმა ხმიერია და თანხმიერებას ფლობს.

ვინცა თანხმიერებას ფლობს:
იგი უცვლელობას ფლობს.
ვინცა უცვლელობას ფლობს:
იგი გასხივოსნებას ფლობს.
უკეთურებაა ხორციით ნეტარება.
სულიერობაა ვნებათა დამორჩილება.

ოდეს არსება ძლიერებას აღწევს:
ბერდება და ჩაჩანაკდება.
ეს კი — **დაოს** ხელყოფაა.

ვინცა არ მორჩილებს **დაოს**:
ჟამმოკლეა მისი არსებობა.

LVI

ბრძენი დუმს.
უმეცარი ქადაგებს.

ბრძენი დუმს და:
იხშობს კარს.
იგმანავს სარკმელს.
იურვებს ვნებებს.
ბრძენი დუმს და:
ისხივოსნებს ქაოსს.
ინყვდიადებს ბრწყინვას.
შეერთვის მტკერს.

ამას ჰქვია დაფარული ერთიანობა.
ამას ჰქვია **დაო** დაფარული.

არ ეგების მისი დაუფლება:
სიყვარულის გამო.
არ ეგების მისი დაუფლება:
უარყოფის გამო.
არ ეგების მისი დაუფლება:
ანგარების გამო.
არ ეგების მისი დაუფლება:
მწუხარების გამო.

არ ეგების მისი დაუფლება:
განდიდების გამო.
არ ეგების მისი დაუფლება:
დამცირების გამო.

ამიტომ აღიადებენ **დაოს** ცისქვეშეთში.

LVII

სამართლიანობა საფუძველია ხელმწიფებისა.
ვერაგობა საფუძველია ომისა.
ხელმწიფებას უმოქმედობით ვეუფლებით.

საიდან ვუნცი, ეს რომ ასეა?!

რაც მეტია აკრძალვა:
მით მეტია სიღარიბე.
რაც მეტია იარაღი:
მით მეტია ამბოხი.
რაც მეტია ცრუბრძნობა:
მით მეტია სიხარბე.
რაც მეტია კანონი და ბრძანება:
მით მეტია ქურდი და ავაზაკი.

ყოვლადბრძენი ამიტომ ამბობს:
„მე არას ვიქმ და:
ხალხს თავად ეუფლება სრულქმნილება.
მე მშვიდად ვარ და:
ხალხს თავად ეუფლება სამართლიანობა.
მე უმოქმედოდ ვარ და:
ხალხს თავად ეუფლება კეთილშობილება.“

მე ვბადამცხრალი ვარ და:
ხალხს თავად ეუფლება უბრალოება“.

LVIII

ხელმწიფე თუ უხვია
და მშვიდად ხელმწიფებს:
ხალხი კეთილია და ბედნიერი.
ხელმწიფე თუ შლეგია
და ბოროტად ხელმწიფებს:
ხალხი უკეთურია და უბედური.

ო, უბედურებავ!
შენ ძირი ხარ ბედნიერების.
ო, ბედნიერებავ!
შენ ძირი ხარ უბედურების.

ვინ შეიცნო:
სად იწყება მათი სათავე?
ვინ უწყის:
სად ძევს მათი მიჯნები?
ცვალებადნი არიან და ჟამნარმავალნი:
სიმართლე სივერაგეში გადადის.
ხოლო სიკეთე — სიბოროტეში.

ო, გაულწევლობავ! ო, სიბრმავევ ბრმათა!
რახანია დაბინდულია სავალი კაცთა!

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი ძლიერია და:
სძაგს ძალმომრეობა.

ყოვლადბრძენი სამართლიანია და:
სძაგს უკეთურობა.
ყოვლადბრძენი მონყალეა და:
სძაგს ანგარება.
ყოვლადბრძენი ბრწყინვალეა და:
სძაგს ბრწყინვალეობა.

LIX

ვინცა დაეუფლა დათმენას:
ხელმწიფებს ხალხს და მსახურებს ცას.
დათმენა ძირია მორჩილებისა.
ხოლო მორჩილება — **დეს** სრულქმნაა.
ვინცა **დეს** სრულქმნას დაეუფლა:
ყოვლისმძლეობას დაეუფლა.
ვინცა ყოვლისმძლეობას დაეუფლა:
უსამზღვროებას დაეუფლა.
ვინცა უსამზღვროებას დაეუფლა:
ცისქვეშეთს დაეუფლა.

ცისქვეშეთის მეუფე — დედაა სამყაროსი.

ვინცა სამყაროს დედას დაეუფლა:
უსასრულოა და ჟამგრძელი.
ძირი მისი უნიალოა,
თესლი — ცხოველმყოფელი.

ეს კი **დაოა**:
საძირკველი მარადისობისა
და დაუსაბამო ჭვრეტისა.

LX

ვინცა დიდ სახელმწიფოს ხელმწიფებს:
მარადი სიმშვიდე და მოთმინება მართებს.

ხოლო თუ **დაოს** მორჩილებით ვიხელმწიფებთ:
ავ სულელებს არ ძალუძთ სასწაულთა ქმნა.
არათუ სასწაულთა ქმნა არ ძალუძთ:
ვნებაც კი არ ძალუძთ.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი არავის ვნებს:
არც მას ვნებს ვინმე.
ხოლო თუ ერთმანეთს არ ვვნებთ:
ჩვენი **დე** ერთიანდება და სრულქმნილდება.

LXI

დიდი სამეფო:
მდინარეთა თავშესაყარს ჰგავს.
იგი შესაკრებელია ცისქვეშეთისა.
იგი მდედრია ცისქვეშეთისა.

მდედრი თვინიერობით იმორჩილებს მამრს.
მდედრი თვინიერობითვე მორჩილებს მამრს.

ჭეშმარიტად:
ოდეს დიდი სამეფო ეკრძალვის პატარა
სამეფოს:
პატარა სამეფო მორჩილებს დიდ სამეფოს.
ოდეს პატარა სამეფო ეკრძალვის დიდ სამეფოს:
დიდი სამეფო მორჩილებს პატარა სამეფოს.

მორჩილება მოკრძალებას ბადებს
და კრძალულნი მორჩილებენ ერთურთს.

ვინცა მორჩილებით გასცემს:
დაეუფლება.

ვინცა ქედმაღლობით დაეუფლება:
დაკარგავს.

ხოლო თუ:

დიდი სამეფო მსურველია —
თანხმობისა და ხალხთა ერთიანობისა.

პატარა სამეფო კი —

სიყვარულისა და ხალხთა მსახურებისა:
ორივენი იმას მოისთვლიან, რასაც მიელტვიან.

ჭეშმარიტად:

ვინცა სიდიადეს მიელტვის:
მორჩილება მართებს.

LXII

დაო შესაკრებელია ყოველი არსისა.

იგი განძია კეთილთა

და სამფარველოა უკეთურთა.

მჭევრმეტყველება ყველას ძალუძს.

კეთილ საქმეთა ქმნა — ცოტას.

უკეთურთა მიტევება — ხვედრია რჩეულთა.

თუ ამას არ ვიქმთ:

რა საჭიროა მეფენი და დიდებულნი?!

მეფენი და დიდებულნი კი:

ულევ თვალმარგალიტს ფლობენ.

ეტლებზე აღმჯდარან და დაჯირითობენ.

სჯობს შედგნენ და:
მშვიდად აღიადონ **დაო**.

რად აღიადებდნენ **დაოს** ძველად?!
არ მიელტვოდნენ სიმდიდრეს
და პატიობდნენ დანაშაულს.
ამად აღიადებდნენ **დაოს** ძველად.

LXIII

აღძარ და ნუ იძვრი.
ჰქმენ და იუქმე.
იხარე და იმარტვილე.
სიდიადე — სიმცირეა.
სიმრავლე — სიცოტავეა.
სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას.

დაეუფლე მძიმეს:
ვიდრე მსუბუქია.
დაეუფლე ღიადს.
ვიდრე მცირეა.
სიმსუბუქე შეიქმს სიმძიმეს.
სიმცირე შეიქმს სიდიადეს.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი უქმობს და არ ღიადობს.
სწორედ ამით იქმს და ღიადია.
ვინცა მრავალს ღალადებს:
ვერ პოვებს რწმენას.
ვინცა სიმსუბუქეს ეუფლება,
იგი სიმძიმესაც ეუფლება.

ამიტომ:

ყოვლადბრძენი ნიადაგ მწუხრს გარემოუცავს.
ამიტომ დუმს და სიმშვიდეს მოუცავს.

LXIV

უძრავს ადვილად დავეუფლებით.
ჩანასახს ადვილად აღმოვაცენებთ.
მყიფეს ადვილად დავამსხვრევთ.
დანამსხვრევს ადვილად მიმოვაბნევთ.

მოქმედება არარაისგან უნდა დავიწყოთ.
მშვიდობა მშვიდობისას უნდა დავამყაროთ.

დიდი ხე პატარა ყლორტისგან აღმოცენდება.
ცხრასართულიანი კოშკი მუჭა მინით
აღიმართება.
ათას უტევანზე სვლა ნაბიჯით იწყება.
ვინცა მოქმედებს:
დაილუპება.
ვინცა ფლობს:
დაკარგავს.

ამიტომ:

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს:
ამიტომ არ ილუპება.
ყოვლადბრძენი არ ფლობს:
ამიტომ არ კარგავს.

ვინცა იქმს და განდიდებას ლამობს:
ვერ მიაღწევს მისაღწეველს.

ვინცა იქმს და სიმშვიდეს ლამობს:
ის მიაღწევს მისაღწევებს.
ამიტომაც:
ყოვლადბრძენი იურვებს ვნებებს
და არად მიიჩნევს იშვიათ ნივთებს.
სწავლულთა გარეშე განისწავლება
და იმ გზას მიჰყვება:
რაც სხვებმა გაიარეს.
იგი მორჩილებს არსთა ბუნებითობას
და დაფარულ წიაღში მათს უკუქცევას.

LXV

ძველად, ვინცა **დაოს** მორჩილებით
ხელმწიფებდა:
ხალხს უმოქმედობასა და უმეცრებაში
ამყოფებდა.
ბუნებითობას და უბრალოებას აუფლებდა.

ოდეს ხალხმა მრავალი უწყის
და არ ფლობს უბრალოებას:
ძნელია უხელმწიფო მას.

ჭეშმარიტად:
ვინცა ცრუბრძნობით ხელმწიფებს:
უკეთურობა მოაქვს ქვეყნისთვის.
ვინცა სიბრძნით ხელმწიფებს:
სიკეთე მოაქვს ქვეყნისთვის.

ვინცა ეს უწყის:
ხატია ცისქვეშეთის.

ვინცა ხატია ცისქვეშეთის:
უმაღლეს დეს ფლობს.

ო, რა ღრმაა და მიუნვდომელი:
უმაღლესი დე.
იგი არას ჰგავს სამყაროში.
მაგრამ შესაკრებელია ყოველივესი
და საშოა დიადი თანხმობის.

LXVI

მდინარენი და ზღვები:
ვით მეუფებენ ველთა და მინდორთა?!
მით, რომ დაბლობებს ელტვიან.
აი, რად ძალუძთ მეუფება:
ველთა და მინდორთა.

ჭეშმარიტად:
ვინცა გახელმწიფებას მიელტვის:
მოკრძალება მართებს.
ვინცა განინამძვრებას მიელტვის:
მონინება მართებს.

ამიტომია:
ყოვლადბრძენი არ ამძიმებს ხალხს:
ოდეს გახელმწიფდება ცისქვეშეთში.
ყოვლადბრძენი არ ბატონობს ხალხს:
ოდეს განინამძვრდება ცისქვეშეთში.
ამიტომ ახელმწიფებენ სიხარულით.
ამიტომ მორჩილებენ თანალმობით.
ამიტომ მკვიდრდება ქვეყნად მშვიდობა.

ოდეს ქვეყნად მშვიდობა მკვიდრდება:
ყოვლადბრძენი არ მძლავრობს.
არ მძლავრობს და:
უძლეველია ცისქვეშეთში.

LXVII

ცისქვეშეთში ყველა აღიარებს:
ჩემი **დაო** რომ დიადია.
დიადია და წარუდინებელი.
წარმავალი რომ იყოს:
ჟამთადენაში შთაინთქებოდა.
ამიტომ არავის ჰგავს ცისქვეშეთში.
დაო მარადიულია, რამეთუ დიადია.

მე ვფლობ სამ საგანძურს:
თვალისჩინივით ვუფრთხილდები მათ.
პირველს ჰქვია — სიყვარული.
მეორეს ჰქვია — ზომიერება.
მესამეს ჰქვია — მორჩილება.
მორჩილება, ანუ ის:
რისი წყალობითაც სიმშვიდე მეუფლება.

ვინცა სიყვარულს ფლობს:
ძლიერია.
ვინცა ზომიერებას ფლობს:
გულუხვია.
ვინცა მორჩილებას ფლობს:
მეუფეა.

ვინცა ძლიერია
და არ უწყის სიყვარული:

გაუბედურდება.
ვინცა გულუხვია
და არ უწყის ზომიერება:
გაჩანაგდება.
ვინცა მეუფეა
და არ უწყის მორჩილება:
დაილუპება.

ვინცა სიყვარულით იბრძვის:
იმარჯვებს და ჟამიერს ერთვის.
ვინცა ცისგან ხსნას მიელის:
სოფლიურ სიყვარულს მიელტვის.

LXVIII

ვინცა ჭეშმარიტად რაინდია:
არ მძლავრობს.
ვინცა ჭეშმარიტად მებრძოლია:
არ მრისხანებს.
ვინცა ჭეშმარიტად მონყალეა:
დამარცხებულს არ იმონებს.
ვინცა ჭეშმარიტად ხელმწიფეა:
გულუხვია და არ ხელმწიფებს.

ამას ეწოდება **დე** ალუზავებლობისა.
ამას ეწოდება ძალა ხელმწიფებისა.
ამას ეწოდება თანხმობა ცისმიერისა.

ასეთია ძველთაძველი განჩინება.

LXIX

„სამხედრო ხელოვნება“ დალაღებს:
„მე არ ვინყებ, მე ველი.
გოჯსაც არ წარვდგამ წინ:
ნაბიჯს კი — უკუვდგამ“.

ამას ეწოდება წინსვლა უკუსვლით.
ამას ეწოდება გამარჯვება უკუდგომით.
ამას ეწოდება დალაშქვრა უიარალოდ.
ამას ეწოდება ომი უომრად.

უფრო დიდი უბედურება არაფერია:
გძულდეს მტერი შენი.
მტრის სიძულვილი ვნებს **დაოს**.

ჭეშმარიტად:
მახვილშემართულთა შორის ის იმარჯვებს:
ვინცა თვინიერია და მორჩილი.

LXX

ჩემი დამოძღვრის წვდომა არ არის ძნელი.
არც მისი განინამძღვრებაა ძნელი.
მაგრამ ხალხს უჭირს წვდომა მისი
და განინამძღვრებაც უჭირს მისი.

სიტყვა ჩემი — დასაბამიერია.
საქმე ჩემი — ცისმიერია.
უკეთუ არ უწყიან დასაბამიერი:
მეც დაფარული ვარ მათთვის.
მცირედს თუ შეუცნია დასაბამიერი.
მეც ამიტომ ვარ — განძი დაფარული.

ამიტომაა:

ყოვლადბრძენი ჯვალთია შემოსილი.
შიგნით კი — განძითაა დაგანძული.

LXXI

ვინცა ბრძენია და თავი უმეცრად მოაქვს:
ზნემაღალია.

ვინცა უმეცარია და თავი ბრძნად მოაქვს:
სნეულია.

უნოდე სნეულებას სნეულება
და გაგეცლება სნეულება!

ყოვლადბრძენი არ არის სნეული.
იგი უნოდებს სნეულებას სნეულებას:
ამიტომ არ არის სნეული.

LXXII

ოდეს დგება ჟამი მძლავრობისა:
ხალხი ძრწის ძლიერთა წინაშე.
ნუ ანგრევთ მათ საცხოვრისებს!
ნუ დასცინით მათ ცხოვრებას!
ნუ დაამწუხრებთ სხვის ცხოვრებას
და თქვენიც აღარ დაამწუხარდება!

ამიტომაა:

ყოვლადბრძენმა უწყის ნათება თვისი:
მაგრამ არ ბრწყინვალეებს.
ყოვლადბრძენმა უწყის თანაღმობა თვისი:
მაგრამ არ მედიდურობს.

ჭეშმარიტად:
დაეუფლე ერთს და უარყავ მეორე!

LXXIII

ვინცა ძლიერია და მზვაობარი:
კვდება.
ვინცა ძლიერია და თვინიერი:
ცოცხლობს.

ერთს ზიანი მოაქვს,
მეორეს კი — მადლი.
ვინცა უარყო **ცის მეუფება**:
ვერ შეიცნო მათი ძირები.

ყოვლადბრძენი ამიტომ მარტვილობს.
ამიტომ უმძიმს მიზეზთა ძიება.

მეუფე ცისა არ დაობს და უძლეველია.
დუმს და მრავლისმეტყველია.
არვის უხმობს და ყოველივეს გარემოიცავს.
არ იძვრის და ყოველივეზე მეტს იქმს.
ციური ბადე გამჭვირვალეა და უსასრულო:
მაგრამ ერთიანია და გაულწეველი.

LXXIV

ოდეს ხალხს არ აკრთობს სიკვდილი:
რად ვემუქრებით სიკვდილით?!
ვინცა სიკვდილით ემუქრება ხალხს:
ბუნება სჯის მას.

ვინლა გაბედავს კვლას?!

არის დიადი მსაჯული:
ის სპობს მკვლელს.
მისი შეცვლა არ ეგების.
ვინცა შეცვლის დიად მსაჯულს:
ბუნება დასჯის მას.

LXXV

ხალხი იმად შიმშილობს:
სახელმწიფო ბეგარა რომ დიდია.
ამად შიმშილობს ხალხი.

ხალხი იმად შფოთავს:
ქვეყნის მპყრობელნი რომ
ბევრს იღვნიან მისთვის.
ამად შფოთავს ხალხი.

ხალხს იმად არ აკრთობს სიკვდილი:
სიცოცხლეს რომ მორჩილად მიელტვის.
ამად არ აკრთობს სიკვდილი.

ამად არის სიცოცხლის მორჩილი:
ბრძენი.
ხოლო სიცოცხლეზე აღზევებული:
უმეცარი.

LXXVI

ოდეს იბადება კაცი:
თოთოა და სუსტი.

ოდეს კვდება კაცი:
მაგარია და ხმელი.

ყოველი არსი და აღმონაცენი:
თოთოა და სუსტი აღმოცენებისას.
ყოველი არსი და აღმონაცენი:
მაგარია და ხმელი კვდომისას.

ჭეშმარიტად:
კვდომადია მაგარი და ხმელი.
აღმოცენებადია თოთო და სუსტი.

ამიტომაა:
ძალმოსილი მხედრობა მარცხდება.
ხე ძლიერი ჭკნება და ხმება.
მაგარი და ხმელი:
მინას შეერთვის.
თოთო და სუსტი:
ცად მაღლდება.

LXXVII

მშვილდის მოზიდვას ჰგავს:

დაო ბუნებითი.
ოდეს ქვედაიზიდება ზე:
მაშინ ზეაიზიდება ქვე.
მოაკლდება ჭარბს.
მოემატება ნაკლულს.

დაო ბუნებითი:
მდიდარს ნაჰგვრის და ღარიბს მიაგებს.

დაო კაცებრივი:
ღარიბს ნაჰგერის და მდიდარს მიაგებს.

ვის ძალუძს გასცეს ყოველი?!
ვინცა **დაოს** მორჩილებს.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი შეიქმს
და არ ეუფლება შექმნილს.
ყოვლადბრძენი აღძრავს
და არ ეუფლება აღძრულს.

ყოვლადბრძენი გასხივოსნებულია:
მაგრამ ბინდით გარემოუცავს თავი.

LXXVIII

ცისქვეშეთში არაფერია:
წყალზე უფრო სუსტი
და წყალზე უფრო რბილი.
მაგრამ ძალუძს სძლიოს:
ყველაზე უფრო მაგარსა
და ყველაზე უფრო ძლიერს.

არყოფნა იპყრობს ყოფიერს.

სუსტი სძლევს ძლიერს.
რბილი სძლევს მაგარს.

ცისქვეშეთში არავინაა, ეს რომ არ უწყოდეს.
მხოლოდ რჩეულნი მიელტვიან მის
აღსრულებას.

ყოვლადბრძენი ამიტომ ამბობს:
„ვინცა გაცოდვილდა მთელი ქვეყნის ცოდვით:
განინამძღვრდა ცისქვეშეთში.
ვინცა დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით:
გამეუფდა ცისქვეშეთში“.

ჭეშმარიტებას არ სჭირდება ღალადი.

LXXIX

ვინცა გაინელა დიდი სიძულვილი:
მაინც შერჩა მცირეოდენი.
მას არ ძალუძს სიკეთის ქმნა.

ამიტომაა:
ყოვლადბრძენი დაიკრებს ყველას ცოდვებს
და საზღაურად არაფერს ითხოვს.

ვინცა ფლობს უმაღლეს სათნოებას:
დაიკრებს ცოდვებს და ენამება.
ვინცა არ ფლობს უმაღლეს სათნოებას:
ვერ დაიკრებს ცოდვებს და ვერ ენამება.

დიადი **დაო** განმხოლოებულია.
მხოლოდ იმას წყალობს:
ვინცა სიკეთეს თესს.

LXXX

ო, ხელმწიფეო!
უკეთუ შენი სამეფო პატარაა და ხალხმცირე
და უკეთუ ფლობ დიდძალ იარაღს:

ნუ მოიხმარ მას.
შეაცნობინე ადამიანთ სიკვდილის არსი
და არასოდეს დაუტევებენ მშობლიურ ალაგთ.
დაე, ფლობდე ხომალდებსა და ეტლებს:
მაგრამ საომრად ნუ დაძრავ მათ.
დაე, გყავდეს ლაშქარი:
მაგრამ ნუ ილაშქრებ.
დაე, კვლავ კვანძები კვანძონ
და წერილთა მაგიერ აგზავნონ.
დაე, ჰქონდეთ საზრდელი — გემრიელი.
სამოსელი — მშვენიერი.
სახლ-კარი — მყუდრო.
ხოლო ცხოვრება — მშვიდობიანი.
დაე, შორიდან უმზირონ მეზობელ ქვეყნებს:
შორიდან უსმინონ მათი მამალების ყვირის.
შორიდან უსმინონ მათი ძაღლების ყეფას.
დაე, მოხუცდნენ და ისე გარდიცვალონ:
ვერასოდეს იხილონ ერთმანეთი.

ო, ხელმწიფეო!
ნურად დრტვინავ და ნურად იმღვრევი!
შეაცნობინე ადამიანთ სიკვდილის არსი
და არასოდეს დაუტევებენ მშობლიურ ალაგთ.

LXXXI


ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი.
ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი.
ზნემაღალი კაცი არ დაობს.
ვინცა დაობს: არ არის ზნემაღალი.
ბრძენი სიბრძნეს ფლობს და დუმს.
უმეცარი — უმეცრებას და ქადაგებს.

ყოვლადბრძენი არ იხვეჭს.
ყოველივეს ხალხისთვის იქმს
და ყოველივეს გასცემს.
რაც უმეტესს გასცემს:
მეტს მოისთვლის კვლავგასაცემად.

დაო ბუნებითი:
იქმს და უძრავია.
დაო ბრძენთა:
იქმს და მდუმარეა.







ლაო ძი და კონფუცი-ქვის ბარელიეფი. XI ს.

ქრისტიანობა და „დაო დე ძინი“

მიზანშეწონილად ჩავთვალე, გავაცნო მკითხველს ახალი ეპოქის უდიდესი მწერლისა და მოაზროვნის ლევ ტოლსტოის თვალსაზრისი ლაო-ძის მოძღვრებისადმი, როგორც მონათესავე რელიგიური მოძღვრებისა ქრისტიანულ რელიგიურ მოძღვრებასთან, და საერთოდ, მისი დამოკიდებულება ჩინური, კერძოდ, „დაო დე ძინის“ სამყაროსადმი. ეს დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ცხადად გვამცნობს იმას, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს „დაო დე ძინს“, რა საღმრთო ღირებულებათა შეტანა შეუძლია მას ამა თუ იმ ერის სულიერ საგანძურში.

ჩინური რელიგიისა და ფილოსოფიისადმი ინტერესი ლევ ტოლსტოის ჯერ კიდევ 1880-იან წლებში აღეძრა და სიკვდილამდე არც განელებია. იგი სხვებსაც უღვივებდა ამ სიყვარულს. ტოლსტოის ამ ლტოლვას ჩინური სიბრძნისადმი გვამცნობს მისი სამი პატარა წერილი: „კონფუციის წიგნები“, „დიადი მოძღვრება“ და „ნიგნი გზისა და სათნოებისა“. ყველა ეს გაერთიანებულია ერთი სათაურით: „ჩინური სიბრძნე“. ტოლსტოის იზიდავდა ჩინელთა მშვიდობიანი ბუნება და სათნოებისა და სიმართლისადმი მათი სიყვარული. იგი წერდა: „ჩინელები ყველაზე მშვიდობიანი ხალხია ქვეყნად. მათ არა უნდათ რა სხვისა, არ უყვართ ომი. ჩინელი მხვნელ-მთესველია. მათი მეფე თავად ხნავს. და ამიტომ, ჩინელები ყველაზე მშვიდობიანი ხალხია ქვეყნად. ისინი ამბობენ: „თუ კაცი ამბობს, რომ ის კარგი მებრძოლია, იცოდე — ის კაცი დიდად საშიშია.“ „საუკეთესო კაცი ის არის, ვინც სხვას ბოროტს არ უზამს, თავად მცირედს იკმარებს, სხვისთვის კი ბევრს გასცემს.

ჩინელები ბოროტებას არ სჩადიან, არავის ებრძვიან და ბევრს გასცემენ, თავიანთთვის ცოტას კმარობენ“. „აი, მათი რწმენა: ისინი ამბობენ (ამას მათი მოძღვარი ჩუ-ხი ამბობს): „ყოველი კაცი ციური მამისაგან იშვა; და ამიტომ არ არსებობს კაცი, მის გულში რომ სიყვარული, სათნოება, სიმართლე, თავაზიანობა და სიბრძნე არ ღვიოდეს“.

ლევ ტოლსტოის სურდა ჩინური ფილოსოფიური და რელიგიური იდეები რუსეთშიც გაეფრცვლებინა. 1891 წელს პეტერბურგელ გამომცემელს მ. მ. ლედერლეს კითხვით მიუმართავს ტოლსტოისათვის, თუ სიმწიფის ასაკში რომელმა მოაზროვნეებმა მოახდინეს მასზე ზეგავლენა. ტოლსტოის დასავლეთევროპელ მოაზროვნეებთან ერთად დაუსახელებია კონფუცი, მენ-ძი („ძალიან დიდი“) და ლაო-ძი („უზარმაზარი“). 1884 წელს, თებერვალში ტოლსტოი ვ. გ. ჩერტკოვს წერს: „ვზივარ სახლში ძლიერ სურდოიანი, სიცხით შეპყრობილი და მეორე დღეა კონფუცის ვკითხულობ. ვერ წარმოიდგენ, რა არაჩვეულებრივი სიმაღლეა. ტკბები, როცა ხედავ, თუ როგორ აღწევს ზოგჯერ ეს მოძღვრება ქრისტიანული მოძღვრების სიმაღლემდე“. ამავე წლის მარტში ტოლსტოი ისევ წერს ჩერტკოვს: „მე ჩინური რელიგიით ვარ შეპყრობილი. ძალიან ბევრი კარგი რამ გამოგჩხრიკე, ჩემთვის სასარგებლო და სასიხარულო. თუ ღვთის წყალობა იქნა, მინდა ყოველივე ეს სხვებსაც გავუზიარო“. ისევ ჩერტკოვს წერს: „დიდად დატყვევებული ვარ ჩინური სიბრძნით. ძალიან დიდი სურვილი მაქვს გაცნობოთ თქვენცა და ყველას ის ზნეობრივი სარგებლიანობა, რაც მე ამ წიგნებმა შთამაგონეს“. 1884 წლის 27 მარტს ტოლსტოი დღიურში წერს: „ჩემს ზნეობრივ მდგომარეობას მივანერ

აგრეთვე კონფუციის კითხვას და, რაც მთავარია, ლაო-ძის“. მისივე სიტყვებით, ლაო-ძის მოძღვრებამ მასზე „უზარმაზარი ზეგავლენა“ მოახდინა.

ლევ ტოლსტოი „დაო დე ძინის“ საფუძვლიან შესწავლას 1884 წელს შედგომია, როცა მისი რუსულად თარგმნა და გამოცემა გადაუწყვეტია. 1884 წლის 6 მარტს დღიურში იწერს: „ვთარგმნიდი ლაო-ძის. ისე არ გამოდის, როგორც მინდა“. მას ხელთ ჰქონია ს. ჟიულიენის ფრანგული თარგმანი „დაო დე ძინისა“ და ცალკეულ თავებზე ასეთი მინაწერები გაუკეთებია: „მეტაფიზიკა — საუცხოოა“. „დასაბამი — საუცხოოა“. „გასაოცარია“. 1893-1894 წლებში ტოლსტოი ხშირად მიმართავდა ვ. ვ. სტასოვს იმ ლიტერატურის გამო, რაც ჩინურ ფილოსოფიას შეეხებოდა, კერძოდ კი — ლაო-ძის მოძღვრებას და ღებულობდა კიდევ მისგან დაწვრილებით ცნობებს.

როგორც ა. ი. შიფმანი გვაუწყებს თავის ნიგნში „ლევ ტოლსტოი და აღმოსავლეთი“, ტოლსტოი ხელმეორედ დაბრუნებია ლაო-ძის მოძღვრებას, როცა ე. ი. პოპოვთან ერთად მუშაობა განუახლებია „დაო დე ძინის“ რუსულ თარგმანზე. „უდიდეს მნიშვნელობას რომ ანიჭებდა რუსეთში მის გამოცემას, მწერალი გამოწვლილვით ამუშავებდა ამ თარგმანს და უდარებდა მას დასავლეთევროპულ თარგმანებს“. ტოლსტოის ამ პერიოდის წერილები და დღიურები ხშირად გვაუწყებენ ამ რთული სამუშაოს შესახებ. 1893 წლის 2 სექტემბერს ტოლსტოი ცოლს წერს: „ჩვენ მისას (პოპოვთან) ვკითხულობთ და ვასწორებთ ღრმადმოაზროვნე მწერლის ლაო-ძის თარგმანს; და მე ყოველთვის სიამოვნებითა და დაძაბულობით ვერთვები, და ვცდილობ გადმოვცე, ვსარგებლობ ფრანგული და ძალიან კარგი გერმანული თარგმანით“.

1893 წლის 5 ოქტომბერს ტოლსტოი დღიურში წერს: „პოპოვი აქ არის. ჩვენ მასთან ერთად გერმანელი შტრაუსის მიხედვით ვთარგმნით ლაო-ძის. რა შესანიშნავია! უნდა შევადგინოთ მისგან პატარა წიგნი“. რათა დროზე შესრულდეს ეს ჩანაფიქრი, ტოლსტოი ცდილობს ჩართოს ამ საშურ საქმეში თავისი ახლობელი ადამიანები, პირველ რიგში ვ. გ. ჩერტკოვი. მაგრამ იგი გულგრილად ეკიდებოდა ტოლსტოის წინადადებას. ხოლო პოპოვმა ვერ დაასრულა თარგმანი. მწერლის ჩანაფიქრი, გაეცნო რუსეთისათვის „დაო დე ძინი“, ამჟამადაც განუხორციელებელი დარჩენილა. 1909 წელს მწერალი ისევ დაბრუნებია „დაო დე ძინის“ გამოცემის იდეას. მან 1910 წელს გამომცემლობა „პოსრედნიკში“ გამოსცა ლაო-ძის სამოცდაოთხი აფორიზმი (ტოლსტოის უსარგებლია ფრანგული თარგმანით st. Julien Lao-Tseu, Tao-me-king. he livze de voie et de la vertu, Paris, 1841. ამ თარგმანის გარდა უსარგებლია აგრეთვე გერმანელი ორიენტალისტის ვიქტორ ფრიდრიხ ფონ შტრაუსის (1809-1899) თარგმნით: “Lao-Tseu, Tao-me king. Ubersetzts und commentiert von Victor von Strauss Leipzig” (1870). ტოლსტოიმ ჩინელი ბრძენის რთული და ღრმა აზრის შემცველი სენტენციები, მოკლე და ნათელი აფორიზმებით გადმოსცა. ის ამ გზით ცდილობდა ლაო-ძის მოძღვრება მისანვდომი გაეხადა ფართო მასებისათვის. წიგნს ერთვის ტოლსტოის პატარა წინათქმა „ლაო-ძის მოძღვრების არსი“, სადაც უმთავრესად ლაო-ძის მოძღვრების რელიგიური და ზნეობრივ-ეთიკური მხარეა განმარტებული.

ლევ ტოლსტოის „დაო დე ძინში“ განსაკუთრებით იზიდავდა ხორციელი დამთმელობის იდეა და საკუთარ თავში სულიერი სანყისის სრულქმნისკენ

ლტოლვა, როგორც ადამიანური ცხოვრების საფუძველთა საფუძვლისაკენ. ლაო-ძის მოძღვრებაში ტოლსტოი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს დამოძღვრას: „იცხოვრო არა სხეულისთვის, არამედ სულისთვის“ და განმარტავს ამ ძირითად დებულებას როგორც ზნეობრივ-ეთიკურ კოდექსს, როგორც განმსაზღვრელს ადამიანის დამოკიდებულებისა გარესამყაროსთან. ამის მიხედვით განიხილავს **დაოს** ცნებასაც. ტოლსტოის მიხედვით დაო არის ცნება, რაც სინონიმია ქრისტიანული **სიყვარულის** ცნებისა, სინონიმია სათნოებისა, ანუ უმაღლესი სანყისია, რისი საშუალებითაც ადამიანი აღწევს სიახლოვეს მთლიან სამყაროსთან. თავად ლაო-ძის კი უდიდეს ზნეობრივ მოძღვარს უწოდებდა. წერილიდან ჩანს, რომ ტოლსტოის „დაო დე ძინი“ აინტერესებდა როგორც მხოლოდ ეთიკური მოძღვრება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტოლსტოის არ ესმოდა ამ თხზულების კოსმოლოგიური და მეტაფიზიკური არსი — მას სურდა ლაო-ძის ძირითადი ეთიკური თვალსაზრისები მთელი ხალხისათვის მისაწვდომი გაეხადა. ტოლსტოის არაერთხელ მიუმართავს ლაო-ძის მცნებათა თავისებური ტრანსფორმაციისათვის. წერილში „პირველი საფეხური“ ტოლსტოი ერთგან წერს: „რასაც უფრო მეტს მიუბოძებს კაცი ხალხს და თავისთვის მცირედით დაკმაყოფილდება, მით უფრო უკეთესია იგი. რაც ნაკლებს გაიღებს და ბევრს თავისთვის მოიხვეჭს, მით უფრო უარესია იგი“. ეს ტიპიური ლაო-ძისეული გამონათქვამია, მან ლაო-ძის **უმოქმედობის** პრინციპი ქრისტიანული წინააღმდეგობის ზნეობრივ კანონს მიუსადაგა. ამიტომაც წერდა: „ციხესიმაგრე და ძლიერება — სიკვდილის თანამგზავრია“. მას მიაჩნდა, რომ ძალა,

— რასაც ძალმომრეობასთან აიგივებდა, — ყოველ-
თვის ბოროტების სათავე იყო, ხოლო წინაღუდგომ-
ლობა — საუკეთესო გზაა სიკეთისა და გამარჯვე-
ბისა. ამ საფუძველზე ანათესავებდა ტოლსტოი
ლაო-ძის მოძღვრებას ქრისტიანობასთან, ბუდიზმ-
თან და აღმოსავლეთის იმ რელიგიებთან, რომლე-
ბიც ბოროტებისადმი წინაღუდგომლობას ქადაგებ-
დნენ. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ტოლს-
ტოიმ უკიდურესობამდე მიიყვანა ეს თვალსაზრისი
და, როგორც იან ხინ-შუნი ამბობს, ლაო-ძის **უმოქ-
მედობის** პრინციპი მთლიანად თავის მოძღვრებას-
თან — ბოროტების წინაღუდგომლობასთან გააი-
გივა; ხოლო დაოს მიაწერა, როგორც აღვნიშნეთ,
ღვთაებრივი თვისებები, რაც გარკვეული ნიშნებით
მიაგავდა ქრისტიანულ მოძღვრებას. ტოლსტოის
მიაჩნდა, რომ „დაო დე ძინის“ იდეებსა და ქრის-
ტიანულ მოძღვრებას (კერძოდ მათეს სახარებასა და
იოანეს პირველ ეპისტოლეს) შორის ბევრი რამ იყო
საერთო და ნათესაური. და ეს მართლაც ასეა.

ლევ ტოლსტოი, ლაო-ძის მსგავსად, ზნეობრივი
სრულქმნის იერარქიულ პრინციპს აღიარებდა.
ტოლსტოი ამბობდა: „ყველა ზნეობრივ მოძღვრებაში
დადასტურებულია ის კიბე, რომელიც, როგორც
ჩინური სიბრძნე გვაუწყებს, დგას მიწიდან ცამდე, და
მასზე აღმასვლა შეუძლებელია პირველი საფეხურის
გარეშე“. ზნეობრიობის იერარქიის ყველაზე ქვედა
საფეხურად იგი **დამთმენლობას** მიიჩნევდა
(დამთმენლობა ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა
ლაო-ძის მოძღვრებისა). მას დამთმენლობა მიაჩნდა
წარმართული და ქრისტიანული მოძღვრების საერ-
თო მიღწევად. თუმცა მაინც განასხვავებდა მათ ბუ-
ნებას ერთმანეთისაგან. იგი წერდა: „...წარმართს

დამთმენლობა თავისთავად სათნოებად წარმოუდგენია, ქრისტიანისთვის კი დამთმენლობა მხოლოდ ნაწილია თვითუარყოფისა, რაც აუცილებელი პირობაა სრულქმნის მისაღწევად. და ამიტომ ჭეშმარიტმა ქრისტიანობამ თავის გამოვლენაში ვერ უარყო ის სათნოებანი, რომელთაც წარმართიც აღიარებდა“. ტოლსტოი ამავე წერილში წერს: „კეთილი ცხოვრება არ ყოფილა და არც შეიძლება რომ იყოს დამთმენლობის გარეშე. დამთმენლობის გარეშე წარმოუდგენელია ყოველგვარი კეთილი ცხოვრება, ყოველნაირი წვდომა კეთილი ცხოვრებისა მისით იწყება. არის სათნოებათა კიბე და იგი პირველი საფეხურიდან უნდა დავიწყოთ თუ გვინდა, რომ მომდევნოს დავეუფლოთ. და პირველი სათნოება, რასაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა ყველაზე უმაღლესის დასაუფლებლად, არის კეთილგონიერება, ანუ თვითფლობა“.

ლევ ტოლსტოის წინათქმას, რაც ერთვის მის მიერვე თარგმნილ და გამოცემულ ლაო-ძის წიგნს, მთლიანად გთავაზობთ:

„ლაო-ძის მოძღვრების ძირი იგივეა, რაც ყველა დიდი, ჭეშმარიტი რელიგიური მოძღვრების ძირი. იგი ასეთია: კაცი შეიცნობს თავის თავს უპირველეს ყოვლისა სხეულებრივ პიროვნებად, ყოველივე დანარჩენისაგან განკერძოებულად და მსურველად სიკეთისა მხოლოდ საკუთარი თავისთვის. მაგრამ გარდა იმისა, რომ ყოველი კაცი თავის თავს თვლის პეტრედ, ივანედ, მარიამად, ეკატერინედ, იგი აგრეთვე თავის თავს შეიცნობს უსხეულო არსებად, ისეთივედ, როგორიც ცხოვრობს ყოველ არსებაში და მიუბოძებს მთელს ქვეყნიერებას სიცოცხლესა და სიკეთეს. ასე რომ, ადამიანს შეუძლია იცხოვროს ან იმ სხეულებრივ, სამყაროსაგან განკერძოებულ

არსებად, რომელიც ცოცხლობს მასში და რომელსაც მთელი ქვეყნიერებისათვის სურს სიკეთე, ანდა იმ უსხეულო არსად, რომელიც ცოცხლობს მასში და რომელსაც მთელი ქვეყნიერებისათვის სურს სიკეთე. ადამიანს ძალუძს იცხოვროს ან სხეულისთვის, ანდა სულისთვის. იცხოვრე სხეულისთვის და ცხოვრება მწუხარებით აგეცება, რადგანაც სხეული იტანჯება, სნეულდება და კვდება. იცხოვრე სულისთვის და ცხოვრება სიკეთით აგეცება, რადგანაც სულისთვის არ არსებობს არც ტანჯვა, არც სნეულება, არცა სიკვდილი.

და ამიტომ იმისთვის, ადამიანის ცხოვრება რომ მწუხარება კი არა, სიკეთე იყოს, მან უნდა ისწავლოს ცხოვრება არა სხეულისთვის, არამედ სულისთვის. სწორედ ამას გვასწავლის ლაო-ძი. ის იმას გვასწავლის, როგორ გადავიდეთ ხორციელი არსებობიდან სულიერ არსებობაში. იგი თავის მოძღვრებას **გზას** უწოდებს, რადგანაც მთელი მოძღვრება ამ გარდაქმნის გზას გვიჩვენებს, სწორედ ამის გამო ეწოდება ლაო-ძის მთელ მოძღვრებას **წიგნი გზისა**. ეს გზა, ლაო-ძის მოძღვრების მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ უმოქმედონი ვიყვეთ, ანდა რაც შეიძლება ნაკლებ ვქმნათ ის, რაც სხეულს სწადია; არ შევიზღუდოთ ის, რაც სულს სწადია, ხორციელ საქმეთა ქმნადობით წინ არ აღვუდგეთ ადამიანის სულში იმ ცის ძალთა (როგორც ლაო-ძი უწოდებს ღმერთს) გამოვლენის შესაძლებლობას, რითაც ცოცხლობს ყოველივე ქვეყნად.

სწორედ ეს აზრი, თუკი იგი მთარგმნელის მიერ სწორად არის თარგმნილი, თითქოს განზრახ უცნაურად არის გამოთქმული; მაგრამ ეს აზრი ყველგან მთელი მოძღვრების საფუძველია.

ეს აზრი არა მხოლოდ ჰგავს, არამედ ზუსტად ის არის, რაც იოანეს პირველ ეპისტოლეშია გამოთქმული და ქრისტიანული მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს. ლაო-ძის მოძღვრების მიხედვით, ერთადერთი გზა, რისი წყალობითაც ადამიანი შეერწყმის ღმერთს, არის **დაო**. **დაო** ხომ ყოველივე ზედმეტის, ხორციელის დათმენით შეიმეცნება. ასეა მოძღვრების მიხედვით, რომელიც გამოთქმულია იოანეს პირველ ეპისტოლეში. იოანეს მოძღვრების მიხედვით, ადამიანის ღმერთთან შერწყმის საშუალება არის სიყვარული. სიყვარულიც ისევე, როგორც **დაო**, მიიღწევა ყოველივე სხეულებრივის, პირადულის დათმობით. და როგორც სიტყვა **დაოში**, ლაო-ძის მოძღვრების მიხედვით, იგულისხმება ცასთან შერწყმის გზაცა და თავად გზაც, — ასევე იოანეს მოძღვრების მიხედვით, სიტყვა სიყვარულში იგულისხმება სიყვარულიცა და თავად **ღმერთიც** („ღმერთი სიყვარული არს“). როგორც ერთი, ისე მეორე მოძღვრების არსი ის არის, რომ ადამიანს ძალუძს შეიმეცნოს თავისი თავი განკერძოებითაც და განუყოფლადაც, წარმავლადაც და მარადიულადაც, ხორციელადაც და სულიერადაც, ცხოველადაც და ღვთაებრივადაც. იმის მისაღწევად, რომ შევიმეცნოთ თავი ჩვენი სულიერად და ღვთაებრივად, ლაო-ძის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთი გზა, რასაც ის **დაოს** უწოდებს და რაც თავის თავში უმაღლესი სათნოების ცნებას შეიცავს. ეს შეგნება მიიღწევა იმ თვისებებით, რასაც ყველა ხალხები ფლობენ. ასე რომ, ლაო-ძის მოძღვრების არსი იგივეა, რაც ქრისტიანული მოძღვრების არსი. როგორც ერთი, ისე მეორე გამოვლინების არსი დამთმენლობაა ყოვე-

ლივე სხეულებრივისა, იმ სულიერი ღვთაებრივი სანყისის მიღწევას, რაც ადამიანის ცხოვრების საფუძველია“.

*

ლევ ტოლსტოი, როგორც ვნახეთ, ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც მართლაც არსებობს ლაო-ძის მოძღვრებასა და ქრისტიანულ მოძღვრებას შორის. რაიმე პირდაპირ ზეგავლენებზე ლაპარაკი ალბათ შეუძლებელია, მაგრამ „დაოდე ძინის“ ცალკეულ მოტივებსა და სახარების იდეებს შორის რომ დიდი მსგავსებაა, ეს უდავოა. საერთოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობამ, ვიდრე იგი თავის ორთოდოქსულ სახეს მიიღებდა, შეინოვა მანამდე არსებული ყველა დიდი სიბრძნე. ბერტრან რასელი „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიაში“ ხაზგასმით ამბობს, რომ ქრისტიანული რელიგია, რაც მოგვიანებით რომის იმპერიამ უწყალობა არარომელ ხალხებს, სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: პლატონისა და ნეოპლატონური მოძღვრება (ნაწილობრივ სტოიციზმი), ებრაელთა რელიგია და ახალი ხანის თეორიები (ხსნის თეორია), რაც ნაწილობრივ ორფიზმში და ახლო აღმოსავლეთში ვლინდებოდა. სწორედ ამ მიზეზთა გამო, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ლაო-ძის მოძღვრებას, რელიგიურ დაოიზმს რომ დაედო საფუძველად, რაღაც სახით და რომელიღაც შუალედური გზით ჩაეღწია დასავლეთში; და არათუ გამორიცხული არ არის, ვფიქრობ, სხვანაირად წარმოუდგენელიც კია. დიადი მოვლენების და ახალი

ერის დაწყების წინაშე მდგომი წინარექრისტიანული მსოფლიო ერთ ფოკუსში იკრებდა ყველა იმ რელიგიურ სიბრძნეს, რაც იმდროინდელი ცივილიზაციის ცენტრებში იყო ცნობილი და ერთი ქვეყნიდან მეორეში ვრცელდებოდა.

რალა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჩემს მიზანს არ შეადგენს რაიმე გენეტიკური კავშირების ძიება ამ ორ მოძღვრებას შორის, — ეს ცალკე უზარმაზარი კვლევის სფეროა. ჩემი სურვილია, მხოლოდ ზოგადი ხასიათისა და ცალკეული კონკრეტული ასპექტის მსგავსებათა აღნიშვნით შემოვიფარგლო, ვაჩვენო ის მსგავსება, ის შინაგანი კანონზომიერებანი, რაც ამ ორ მოძღვრებას, უფრო სწორად, „დაო დე ძინსა“ და სახარებას ანათესავებს ერთმანეთთან.

*

შარლ ენშლენი წიგნში „რელიგიის წარმოშობა“ განიხილავს ადრეული ქრისტიანობის ჩანასახებს და მისი წარმოშობის ერთ ძირს ფილონ ალექსანდრიელის სახელს უკავშირებს. ენშლენი ასე წარმოგვიდგენს ფილონის ძირითად იდეებს: 1. ერთიანი ტრანსცენდენტური ღმერთის იდეა, რასაც არ ძალუძს დაუკავშირდეს ადამიანს შუამავლის — ლოგოსის გარეშე, შობილს სამყაროს წარმოშობამდე, და რასაც ფილონი აიგივებს პლატონელთა და ნეოპიტაგორელთა სიტყვასთან. ლოგოს — ღვთის მსახურია, რის წინაშეც იგი ხალხისთვის იღვწის. 2. ლოგოსის იდეა (ანუ სიტყვისა, ღვთის ძისა) ყოველნაირი მოქმედების პირველმიზეზია, რაც ერთდროულად არის გონიც და სიტყვაც და რაშიც ღვთის

შემოქმედი ძალა ისახება. ზოგჯერ ფილონი ლაპა-რაკობს მასზე, როგორც პიროვნებაზე. ის წერს, რომ ლოგოსი „სრულქმნილი ძეა, ღვთის რჩეული“. ბოლოს ენშლენი დაასკვნის: „ღმერთი სარგებლობს თავისი ლოგოსით, როგორც აღმსრულებლით, მისი ნყალობით შექმნა ღმერთმა სამყარო“.

თუკი ამ დებულებებს ლაო-ძისეულ **დაოსა** და **დეს** შევუპირისპირებთ, მსგავსების ასეთ სურათს მივიღებთ: **დაო** დასაბამიერია და უხილავია, არყოფნაა, ხოლო **დე დაოს** გამოვლინებაა ყოფიერებაში, ანუ თვითყოფიერებაა, ცხადი და ხილვადი. ფილონისეული ლოგოსი, ჩემი აზრით, უფრო **დეს განზოგადებულ** ცნებას მიესადაგება, ვიდრე **დაოს** ცნებას. ლოგოსი ღმერთის გაცხადებული ასახვაა, უხილავი და დაფარული ღმერთის სახიერი გამოვლინებაა, რაც ასხეულებს ყოველ არსს და ანესრიგებს სამყაროს ნივთიერ ქმედებას. ასევეა **დაოც.დე**, როგორც უკვე ვიცით, კონკრეტული ასახვაა უხილავი და დაფარული **დაოსი**, მისი ნივთიერი გამოვლინებაა, რაც „ხორცქმნის ყოველ არსს... სრულქმნის ყოველ არსს“ (LI). ქრისტიანული ცნება — ლოგოსი რომ ლაო-ძის **დეს** მსგავსია, ამას იოანეს სახარების დასაწყისიც ადასტურებს: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი რაჲ იქმნა, მის თანა ცხოვრებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ენია“ (1,1-5). ლოგოსი უდრის **ქრისტეს, ქრისტე**

უდრის უმაღლეს სრულქმნას, უმაღლესი სრულქმნა უდრის **დეს, დე** უდრის **ყოვლადბრძენს**. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ქრისტე და ლაო-ძის ყოვლადბრძენი** სინონიმური შინაარსის ცნებებია. ლოგოსი იგივე ნმიდა სულიც არის. ხოლო ლაო-ძისთვის **ყოვლადბრძენი** და **ნმიდა სული** ტოლფასოვანი ცნებებია, რადგანაც ჩინური რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენით **ბრძენი და ნმიდანი** ერთსა და იმავეს ნიშნავს. ფილოსოფოსებთან ლოგოსი იყო თავისებური სახის საყოველთაო გონი; ქრისტიანობაში იგი წარმოდგა პიროვნებად: ღმერთმა სიტყვის შუამავლობით შექმნა სამყარო და სიტყვა იქცა საგნად, ხორცად, რამაც თავის თავში ღვთაებრივი და ადამიანური სანყისები გააერთიანა. თუკი ლოგოსს, რელიგიაში გადმოტანილს, გავი-აზრებთ როგორც **ქრისტეს** — უზენაესი მეფუფის იდეათა აღმსრულებელს მინაზე, მაშინ **ქრისტეს** იდეა შეიძლება დავინახოთ ლაო-ძის **დეს** ცნებაში, იმ **დეს**, რაც განასრულებს და განაცხადებს დასაბამიერ **დაოს** შინაგან ძვრებსა და კანონებს (LI).

ქრისტე, შუამავალი სრულქმნილ ღმერთსა და არასრულქმნილ ადამიანს შორის, თავად ყველაზე უმაღლესი შუამავალი, ათავისუფლებს ღვთაებრივი წარმომავლობის სულს, ჩამწყვედუელს მატერიალურ სამყაროში. ეს მატერიალური სამყარო კი შედეგია დაბნეულობისა და სიყალბისა, ჰარმონიისა და პირველყოფილი მთლიანობის რღვევისა. ამ მთლიანობის მიღწევა შესაძლებელია პირველყოფილ არსთან — პლერომასთან შერწყმით, რაც თავისი ბუნებით იდეალურია და შეიცავს თავის თავში როგორც

ღმერთს, ისე სულიერ სამყაროს. ხსნა ძალუძთ მხოლოდ სულის კაცთ, რომელთა ძალუძთ დაფარულ მისტიერიათა შეცნობა. ამ აზრს თავისთავად მივყავართ ლაო-ძის **ყოვლადბრძენის** სახესთან. ვის ძალუძს ხსნა და ჟამგრძელობა, ვის ძალუძს გამოძღვრება და განინამძღვრება? მხოლოდ მას, ვინც შეიცნო **დაო** და მისწვდა მის არსს, ვინც თავად იქცა **დაოდ**. „თავად იქცა **დაოდ**“ მეტაფიზიკურ და მისტიკურ ცნებათა კომპლექსია, რადგანაც იგი ფაქტიურად **დეს** ტოლფასოვანი ცნებაა, როგორც უმაღლეს სათნოებათა შესაკრებელი. ვინც მიაღწია უმაღლეს სათნოებას და ზნეობრივ სრულქმნას, ის არის **მრავალჟამიერი** (XVI), ანუ უკვდავი. ხოლო ვინ არის **მრავალჟამიერი**? ვინც გადაიადდა, „ვინცა წარუვალში გარდიცვალა“ (XXXIII), ანუ გაუკვდავდა. ხოლო ვინ გადაიადდა და გაუკვდავდა? **ყოვლადბრძენი**, იგივე **წმიდა სული**, ანუ იგივე **ქრისტე**. მატერიისაგან გამონთავისუფლდა სული და შეერწყა თავის მარადიულ სამყოფს. ენშლენი ასკვნის: „აქ ჩვენ ვნახულობთ, და ამაში არაფერია გასაკვირი, — ცნება ლოგოსის თემას როგორ ძალუძს აღადგინოს ერთიანობა. სხვადასხვა სინკრეტულ მიმდინარეობაში ლოგოსი შეიმეცნებოდა სხვადასხვა სახით: ზოგჯერ მას ორფეოსთან აიგივებდნენ, ზოგჯერ — **იესოსთან**: ზოგჯერ ადამიანის სხეულში მყოფ ღვთაებრივ ეონთან, ზოგჯერ — მოსესთან, ზოგჯერ — გველ-ლევიათანთან... ზოგჯერ კი — მზესთან“.

ახლა ვნახოთ, როგორ ჰგავს **იესოს** მესიანურ სახეს ლაო — ძის **ყოვლადბრძენი**. როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ ლოგოსი იგივე **ქრისტეა**, **ქრისტე**

იგივე უმაღლესი შესაკრებელია სათნოებისა და სრულქმნისა, ღვთაებრივი ძალისა და სულისა. თუ ყოველივე ეს უდრის **დეს** და **დე** უდრის **ყოვლადბრძენს** — მაშინ **ყოველადბრძენი** უდრის ლოგოსსაც და უდრის **ქრისტესაც**. ხშირად ეს მსგავსება ისე თვალსაჩინოა, თითქმის სულიერი მდგომარეობის გარეგან სახეშიც ანუ ხორციელ ხატშიც კი ვლინდება. ლაო-ძის **ყოველადბრძენის** სახეს ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ. განა სწორედ ასე არ გამოიყურება რენესანსის ეპოქის ფერმწერთა მიერ შესრულებული ქრისტე — სუსტი, პასიური, უმოქმედო, წმიდა, სათნო, ტანჯული, მაგრამ შინაგანად ძლიერი და ღვთაებრივი ცეცხლით გაცისკროვნებული. თავად მორჩილი და იმავე დროს წინამძღვარი და მოძღვარი. ლაო-ძის **ყოველადბრძენში** ჩასახულია მესიანიზმის იდეა, ღმერთ-კაცის იდეა, რაც სრული გამოხატულებაა **დაოს** ბუნებითობისა და უმოქმედო მოქმედებისა. **ქრისტეს** ფერმკრთალ სახეს, მის უმოქმედო და პასიური შესტსა და მზერას, მის ჩვილსა და ფაქიზ სულიერ სანყისებს, რაშიც საღმრთო ძალა და ენერჯია ჭვივის, ენათესავება ლაო-ძისეული **ყოველადბრძენის** ბუნება. ქრისტიანული გნოსტიციზმი, ანუ შემეცნება წარმოდგება, როგორც საშუალება მიწიური კეთილდღეობის უარყოფისა, ხორცის დათრგუნვისა, სინმიდისა და დამთმენლობის მიღწევისა. **ქრისტეს** ტანჯვაც სხვა არაფერია, თუ არა სულის ხორცზე გამარჯვება. ლაო-ძისეული **ყოველადბრძენი** უარყოფს ყოველგვარ კეთილდღეობას, ყოველივეს გასცემს, იტანჯება სხვათა ტანჯვით, დაითმენს ვნებებსა და

სურვილებს, რათა ტანჯვის გზით მისწვდეს **დაოს** არსს, შეიმეცნოს იგი და იცხოვროს ისე, როგორც წყალმა, რომელიც **დაოსა** და უმაღლესი სათნოების მსგავსია (VIII).

ქრისტიანული მესიანიზმი იგივე სულის ხსნაა; იმ ხანაში გავრცელებული იყო მესიანური მოძრაობა. მესიად სახავდნენ ბევრს. თვით იოანე ნათლისმცემელიც კი, ვინც ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით **ქრისტეს** წინამორბედი იყო, ერთ-ერთი მესიათაგანია. ლაო-ძის მთელ ლეგენდურ-მითიურ ცხოვრებას და მისტიური საბურველით გარემოსილ პიროვნებას, მთელ მის მოძღვრებას მესიანური ელფერი დაჰკრავს. უპირველესად ეს ჩანს **ყოვლადბრძენის** სახეში. ქრისტიანულ მოძღვრებაში შემეცნება, ანუ გნოსის (ბერძნულად „ცოდნა“) შეიძლება დავაკავშიროთ **ყოვლადბრძენტან**. იგი, თავისი უმაღლესი სრულქმნის მისაღწევად ცოდნას ფლობს, ანუ სიბრძნეს (იგივე სინმიდესა და ჭეშმარიტებას). ხოლო მისტიკრიათა რელიგიები შეიცავდა ხსნას, ანუ მესიის შეცნობას. ამნაირად, ცოდნა ანუ შემეცნება უკავშირდება **ყოვლადბრძენს**, რაც, ზემოთ ნათქვამის მიხედვით, მესიანურ სფეროს შეერთვის, მესია და ცოდნა, ანუ სიბრძნე, განუყოფელ კავშირში არიან ერთმანეთთან. აქედან წარმოდგება სულის უკვდავების (ბერძნულ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ რელიგიაში) და ჟამგრძელობის მოტივები, რაიც ტოლფასოვანი ცნებებია და გაღვთიურების პრინციპს ასახავენ. ასეთია „დაო დე ძინისა“ და ქრისტიანული მოძღვრების მესიანური მსგავსებანი, **ქრისტესა და ყოვლადბრძენის** სახეებში განხორციელებული.

ადრეულ ქრისტიანობაში წარმოიშვა აზრი, რომ „...ზოგიერთ ადამიანს აქვს ზებუნებრივი წარმომავლობა“. ლაო-ძის **ყოვლადბრძენი** ფლობს ამ ზებუნებრივ თვისებებს. მას ძალუძს განინამძღვრება, ცად ამალღება, გახელმწიფება, **დაოსთან** ზიარება. ეს სხვა არაფერია, თუ არა იგივე მესიანიზმი. სახარებაში **ქრისტე** წარმოდგენილია კაცად და მერე გაღმერთებული, რაც მას უფრო ახლობელს ხდიდა მორწმუნეთათვის. ლაო-ძის პრინციპიც ასეთია: გზა კაციდან ღმერთამდე, უფრო სწორად, გაღმერთებამდე; უმაღლესი სრულქმნილების მწვერვალზე ასასვლელად იერარქიული საფეხურების გავლაა აუცილებელი. **ქრისტე** მოკვდა ადამიანთა ცოდვებისთვის; ის ყველას პატიობს. პავლე ამბობს: „...ქრისტე მოკუდა ცოდვათა ჩუენთათვის“ (1 კორ. მიმართ. 15, 3). **ქრისტეს** ლატაკნი უყვარს, მდიდარნი არ ცხონდებიან. მათე ამბობს: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (5, 3). ლაო-ძი ამბობს: „ძვირფასეული ნივთები: აუბედურებს კაცს“ (XII). „ვინცა ბევრს იხვეჭს: ჭეშმარიტებას კარგავს. ვინცა მცირედს კმარობს: არასოდეს წაწყმდება“ (XLIV). **ქრისტე** თავისი მორჩილებითა და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით, ტანჯვით დაიხსნის ადამიანთა მოდგმას იმ ცოდვებისაგან, რაც ადამმა დაატეხა მათ თავს. ეს **გოლგოთიზმი** ასეა „დაო დე ძინში“ თქმული: „ვინცა გაცოდვილდა მთელი ქვეყნის ცოდვით: განინამძღვრდა ცისქვეშეთში. ვინცა დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით: გამეუფდა ცისქვეშეთში“ (LXXVIII). ლაო-ძისთვის ტანჯვა იგივე სინმიდეს ნიშნავს, სინმიდე სიკეთეს, ხოლო სიკეთე — სიბრძენს.

ქრისტიანული მოძღვრებისა და „დაო დე ძინის“ იდეები კიდევ მრავალ პუნქტში თანხვედებიან ერთმანეთს. ქრისტიანობის შემუშავებული პირველქმნილი ცოდვა, თავისი არსით, უახლოვდება ლაო-ძისეული ბუნებითი კანონის დარღვევას. ბუნებითობა, როგორც ვიცით, მარადიული და უცვლელი კანონია ლაო-ძის მიხედვით; მას უნდა მორჩილებდეს ყოველი არსი და ადამიანი, თუკი სურს მიაღწიოს თანხმობას ბუნებასთან. ვინც არღვევს ბუნებითობის კანონს, სცოდვას და ბუნება სჯის მას. მაგრამ ამ ცოდვებს გაითავისებს, თავის არსში დაიკრებს **ყოვლადბრძენი ქრისტეს** მსგავსად. ლაო-ძი ამბობს: „უკეთუ ბუნებითობა აღიგვება: საიდუმლო ჭურჭლად გარდიცვლება. ყოვლადბრძენი მისი ნყალობით განინამძღვრდება და: დიადი თანხმობა არ დაირღვევა“ (XXVIII). ბუნებითობა რომ დავიცვათ, აუცილებელია ვნებათა დათრგუნვა და ხორცის უარყოფით დიადი სიმშვიდის მოპოვება (XVI, XXIII და სხვა.). მათე კი ამბობს: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი“ (5, 5). ცხადად ჭვივის ბუნებითობისადმი მორჩილების იდეა **ქრისტეს** ამ სიტყვებში: „ამისათვის გეტყვ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რაი ჰსუათ, ნუცა ხორცთა თქუენათვის, რაი შეიმოსოთ. ანუ არაა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა? მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ თქუენი ზეცათაი ზრდის მათ; არა-მე თქუენ უფროის უმჯობეს ხართა მფრინველთა? ანუ ვინმე თქუენგანი ზრუნვიდეს და

შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთი? და სამოსლისათვის რაისა ჰზრუნავთ? განიცადენით შრომანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძინდის! არა შურებიან, არცა სთავნ“ (მათე 6, 25-28).

წარმართული და წინარექრისტიანული, ისევე როგორც ორთოდოქსული ქრისტიანიზმი, უშვებდა სინამდვილისაგან გაქცევას, განდგომასა და ასკეტიზმის სხვადასხვა ფორმებს. როგორც არაერთგზის ითქვა, ლაო-ძი იყო პირველი ჩინეთში, ვინც ასკეტიზმი და განდევილობა იქადაგა. იგი ქადაგებდა დამთმენლობასა და ხორცის დათრგუნვას, სულის ამაღლებას და ამ გზით **დაოს** წვდომას. ეს არის სრულქმნის ერთადერთი გზა. როგორც მათეს სახარებაშია ნათქვამი: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (5, 48). ეს არის წვდომა უზენაესი ჰარმონიისა და სრულქმნისა. ასკეტიზმისა და ეულობის მოტივი ძირეულ ხაზად გასდევს „დაო დე ძინს“. ერთგან ვკითხულობთ: „კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს. კაცი, საქმეს რომ აღასრულებს: სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს“ (IX).

ქრისტიანობამ უარყო მსხვერპლშენირვის რიტუალი. **ქრისტეს** მიენერება ასეთი გამოთქმა („თორმეტთა სახარებაში“): „მე მოვედ მოსპობად მსხვერპლშენირვისა, ხოლო თუ თქვენ არ შეწყვეტთ მსხვერპლთა შენირვას, არ დაცხრება მძვინვარება თქვენზე“. მარკოზის სახარება პირდაპირ ამბობს: „და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისთვის დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათვის“ (2, 27). როგორც ცნობილია, **ქრისტეს** მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები

იუდეველთა რელიგიაში შემუშავებული რიტუალისა და ფორმალურ მცნებათა დარღვევით იწყება — ნესების გაუქმებით, შაბათი დღის უარყოფით. ქრისტე ქადაგებდა, რომ ღმერთი სიყვარულს ითხოვს და არა მსხვერპლს. ლაო-ძი მთელი თავისი პიროვნული არსითა და თავისი მოძღვრებით წინააღმდეგი იყო რიტუალისა საერთოდ და კერძოდ — მსხვერპლმწირვისა. იგი ამით ებრძოდა კონფუციანელთა ფორმალობებს და გარეგნულ ჩვევათა დემონსტრირებას. **დაოს** წვდომა და აღიარება სულში უნდა ხორციელდებოდეს. ეს არის რწმენის არსი (III, XII, XVIII, XIX, და სხვა). ფორმალური რიტუალის მავნებლობაზეა საუბარი მათეს სახარების მეთხუთმეტე თავში.

კიდევ ერთ საგულისხმო ნიშანზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. კვირა დღე, ანუ მზის დღე იქცა **ქრისტეს** აღდგომის დღედ. მარკოზის სახარების მიხედვით, ქრისტე აღდგა კვირა დღეს. სწორედ ამის გამო კვირა დღე უქმე ანუ უქმობის დღეა. ლაო-ძის **ყოვლადბრძენის** ერთ-ერთი უძირითადესი ნიშანი არის უქმობა და ამ უქმობით უმაღლესი სრულქმნის მიღწევა, უმოქმედობით განმიდანება, გასხივოსნება, უქმობა ანუ **გაჟამგრძელება და გაუკვდავება**.

*

ლევ ტოლსტოი ბევრ საერთოს ხედავდა ქრისტიანულ მოძღვრებასა და ლაო-ძის მოძღვრებას შორის. ნაწილობრივ მათი მსგავსება და საერთო ნიშნები უკვე აღვწერე. ამჟამად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, მკითხველს მინდა წარვუდგი-

ნო არსითა და აზრით მსგავსი ადგილები, რაც დადასტურებულია **სახარებასა** და „**დაო დე ძინში**“.

მათე: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“ (5, 3). „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“ (5, 4).

ლაო-ძი: „ჭემმარიტად: ვინცა შიშობს ცისქვეშეთის ხელმწიფებას: უნდა გავახელმწიფოთ ცისქვეშეთში. ვინცა მწუხარებს ცისქვეშეთის ხელმწიფებას: უნდა მივუბოძოთ ცისქვეშეთი“ (XIII, 30).

მათე: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ“ (5, 5).

ლაო-ძი: „ვინცა აღივსო უდიდესი სიმშვიდით: აღივსო სიცარიელეში არსთა წრებრუნვით“ (XVI, 32).

მათე: „ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა წინააღდგომად ბოროტისა. არამედ რომელმან გცეს შენ ყური-მალსა შენსა მარჯუენასა, მიუპყარ მას ერთკერძოცა“ (5, 39). „ხოლო მე გეტყვ თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენტა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა და ულოცევდით მათ, რომელნი გამძლავრობენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ“ (5, 44).

ლაო-ძი: „სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას“ (XIII, 147). „უფრო დიდი უბედურება არაფერია: გაძულდეს მტერი შენი. მტრის სიძულვილი ვნებს **დაოს**“ (XIX, 167).

მათე: „რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილი მამისა თქუენისა ზეცათაჲსა. რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (5, 45).

ლაო-ძი: „კეთილთა ც სიკეთეს მივაგებ და უკეთურთა ც სიკეთეს მივაგებ“. ამ სიკეთით შეიქმს უმაღლეს სათნოებას. „ერთგულთა ც ვერგულეზ და ორგულთა ც ვერთგულეზ“. ამ ერთგულეზით შეიქმს უმაღლეს სათნეობას“ (XIX, 144).

მათე: „ეკრძალენით ქველის საქმესა თქუნესა, რაჲთა არ ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა. უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუს მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა“ (6, 1). „ხოლო რაჲამს იქმოდე ქველსა საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა...“ (6, 2). „რაჲთა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად, და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (6, 4).

ლაო-ძი: „კაცი, რაჲამს საქმეს განასრულეზ: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს“ (IX, 22). „ჰქმენ და: არ დაეუფლო ქმნილს. აღძარ და: არ დაეუფლო აღძრულს“ (X, 24). „კაცი, ვინცა უმაღლეს დეს ფლობს: არ მოქმედებს... ვინცა უმაღლეს კაცთმოყვარეობას ფლობს: უქმობს და ასე მოქმედებს. მოქმედებს, მაგრამ თავად უმიზეზოა და უჩინარი“ (XXXVIII, 87). „შეჰქმენ და ნუ დაეუფლები. ხორცჰქმენ და ნუ იმედიდურებ. იმეუფე და ნუ იბატონებ“ (I, 119). „ყოველადბრძენი მონყალეა და სძაგს ანგარება. ყოველადბრძენი ბრწყინვალეა და სძაგს ბრწყინვალება“ (VIII, 138). „ყოველადბრძენი დაიკრებს ყველას ცოდვეზს და საზღაურად არაფერს ითხოვს“ (XXIX, 192).

მათე: „ამისთვის გეტყვ თქუნ: ნუ ჰზრუნავ სულისა თქუენისათვის, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა ხორცთა თქუნთათვის, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა

სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი სამოს-
ლისა?“ (6, 25).

ლაო-ძი: „ვინცა ავსილია უნმიდესი სულით და
ფლობს დაფარულის საიდუმლოს: უცთომელია და
ჟამგრძელი“ (X, 23).

მათე: „რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკით-
ხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა სანყაულითა
მიუწყოთ, მოგენყოს თქუენ“ (7, 2).

ლაო-ძი: „რასაც მიაგებ, იმასვე მოგაგებენ“
(XXX, 69).

მათე: „და იყვნეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთა-
გან სახელისა ჩემისათვის. ხოლო რომელმან დაით-
მინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (10, 22).

ლაო-ძი: „კაცი, დამთმენი ყოველივესი: მრავალ-
ჟამიერია“ (XIV, 105).

მათე: „და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი
და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (10, 38).
„რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმიდოს
იგი; და რომელმან მოიპოვოს სული თვისი ჩემთვის,
მან პოვოს იგი“ (10.39).

ლაო-ძი: „ვინცა მორჩილებს **დაოს: დაოს** თანა-
არსია. ვინცა მორჩილებს **დეს: დეს** თანარსია. ვინცა
მორჩილებს წარმავალს: წარმავლის თანაარსია.
ვინცა **დაოს** თანაარსია: **დაოს** დაეუფლება. ვინცა
დეს თანაარსია: დეს დაეუფლება. ვინცა წარმავლის
თანაარსია: წარმავალს დაეუფლება“ (XXIII, 55).

მათე: „ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი
კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხე-
ნეშ. რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“ (12,
33).

ლაო-ძი: „ვინცა შეიცნო დედა: მან ძედ შეიცნო თავი. ვინცა ძედ შეიცნო თავი: მან შეიცნო დედა“ (II, 120).

მათე: „ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ჰხედვენ და არა ჰხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისხმა-ყვიან“ (13, 13); „და აღესრულების მათ ზედა წინასწარმეტყუელები იგი ესაიასი: სმენით გესმოდის, და არა გულისხმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ, და არა იხილოთ“ (13, 14).

ლაო-ძი: „ვუმზერ და ვერ ვხედავ; ამიტომ ვუნოდებ უხილავს. ვუსმენ და არ მესმის: ამიტომ ვუნოდებ უხმოს. ველტვი და ვერ ვწვდები: ამიტომ ვუნოდებ დაფურულს“ (XIV, 31). „ვინცა დაოს ხილულად უმზერს: მისთვის განუჭვრეტელია იგი. ვინცა დაოს ბგერებში უსმენს: მისთვის დახშულია იგი. ვინცა დაოს მოისახმარისებს: მისთვის მიუწვდომელია იგი“ (XXXV, 82).

მათე: „ხოლო მან რქუა მათ: არა, ნუუკუე შეკრებასა ღვარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა“ (13, 29).

ლაო-ძი: „ო, უბედურებავ! შენა ხარ ძირი ბედნიერების, ო, ბედნიერებავ! შენა ხარ ძირი უბედურების. ვინ შეიცნო: სად იწყება მათი სათავე? ვინ უწყის: სად ძევს მათი მიჯნები? ცვალებადნი არიან და ჟამწარმავალნი: სიმართლე სივერაგეში გადადის. ხოლო სიკეთე — სიბოროტეში“ (VIII, 137).

მათე: „რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძინდის, უფროის ყოველთა მხალთა არნ იგი და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა“ (13, 32).

ლაო-ძი: „დიდი ხე პატარა ყლორტისაგან აღმოცენდება. ცხრასართულიანი კოშკი მუჭა მიწით აიშართება. ათას ვერსზე სვლა შენს ფერხთქვეშ იწყება“ (XIV, 153).

მათე: „... რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი...“ (16, 24). „...და რომელმან წარინწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი“ (16, 25).

ლაო-ძი: „ყოვლადბრძენი ყოველივეს მორჩილია. მორჩილია და განინამძღვრებულა. უარყოფს ხორციელ ტანს და სოფლიურ მარადისობას ერთვის. ნუთუ არაფერია, ის რომ ხორციელ ტანს უარყოფს? სწორედ ამით არის სრულქმნილი. სრულქმნილია და მრავალჟამიერი“ (VII, 18).

მათე: „და ჰრქუა: ამინ გეტყვ თქუენ, უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (18, 3). „რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაი ესე, იგი უფროის იყოს სასუფეველსა ცათასა“ (18, 4).

ლაო-ძი: „ვინცა ავსილია უწმიდესი სულით და ფლობს უხილველ ძალებს: მორჩილია, ვითარცა ჩვილი“ (X, 23). „მე ყრმას ვგავარ, ვინცა ჯერაც არ მოვლენილა“ (XX, 48). „ვინცა დაეუფლა **დეს:** ახალშობილს ჰგავს“ (V, 127). „ოდეს იბადება კაცი: თოთოა და სუსტი. ოდეს კვდება კაცი: მაგარი და ხმელი... მაგარი და ხმელი: მიწას შეერთვის. თოთო და სუსტი: ცად მალღდება“ (XXVI, 182. 183).

მათე: „ხოლო იესო ჰრქუა მონაფეთა თვისთა: ამინ გეტყვ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (19, 23).

ლაო-ძი: „ვინცა ბევრს იხვეჭს: ჭეშმარიტებას ჰკარგავს“ (XIV, 105).

მათე: „ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა“ (19, 30). „ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაი, იყავნ თქუენდა მსახურ“ (20, 26). „და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაი, იყოს იგი თქუენდა მონა“ (20, 27). „ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისა სახსრად მრავალთათვის“ (20, 28).

ლაო-ძი: „წინმავალი და უკანმავალი ერთმანეთს მორჩილებს“ (II, 6). „ყოვლადბრძენი არ მოქმედებს. იქმს და უმოქმედოა. უმოქმედოა და: ყოველი არსი მას მორჩილებს“ (III, 10). „ყოვლადბრძენი ყოველივეს მორჩილია. მორჩილია და განწინამძღვრებულია“ (VII, 18). „უმალღესი სათნოება — მორჩილებას მიელტვის“ (VIII, 20). „იხელმწიფე და უარყავ ხელმწიფება“ (X, 24). „ვინცა შიშობს ცისქვეშეთის ხელმწიფებას: უნდა გავახელმწიფოთ ცისქვეშეთში“ (XIII, 30). „არასრულქმნილი — გასრულქმნილდება... მრუდი — განიმართება... ვინცა მცირედს მიელტვის; ბევრს მოიხვეჭს... ყოვლადბრძენი არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ. განდიდებას არ მიელტვის: ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის. არ მძღავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში“ (XXII, 51, 52). „კაცი, ვინცა დაეუფლა დამთმენლობას: ხელმწიფებს ხალხს და მსახურებს ცას. დამთმენლობა ძირია მორჩილებისა, ხოლო მორჩილება — **დეს** სრულქმნა“ (IX, 139).

მათე: „ხოლო რომელმან აღიმალღოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (23, 12).

ლაო-ძი: „კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლდებიან. და მდაბლდებიან, ოდეს დიადობენ“ (XII, 100).

მათე: „მაშინ ჰრქუა მას იესო: მიაქციე მახვილი ეგე ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“ (26, 52).

ლაო-ძი: „ვინცა მძლავრობით ეუფლება სამყაროს: აქედანვე ვჭვრეტ — ვერ მიაღწევს სანადელს“ (XXIX, 66). „ვინცა ზეიმობს კაცთა კვლას: ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს“ (XXXI, 73). „ძლიერნი და უღმობელნი — არ კვდებიან თავიანთი სიკვდილით“ (XII, 101).

ლუკა: „ჰრქუა მას იესო: მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (9, 58).

ლაო-ძი: „ყველა ხარობს, საზეიმოდ ნვეუღან თითქო... მე ერთი ვარ მშვიდად და უჩინრად... ო, დამაშვრალო უაღაგოვ! სად არს ალაგი განსასვენები!.. მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში: უსასთუმლო და უნავსაყუდლო“ (XX, 48).

ასეთია ზოგადად ლაო-ძის მოძღვრებისა და ქრისტიანული მოძღვრების მსგავსება-ნათესაობა.

ლერი აღიმონაკი

სარჩევი

| | |
|---|-----|
| ლერი ალიმონაკი სიბრძნე, რომელიც არ ბერდება (წინათქმა) | 5 |
| ლაო-ძი: დაო დე ძინი | 69 |
| ლერი ალიმონაკი ქრისტიანობა და „დაო დე ძინი“ (ბოლოთქმა) | 141 |